# საერთო გაზეთი

№37 (166) • 21.09-27.09, 2011 წელი • გამოდის ოთხშაბათობით • www.saertogazeti.net; e-mail: saertogazeti@yahoo.com • ფასი 1 ლარი

`saerTo gazeTma~ qarTlis erT sofelSi 74 wlis mTavarepiskopos meufe ilarions miakvlia, romelic patriarq daviT V-is anderZis Tanaxmad, misi sikvdilis Semdeg, patriarqad unda ekurTxebinaT



# cxedrebiT mofenili gza sapatriarqo taxtisken

- ვინ გახსნა დალუქული სეიფი და ვინ შეცვალა დავით V-ის ანდერძი, სადაც მომავალ პატრიარქად ირაკლი შიოლაშვილი კი არა მეუფე ილარიონი სახელდებოდა?
- ვინ მოწამლა მეუფე ილარიონ სამხარაძე, რომლის შემდეგ ის დამუნჯდა და დღემდე მდუმარებაშია?
- რატომ დაიღუპნენ საიდუმლო ვითარებაში მაღალი იერარქიის სასულიერო პირები?
- საბედისწერო წერილები პატრიარქს.

## marSiT `nacebis~ trrr..Si!



ra mizans emsaxureba forumis mier 27 seqtembers dagegmili marSi?

## qveyana avadaa _ `saerTo gazeTi~ konsiliums iwvevs




`ero, guli wagsvlia da gagZromia suli wminda, gonebaze rom moxvide asi aliyuri ginda!~



### კლიმენტი შელია:

როგორ შეიძლება საქართველოს ისტორიაზე სომხების მიერ დაწერილი „ქართლის ცხოვრებით“ ვმსჯელობდეთ?

kacobriobis istoria kolxeTiT iwyeba



„ბედნიერებამ მითხრა: ნუ მეძებ!“

ratom aravin axsena darialis kompleqsis mTavari damfinansebeli levan vasaZe kompleqsis gaxsnisas?



### სოსო მანჯავიძე:

მეტი რაღა უნდა გააკეთოს მიშამ, ტიტველი დარბის, ჰარამხანა ჰყავს, გადაბრუნებული ბოთლები, ალი და ნინოს ორგიები და ათასი სხვა უბედურება ხდება ქვეყანაში.

### xalxis azriT

არასდროს დაფიქრებულხართ, რატომ უნდა უნდოდეს სააკაშვილის რეჟიმს, რომ ყოველ მოსწავლეს მათი მიერ აწყობილი ნეთბუქი შეაჩეჩოს?

1) ბავშვის ტვინის მოდელირებისთვის; 2) კომპიუტერის დაზიანებისას მშობლების დასაჯარიმებლად; 3) ოჯახებში მოსასმენი აპარატურის ადვილად შესატანად.



# es ar aris saxelmwifo, es aris Cveulebrivi despotia, tirania, Zalmomreobaze dafuZnebuli cxovrebis wesi

## fragmentebi Temur qoriZis satelevizio gamosvlidan

**თემურ ქორიძე:** ჩვენს თაობას, განურჩევლად პარტიულობისა და მრწამსისა, 80-იან წლებში ყველას გვსურდა დამოუკიდებლობა, ყველას გვქონდა ეს ერთი უზენაესი ოცნება, იდეალი. იმიტომ, რომ ის ჩვენ არ გვენახა და არ განგვეცადა. მე მახსენდება ნეტარი ავგუსტინე, რომელიც წერდა: მიდით ნებისმიერ ტომთან, რომელსაც არავითარი ისტორია არ გააჩნია, ჰკითხეთ, გინდათ იყოთ ბედნიერი? არ იციან ამ ადამიანებმა რა არის ბედნიერება, მაგრამ მაინც გიპასუხებენ, რომ მათ ეს სურთ, რადგან ყოველი ადამიანი თავის თავში ატარებს გენეტიკურ მეხსიერებას თავისუფლების, ბედნიერების, პროგრესის, დამოუკიდებლობის შესახებ. და ჩვენ, როდესაც 80-იან წლებში მივდიოდით ამ დამოუკიდებლობისკენ, მხოლოდ ოცნებით არ ვიყავით შეიარაღებულნი.

თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა მოქალაქეებმა, რომლებიც დაიბადნენ და აღიზარდნენ საბჭოთა სისტემაში, უარი თქვეს უფასო სწავლაზე, უფასო ჯანდაცვაზე, უფასო დასვენებაზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ ვერ მოხერხდა მათი მენტალობის შეცვლა, გენეტიკური კოდის შეცვლა, ვერ შეიცვალა ადამიანის მისწრაფება თავისუფლებისკენ, დამოუკიდებლობისკენ და ამის შეცვლას ვერავინ მოახერხებს, თუნდაც მიხეილ სააკაშვილი მოიყვანონ, თუნდაც ახალი როზენბერგი და ანდა გებელსი. ანუ ქართველ ერს უხრწნელობისკენ, პროგრესისკენ სწრაფვის უდიდესი მუხტი აქვს. მაგრამ რა გვჭირს დღეს?! ეს კითხვა ხშირად ისმის. არ არის საჭირო ვითომ ჩვენი ე.წ. „პოლიტიკოსების“ მოწვევა, იმიტომ რომ ამ ადამიანებს არავითარი კავშირი პოლიტიკასთან არა აქვთ. რადგან პოლიტიკა ეს არის სახელმწიფოებრივი აზროვნება. დღეს საქართველოში არც ერთ პოლიტიკურ ძალას მორალური ავტორიტეტი არ გააჩნია. ამიტომაც სჭირდებათ მათ ეს მოწოდებები, შევიკრიბოთ და დავიწყოთ მარშიო, რათა დაუმტკიცონ ხალხს, რომ ცოცხლობენ. პრაქტიკულად, ჩვენ დღეს პოლიტიკური ელიტა არ გვყავს. ელიტა საუკეთესოს ნიშნავს, ჩვენ კი გვყავს „უარესი“. შევეგუოთ იმას, რომ საზოგადოების საუკეთესო ნაწილი პოლიტიკაში არ არის. რა დაგვრჩა, რა გვეშველება, როგორ გავიკვლიოთ გზა ამ უღრან ტყეში, რომელშიც ოცი წელია ვხეტიალობთ და ვეღარ გაგვირკვევია, საით წავიდეთ, ვის მივეკედლოთ. ძლიერი სახელმწიფოსთვის დგას მოკავშირის და პარტნიორის პრობლემა, ხოლო, როცა სახელმწიფო სუსტდება, ის ეძებს მფარველს. ახლა ჩვენ, პრაქტიკულად, მფარველის ძიების პროცესში ვართ. როგორ გავიდეთ ახლა ამ გზაზე, ვინ ვიწინამძღვროთ?! ნუ დაიჯერებთ, რომ ქვეყანას ლიდერი არ სჭირდება, რადგან ერის, ეპოქის იდენტიფიცირება ხდება სწორედ ერთ პიროვნებაში. ამას ისტორია ადასტურებს. ჩვენი ისტორიულ-კულტურული გონი აღსავსეა საქართველოს გადარჩენის იმდენი ვარიაციით, რომ მხოლოდ მონდომება და გონიერებაა საჭირო, რათა ვიპოვოთ ის უძვირფასესი მარგალიტი, რომელიც სამშვიდობოს გაგვიყვანს. ეს რესურსი საქართველოს ისტორიულ გონში არსებობს და შეგვიძლია გადავრჩეთ. ხოლო რაც შეეხება იმას, რასაც ჩვენ დღეს „პოლიტიკოსები“ გვთავაზობენ, ეს, რბილად რომ ვთქვათ, არის პოლიტიკური თამაში.

როცა ვუყურებ ამ ყოველდღიურ მასკარადს, როცა ეს ახალგაზრდა კაცი (პრეზიდენტი) ხან შიშველ-ტიტველი დარბის და ხან მტვერში გორავს, ცხადია, ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ის არის გაუწონასწორებელი, არაქართული, უცხო სხეული და ეს მართლა ტრაგიკული მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. კაცი, რომელიც ლაპარაკობს, რომ სვანეთი არის ევროპა, კაცი, რომელიც ერთ წინადადებაში სამჯერ ახსენებს „ძაან მაგარია“-ს, რომელიც ვერ აზროვნებს, ვერ მეტყველებს, კაცი, რომელიც არის საოცრად გაუნათლებელი, მისგან პროგრესს ნურავინ მოელის. შეცდომები ვის არ მოსდის, ერთი წელი ვიყავით ხელისუფლებაში და არაერთი შეცდომის დაშვება მოვასწარით. ეს ახალფეხადგმული სახელმწიფოსთვის ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ რასაც ვერ ვაპატიებ საზოგადოებრივ მოღვაწეს, ეს არის გაუნათლებლობა, უწიგნურობა. ძალიან მიკვირს, ოთხი თაობის ინტელიგენტ ოჯახში აღზრდილმა კაცმა, რომელმაც მოიარა მსოფლიო, როგორ შეძლო ყოფილიყო ასეთი ჩამორჩენილი და უწიგნური, ასეთი „გოიმი“. ვინ არის, საიდან მოვიდა?!

რატომღაც ზოგიერთს მიაჩნია, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ჩინებული პიარის ოსტატი. პირიქით, ის პიარი, რომელიც თავსმოხვეულია ალბათ, არაქართული წარმოდგენებისგან, მისთვის დამღუპველია.

დავუბრუნდეთ თემას - რა გვეშველება. შევთანხმდეთ იმაზე, რომ ჩვენი პოლიტელიტა არ არსებობს, ანუ არ გვყავს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე უკეთესი ადამიანი. მეორე - საზოგადოება არის სერიოზულ კრიზისში. ჩვენ ყველანი კრიზისის ადამიანები ვართ. 219 პარტიაა საქართველოში და ვინმემ რომ მითხრას, აირჩიე მათ შორის რომელიმეო, როგორ შეიძლება, რომ ჩემნაირმა ადამიანმა გააკეთოს არჩევანი. ვინ ვარ მე - კრიზისის ადამიანი, დათრგუნული, პერმანენტული დამარცხებების ტყვე, ჩვენ ხომ საქართველოს დამოუკიდებლობისგან მხოლოდ ტრაგედიები მივიღეთ. ანუ კრიზისული სიტუაციაა და კრიზისულ სიტუაციაში ჩატარებული არჩევნები არამც და არამც არ შეიძლება იყოს ჯანსაღი შედეგის მომტანი, ამიტომ 2012 წელს, რაც არ უნდა თავისუფლება და სამართლიანობა იყოს, ეს არჩევნები ვერ იქნება ერის ნების გამომხატველი. ჩვენ 2012 წელს არჩევნები კი არ გვჭირდება, არამედ მანამდე იმ ადამიანებისათვის ყურის დაგდება, რომელიც არის ერის კულტურულ-ინტელექტუალური ელიტა და რომელიც, საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს. საქართველოში საშუალო დონის პოეტსაც კი ვერ ნახავთ, რომლის ერთი ლექსი მაინც არ იყოს ჩვენი ერის პროგრამის გამომხატველი. ვინ იყო რაფიელ ერისთავი — "არ გავცვლი სალსა კლდეებსა"... შევადაროთ ეს მსოფლმხედველობა დღევანდელს, დღეს არათუ ვცვლით, არამედ თავქუდმოგლეჯილი გავრბივართ სამშობლოდან. საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ასეთი გაქცევა, ასეთი დევნილობა, ასეთი ტრაგიკული უარის თქმა საკუთარ ფუძეზე. სამშობლო დღეს ტვირთად და ჯალათად იქცა ქართველი კაცისათვის.

ჩვენ არა გვაქვს სახელმწიფო. ეს არ არის სახელმწიფო, ეს არის ჩვეულებრივი დესპოტია, ტირანია, ძალმომრეობაზე დაფუძნებული ცხოვრების წესი. თანაც უვიცთა და უმეცართა დესპოტია.

რაც შეეხება პარლამენტის ქუთაისში გადატანას. მათ სურთ მოშალონ ტრადიციული პოლიტიკური ცენტრი. თბილისი უახლოესი საუკუნეების განმავლობაში იყო პოლიტიკური ცენტრი და განსაკუთრებით მე-19-20 საუკუნეში. მთავრობის სახლის წინ არის წმინდა ადგილი პოლიტიკური პროცესებისა. ამ შენობას, ალბათ, გაყიდიან. პოლიტიკური პარტიები და მათ შორის ისინიც, 27-ში მარშს რომ გეგმავენ, შეცვივდებიან მომავალ პარლამენტში და იმ მილიონსაც აიღებენ, რასაც მათ სააკაშვილი ჰპირდებათ. მათთვის ეს მეტად მომხიბლავი თანხაა. უბრალოდ, ახლა სჭირდებათ სავაჭროდ დაანახონ სააკაშვილს, ჩემს გვერდით ამდენი ხალხი დგას და ცოტა მეტი ადგილი მოგვეცითო, თორემ ყველანი შევლენ პარლამენტში: ლეიბორისტებიც, ფორუმელებიც, ექვსიანებიც და ცხრიანებიც, ვინც კი წონადია ხელისუფლებისათვის და სჭირდება მას ხელის ბიჭად, ყველას შეიყვანს პარლამენტში. ჩაიყვანენ მათ ქუთაისში. ქუთაისი კი კარგა ხანს ვერ მომწიფდება, როგორც პოლიტიკური ცენტრი,რადგან დღეს იქ 100000 კაციც არ ცხოვრობს და პრაქტიკულად, მოხდება რეგლამენტირება, იზოლირება ქართული პოლიტიკური ცხოვრებისა. რა თქმა უნდა, მათ არ ექნებათ საშუალება, ისე აქტიურად იყელყელაონ ტელეეკრანებზე, როგორც ამას თბილისში აღწევდნენ.

თბილისში არ იქნება ადგილი, სადაც ქართველი საზოგადოება მოექცევა ყურადღების ცენტრში თავისი გასაჭირით. მხოლოდ იპოდრომზე, სტადიონზე შეგვეძლება შეკრება. მოკლედ დღეს კიდევ ერთხელ ჩვენ ვართ მოწმენი იმისა, რომ საქართველო როგორც სახელმწიფო არ არსებობს, და რაც ჩვენმა თაობამ უანგაროდ იბრძოლა, ყველაფერი წყალში ჩაგვიყარეს. ამიტომ უმთავრესი ფუნქცია ქართველი საზოგადოების არის არა მარში, არამედ შტურმი! ეს ხელისუფლება არის გასაძევებელი და მოსაშორებელი. ესენი არიან კორუმპირებულები და პირველ რიგში, სააკაშვილი. ეს არის კორუმპირებული ხელისუფლება. შეუძლებელია ასეთი გაღიმებული სახეებით დადიოდნენ.

მე გამსახურდია პრეზიდენტობის დროს გაღიმებული არ მინახავს. მისთვის პრეზიდენტობა იყო ტვირთი და ძალიან ძნელი საქმე. ის სამშობლოზე ფიქრობდა. როგორ შეიძლება დღეს ასე გახარებული იყოს კაცი?! თუ პიარის ოსტატი ჰყავს ვინმე, იქნებ უთხრას, რომ მისთვის უმჯობესია, უფრო დაღონებული სახე ჰქონდეს და ცოტა უფრო მოწყენილად გამოიყურებოდეს და არ ეცადოს, რა თქმა უნდა, ეროვნული მენტალიტეტის შეცვლას, იმიტომ რომ აბსოლუტური უმეცრებაა ამაზე საუბარი. ადამიანმა არ უნდა იცოდე ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, საერთოდ, წარმოდგენა არ უნდა გქონდეს მეცნიერებაზე, რომ გადაწყვიტო, მენტალური რევოლუცია უნდა მოვახდინოო. არსებობს ძველი რომაული გამოთქმა: „ჩემი ყველა მტერი მოკვდავია“. საგანგებოდ ვუკირკიტებ ხოლმე კრიტიკულ მომენტებს ქვეყნების ისტორიაში, განსაკუთრებით საფრანგეთს, რომელმაც ას წელიწადში ოთხი რევოლუცია გადაიტანა. ჰიუგო ერთგან ამბობდა: „ხალხმაც შეიძლება თავის თავს უღალატოს, დაიძინოს, დაიბნელოს თავიო“. მანამდე მონტესკიე შენიშნავდა, ხანდახან ჩვენ თავისუფლებას რიდე უნდა ჩამოვაფაროთ, როგორც ძველი ბერძნები თავიანთი ღმერთების ქანდაკებებს აფარებდნენო“. ხდება ასეთი რამ ერების ისტორიაში. საბჭოთა კავშირის პირობებში, რომელმაც ყველაფერი მისცა ადამიანს, რათა ის ახალ ლუარსაბ თათქარიძედ ჩამოყალიბებულიყო. ჩვენ მაინც შევინარჩუნეთ მენტალური პოზიტივიზმი, რაზეც თავის დროზე კაფკა წერდა: „ადამიანში არის რაღაც დაუნგრეველი, რომლის გარეშეც სამყაროს არსებობას აზრი არ აქვსო“. შეიძლება, არ ვარგივართ.

მაგრამ მჯერა, რომ შეუძლებელია ერის მენტალობის შეცვლა, ერის დაბერება და გადაშენება. ერის მენტალობა არის ჩვენი წინაპრები, საფლავის ქვები, ხელნაწერები, ჯერ არყოფილი მომავალი... ერი არ არის უმრავლესობის ნება, დემოკრატია, დასები, ხელისუფლება და ა.შ. ამასწინათ გამოიცა 1812 წლის კახეთის აჯანყების მასალები, დაკითხვის ოქმები, რომელსაც აწარმოებდა მაშინდელი საგამოძიებო სამსახური... ამ ოქმებში ვკითხულობთ, რომ რუსი ჯარისკაცები ჩასახლებული იყვნენ ოჯახებში. დიასახლისები მათ გამოუტანდნენ ყველაფერს, რაც კი ებადათ, ისინიც ღვინოს დალევდნენ და მერე ჩვენს თვალწინ ჩვენს ცოლებს აუპატიურებდნენ... წაგვიყვანდნენ სამუშაოდ და დაღლილი ხარების ნაცვლად უღელში ჩვენ შეგვაბამდნენო. ყველა ჩვენებაშია საუბარი ცოლის გაუპატიურებაზე, ერთ-ერთი წერს, 9 წელი ვიყავი ასეთ დღეში, ბოლოს და ბოლოს ვაჟკაცები ვართო. მაგრამ ისტორია მარტო ფაქტები არ არის. მას მაშინ აქვს აზრი ერისთვის, როცა არსებობს ისტორიის ფილოსოფია, როცა ისტორიის გააზრება ხდება. როგორც კი დაისმება შეკითხვა - „რატომ“ და მოგვინდება მასზე პასუხის გაცემა, ჩავთვალოთ, რომ ჩვენ უკვე მოაზროვნენი ვართ, ვფილოსოფოსობთ. უყვართ ხოლმე შედარება, ავთანდილი და ნაცარქექია. ნაცარქექია გაჭირვების კაცია, ავთანდილი კი ღირსების. ჩვენ ჯერ ჩვენი ეროვნული რესურსების მეასედის რეალიზებაც არ მოგვიხდენია. ისტორია ცხადყოფს, რომ გაელვებები გვქონდა ისეთი, უცხო თვალი ვერც კი დაიჯერებს, რომ ეს ქართველმა კაცმა შეძლო და შექმნა. ქართველ ხალხს დღეს სააკაშვილი დაატყდა თავს, როგორც სტიქია, რომელსაც ჩვენი ბუნებრივი პირობების გამო არ ვართ შეგუებული. ქართველი კაცი ხომ ბედის ნებიერია თავისი ცხოვრების წესით, მენტალობით და უცებ მოგვერია ეს უბედურება. ჩვენ კი საბრძოლო რესურსში არ გვაქვს იარაღი მასთან საბრძოლველად. ჩვენ არ ვიცით, როგორ ვებრძოლოთ ამ უბედურებას.

ნუ იტრაბახებენ ჩვენი პოლიტიკური პარტიები. აგერ შალვა ნათელაშვილი ამბობს — გამომიყენეთო. სხვათა შორის, ვიკითხე, როგორ უნდა გამოიყენო ადამიანი? ხორცს ვერ შეჭამ - კანიბალები არა ვართ და ტყავს ვერ გარდავქმნით. ბატონი გუბაზი ლაპარაკობს, 27-ში გამოვიდეთ და ვიაროთ რიტმულადო. ეს არ არის საშუალება. ანუ ეს ადამიანები არ არიან პოლიტიკოსები. მე კი ერთი რამ ვიცი: საქართველოში არსებობს უზარმაზარი კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც დღემდე არ არის გამოყენებული. დიახ, ასპარეზიდან უნდა განიდევნონ ფსევდოპოლიტიკოსები. გუბაზ, არაა, შვილო, ეს შენი საქმე...

პოლიტიკა, სახელმწიფოებრივი აზროვნება ამ ადამიანების საქმე არ არის და დროზე უნდა წავიდნენ. ნუ შემოაქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბნეულობა, ნუ ეწევიან პროვოცირებას. რას მერჩიან მე, უბრალო მოქალაქეს? გუბაზ, შვილო, არც შენ ხარ „ვეფხისტყაოსანის“ ავთანდილი, არც შალვაა ტარიელი, არც ნინოა ნესტანი და წადით, შვილებო, ოჯახებს მიხედეთ, მშვენიერი ოჯახები გყავთ, ბევრი წიგნი გაქვთ კიდევ წასაკითხი. წადით და პოლიტიკა დაანებეთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ჭკუადამჯდარნი არიან. ჩვენ ხომ გვყავს სიბრძნით სავსე ინტელექტუალური ელიტა?

ვიცი, რომ 2012 წელს ყველა პარტია, ვინც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, ამით თვითმკვლელობას გამოაცხადებს. მაგრამ მაინც ყველა მიიღებს ამ არჩევნებში მონაწილეობას, ყველა იბრძოლებს იმისათვის, რათა პარლამენტში მოხვდნენ. შემდეგ წავლენ ქუთაისში. იქ წყალია თურმე პარლამენტის ახალი შენობის გარშემო და სწორედ იმ ჭაობში ჩაიხრჩობიან. ამით მათი არსებობა დამთავრდება და ეს კარგი იქნება. მეორე ეტაპია 2013 წელი. სააკაშვილი ვერ მიიღებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, მან უნდა წამოაყენოს ვინმეს კანდიდატურა და სწორედ მაშინ შეუძლია გონიერ ადამიანს რეალურად იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებისთვის.

„კავკასია“

ნუ იტრაბახებენ ჩვენი პოლიტიკური პარტიები. აგერ შალვა ნათელაშვილი ამბობს — გამომიყენეთო. სხვათა შორის, ვიკითხე, როგორ უნდა გამოიყენო ადამიანი? ხორცს ვერ შეჭამ - კანიბალები არა ვართ და ტყავს ვერ გარდავქმნით. ბატონი გუბაზი ლაპარაკობს, 27-ში გამოვიდეთ და ვიაროთ რიტმულადო. ეს არ არის საშუალება. ანუ ეს ადამიანები არ არიან პოლიტიკოსები. მე კი ერთი რამ ვიცი: საქართველოში არსებობს უზარმაზარი კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც დღემდე არ არის გამოყენებული. დიახ, ასპარეზიდან უნდა განიდევნონ ფსევდოპოლიტიკოსები. გუბაზ, არაა, შვილო, ეს შენი საქმე...

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# erovnuli zeimi



სახელმწიფოში დიდი ეროვნული ზეიმია — პენსიონერებს პენსია ათი ლარით გაეზარდათ!

სააკაშვილი კარდაკარ დადის და ბედნიერ პენსიონერებს პერსონალურად ულოცავს ამ დიად მოვლენას.

პენსიონერებიც გახარებული ხვდებიან საყვარელ პრეზიდენტს და დიიდ მაადლობას უხდიან თვიანთ გამხარებელს.

— ჩემო სიხარულო, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო იმედოო — იმდენი ეფერა ქვეყნაზე ზრუნვით დამაშვრალ სააკაშვილს პენსიონერი ქალბატონი, რომ ამას კინაღამ ჩაეძინა, მაგრამ დროზე მოეგო გონს და რიხით დაწყებული „რეჩი“ რიხითვე ჩაარიხინა.

ღრმა სიბერეში შესულ პენსიონერთა ერთ ნაწილს უყვარს სააკაშვილი!

სააკაშვილი უყვართ აგრეთვე 7 წლამდე ასაკის ბავშვებს!

სააკაშვილი ღრმად მოხუცების და შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების საყვარელი პრეზიდენტია.

ფსიქოლოგები ამ ამბავს იმით ხსნიან, რომ ღრმად მოხუცებულთა ერთი ნაწილი და შვიდ წლამდე ასაკის ბავშვები თითქმის ერთი ჭკუისანი არიან და სინამდვილეს რეალურ ფერებში ვერ აღიქვამენ.

ასეა თუ ისეა, საქართველოში დიდი ეროვნული ზეიმია — პენსიონერებს პენსია ათი ლარით გაეზარდათ, თუმცა საკვებ პროდუქტებზე და მედიკამენტებზე ფასები 30-40-50 პროცენტით გაიზარდა.

— აბა, თქვენ რა გიხარიათ, ძვირფასო ბებიებო და ბაბუებოო? — იკითხავდა ვინმე ინტრიგანი, თუმცა ინტრიგნებისთვის, მოლაყბეებისთვის და დემაგოგებისთვის დიდი ხანია ალიკაპი აქვს ამოდებული ჩვენს ხელისუფლებას და სწორადაც იქცევა — ეროვნულ ზეიმს ვიღაც ინტრიგანებს ხომ არ ჩააშხამებინებს?



# samegrelos Cinelebi da amerikuli peplebi Seesivnen





სამეგრელოს ჩინელები და ამერიკული პეპლები შეესივნენ, რომლებიც ისე სწრაფად მრავლდებიან, მეგრელები სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილი.

— ჩვენი გაჭირვება არ გვყოფნიდა, ეს პეპლები და ჩინელები რას შემოგვისიეს? — წუხან მეგრელები — ან ამ პეპლებმა როგორ მოგვაგნეს ამერიკიდან აქ, ან ამ ჩინელებმა როგორ გამოიკვლიეს ამხელა გზა და რაღა მაინცდამაინც სამეგრელოს ტყეების დაპეპლვა გადაწყვიტეს?

პეპლებს და ჩინელებს ახლა იტალიელებიც დაემატნენ და სახნავ-სამძოვრებს ჩალის ფასად ყიდულობენ, რომ მერე ზედ თხილის პლანტაციები გააშენონ.

— ახლა დავრწმუნდი, რომ დაპყრობისთვის ტანკზე უფრო ეფექტური საშუალება ტრაქტორი ყოფილა! სამეგრელოს ტრაქტორებით იპყრობენ იტალიელები, პატრონი კი არავინაა! — განგაშს ტეხს პოეტი შუკო ჯიქია.

ერთი შუკო ჯიქია რას გააწყობს ამდენ დამპყრობელთან, როცა სხვები მონუსხულებივით უსმენენ ჰოლანდიელი რძლის მეგრულ სიმღერას და თვალზე ცრემლმომდგარი გულაჩუყებული სლუკუნებენ — სქანი გოლუაფირო, ჩქინი სქვამი ნოსა. (შენ შემოგევლე, ჩვენო ლამაზო რძალო).

იციან ამათ, რით და როგორ მოიგონ მეგრელის გული — ერთი-ორი სიტყვა უთხარი მეგრულად, ერთი-ორი სიმღერა უმღერე და რაც აბადია, ყველაფერს მოგცემს, მათ შორის სამშობლოსაც.



ამერიკული პეპლები პეპლავენ, ჩინელები ხერხავენ, იტალიური ტრაქტორები ფესვებიანად გლეჯენ ასწლოვან ხეებს, სამეგრელო კი სულგანაბული უსმენს პლასიდო დომინგოს სიმღერას —„ვაგიორქო მა, ვამორწონქო მა?..“

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

*აგვისტოს მიწურულს საქართველოში სოფლად თუ ქალაქად ბევრი სკოლა დაიხურა მოულოდნელად, ასევე მოულოდნელად განათლების მინისტრმა საზოგადობას ახალი სასწავლო პროგრამის დანერგვა ამცნო.*

*რა შედეგებს მოგვიტანს ეს ყოველივე, ამას დრო გვიჩვენებს, მანამდე კი საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრს – ქალბატონ ნინო გოგუაძეს.*



# ganaTlebis saministroSi batonymuri sistemaa Seqmnili

**– ქალბატონო ნინო, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე რამოდენიმე დღით ადრე განათლების სამინისტრომ ყოველგვარი განხილვის გარეშე შემოგვთავაზა ახალი სასწავლო პროგრამა, მანამდე ეს ყველაფერი სპეციალისტებს არ უნდა განეხილათ?**

– სწორედ ამ ახალ ეროვნულ პროგრამაზე დაყრდნობით მომზადდა ის სახელმძღვანელოები, რომლებიც სკოლებს შესთავაზეს. სამწუხაროა, ის, რომ ეს პროგრამები პირველიდან მეექვსე კლასამდე, დაიწერა ძალიან მოკლე დროში, ფორსირებულად სამ თვეში, ასევე, სწრაფად მოხდა სახელმძღვანელოების დაბეჭდვა. განათლების მინისტრმა გამოაცხადა, რომ ამ სახელმძღვანელოების შედგენაში მონაწილეობდნენ პრაქტიკოსი მასწავლებლები, თუმცა, საკვირველია, რატომ არ მოხდა ამ პროგრამის თუნდაც პილოტირება, რომ გაგვეგო რა შედეგს გამოიღებდა ის, ჩვენ იმდენი ფუფუნება არ გვაქვს, რომ ყოველწლიურად ვცვალოთ სასწავლო გეგმები. ერთი სასწავლო გეგმა 2005 წელს მივიღეთ და ის გახლდათ ხარვეზებიანი, რადგანაც მასში იყო ბევრი ფაქტობრივი, აზრობრივი და შინაარსობრივი შეცდომა. ის თუ შეიცვალა კარგია, მაგრამ ასე სწრაფად ჩამოყალიბებული გეგმა გაამათლებს? არ უნდა ემსჯელათ მასზე სპეციალისტებს? არ უნდა გამოქვეყნებულიყო წინასწარ? კიდევ ერთი შეცდომის დაშვების უფლება გვაქვს?

**– ხომ შეიძლება ამ პროგრამამ ისევ ისეთი შედეგი გამოიღოს, რა შედეგიც მივიღეთ. ბოლო წლებია, როდესაც მიხვდნენ, რომ საბუნებისმეტყველო ფუნდამენტური მეციერებანი ბოლო ათი წელია სკოლებში არ ისწავლებოდა და მეცნიერების ამ დარგებს სრული გაქრობა ელოდა?**

– საბუნებისმეტყველო დარგებში განათლება რომ აღარ არსებობდა სკოლებში, ბოლოს ამას მიხვდნენ და ატეხეს აჟიოტაჟი, მაგრამ მიხვდნენ ამას ისევე ფრაგმენტულად, როგორც ამ ხელისუფლების პოლიტიკაა წარმართული. ტრიმესტრული მეთოდით სწავლებამ რა შედეგიც მოგვცა, ისიც დავინახეთ. ფუნდამენტური მეცნიერებების – ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის კათედრები გაუქმდა უნივერსიტეტებში და დაერქვა მათ მარტივი სახელი – მიმართულებები. ამ ფრაგმენტული ხასიათის სიახლეებს მიეკუთვნება ისიც, რომ გაუქმდა ბევრი ინსტიტუტი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. ვინმეს ჰკითხეს ამის შესახებ? იფიქრეს, თუ რა მოელის ამ მეცნიერებებს?

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საბუნებისმეტყველო დარგების ფაკულტეტზე მოწყობილ სტუდენტთა დაფინანსება, ანუ გრანტები გაიზარდა. კი, მაგრამ, თუ ჩააბარებს აბიტურიენტი ამ ფაკულტეტებზე, დაამთავრებს და ვერ იმუშავებს, რა აზრი აქვს ასეთ სწავლას ან სწავლის დროს დაფინანსებას? მთავარი ხომ მაინც შედეგია. სად იმუშავებს შემდგომ კურსდამთავრებული? ამაზე უფიქრია ვინმეს? ასეთი ზედაპირული მიდგომა და ცვლილებები ვის სჭირდება? ასეთი წერტილოვანი დარტყმებით ამდენი დახვავებული პრობლემების მოგვარება შეუძლებელია! ყველაფერი ერთიან კონტექსტში უნდა იყოს განხილული, სკოლიდან მეცნიერების ჩათვლით და არა ფრაგმენტულად.

**– გაუქმებულ სკოლებზე რას იტყვით, 15 სექტემბერს ბევრი მოსწავლე ხელისუფლებამ პირდაპირ ფაქტის წინაშე დააყენა, როდესაც მოსწავლეები სკოლაში მივიდნენ და ის სკოლა უკვე გაუქმებული დახვდათ...**

– ეს მართლაც ძალიან სერიოზული საკითხია, ის შეეხო როგორც რაიონის სკოლებს, ასევე თბილისისა და სხვა ქალაქის სკოლებს.

თავიდან სკოლების ოპტიმიზაცია დაიწყო ჯერ კიდევ ლომაიას მინისტრობის დროს, მაშინაც ათეულობით სკოლა დაიხურა და ავტობუსებით დაჰყავდათ ბავშვები ერთი სოფლიდან მეორეში. ერთ შემთხვევას გავიხსენებ იმ დროისას. ზემო აჭარაში, როდესაც ლომაიამ სკოლები დახურა, ჰკითხეს მას, ხომ დაიცლება ასეთი მიდგომით სოფლებიო და იცით, რა უპასუხა ზემო აჭარა ეკოლოგიურად საშიში ზონაა და მოსახლეობის ცხოვრება იქ არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენსო. მერე შემოვიდა სკოლების ვაუჩერული დაფინანსება, რომლებმაც გააკეთა ის, რომ მცირებიუჯეტიანი სკოლები გაკოტრდა, ანუ ისეთმა პოლიტიკამ მაშინ არ იმუშავა, იმიტომაც გააუქმეს.

შეგვესწავლა და ამ ფაქტებს თავად წავაწყდით და ვნახეთ. მარტო მარტვილის რაიონში 4 სკოლა დაიხურა და ბავშვებს უწევთ 12-20 კილომეტრის გავლა ფეხით, რომ მეზობელ სოფელში სკოლაში მივიდნენ. ამჯერად უკვე ლომაიას ავტობუსებიც არ ჰყავთ, რომ იმით გადაადგილდნენ.

ნუ დაგვავიწყდება, რომ განათლება არის ღირებულება, და საბედნიეროდ, საქართველოში ამ ღირებულებას ჯერ კიდევ ფასი აქვს. მშობელი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შვილს მისცეს განათლება. ამ პოლიტიკით კი ის იძულებულია გადასახლდეს იქ, სადაც შვილს ასწავლის, ამით ჩვენ ხელს ვუწყობთ იმას, რომ განათლება გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი აღარ არის.



სოფელი იშლება მოსახლეობისაგან და ამით რას ვიღებთ, ვინმემ იცის? პარალელურად ახალ ქალაქებს რომ აარსებენ. ამას რა ჰქვია? ეს გახლავთ მუდმივი ქაოსი!

თამაკონის სკოლის მაგალითი კი მთლად ანეგდოტურია. აქ იყო საბაზო სკოლა და ახლა დაპირდნენ მოსახლეობას, რომ იქ იქნება ოთხწლიანი სკოლა მხოლოდ. კანონში წერია, რომ სკოლას აქვს სამი საფეხური, 1-დან 6 კლასამდე, 7-დან 9-მდე და მეცხრედან მეთორმეტემდე. პირველიდან მეოთხემდე რა საფეხურია, ვინმემ იცის? აბა, რატომ უნდა იყოს თამაკონში ოთხწლიანი სკოლა? სკოლა არის ის დაწესებულება, რომელიც მოიცავს ერთ საფეხურს მაინც. ამ შემთხვევის გამო ჩვენმა პარტიამ შეკითხვით მიმართა განათლების სამინისტროს, რათა აგვიხსნან, თუ რას ნიშნავს ოთხწლიანი სკოლა, ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია. ვნახოთ, რა იქნება. ვიცით ერთი, რომ კანონის შე-

შარშან შაშკინმა შეცვალა მეთოდი და თქვა, რომ მცირებიუჯეტიანი სკოლები არ დაიხურება და დეფიციტურბიუჯეტიანი სკოლები აღარ გვექნებაო. ერთი მხრივ, ეს მიდგომა სწორი იყო, მაგრამ მოულოდნელად წელს დაიწყო „გიჟური პროცესი“ სკოლების ოპტიმიზაციის და სოფელსოფელ სკოლები დაიხურა.

ჩვენი პარტია ვიყავით ზუგდიდის რაიონში, რათა ეს საკითხი საბამისად მაინც იმოქმედონ, ან მოგვცენ პასუხი.

თბილისში კი გარდა იმისა, რომ გაუქმდა სკოლები ვაზისუბანში დიდ დიღომში და ა.შ. ზოგი სკოლა გაიყიდა, ამაზეც მოგახსენებთ მაგრამ აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ ამასწინანდელ საპარლამენტო მოსმენის დროს შაშკინმა განაცხადა, რომ სკოლების ოპტიმიზაცია და მიგრაცია ბუნებრივი პროცესია და ვინც ამას ასე არ უყურებს, საბჭოთა კავშირის დროს ჩარჩენილი ადამიანიაო. ეს უკვე სასაცილოა, რადგანაც სკოლის ოპტიმიზაცია ბუნებრივი პროცესი რატომ არის, ეს გაუგებარია, რა, სკოლები თავისით იხურება? ან მიგრაცია ბუნებრივი პროცესია? ამას იძახის ადამიანი, რომელიც ხელისუფლების წევრია – ეს უკვე სამარცხვინოა! მთავრობა იმიტომ არსებობს, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს თავისი მიდგომა და პოლიტიკა თუნდაც მიგრაციასთან დაკავშირებით – რაც დღეს არ არსებობს! ადამიანის არჩევანი არ არის, რომ ის სოფლიდან წვიდეს, მაგრამ თუ დაუხურავს სკოლას, არ შეუქმნი პირობებს, რომ იქ იარსებოს, ეს არის იძულებითი მიგრაცია და მიზანმიმართული და არა ბუნებრივი პროცესი, როგორც აცხადებენ.

რაც შეეხება თბილისის საჯარო 187-ე სკოლს, აგვისტოში ეს სკოლა გაიყიდა, მასწავლებლები დათხოვნილი იქნენ, დირექტორიც გათავისუფლდა და ის იყიდა შპს – ასი ათასი მოწამის სახელობის კერძო სკოლა „ფესვებმა“. ეს უფასო საჯარო სკოლა, უფასო სექტორის სახით შეუერთდა ამ შპს-ს სკოლას. მერე როგორ განვითარდება პროცესები, გაურკვეველია, არის დიდი ეჭვი იმისა, რომ ის კერძო სკოლად გადაკეთდება მთლიანად. მასწავლებლებს შესთავაზეს მძიმე პირობები, კერძოდ მხოლოდ საათების ანაზღაურება შვებულების გარეშე, ასევე არდადეგების გარეშე. ფაქტობრივად, ეს არის კაბალური ხელშეკრულება, რომელსაც ეს სკოლა თავის მასწავლებლებს სთავაზობს.

სამწუხაროდ, ეს ამ სკოლის დირექტორის ბრალი არ არის, განათლების მინისტრის დამოკიდებულებაა ასეთი ცინიკური მასწავლებლების მიმართ, მან დანერგა ეს მეთოდი და ახლა კერძო სკოლის დირექტორს რა უნდა მოვთხოვოთ? მინისტრმა ბრძანა, რომ სკოლის დირექტორების გადასაწყვეტია, ვის აიყვანენ მასწავლებლად და ვის არაო. ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც შაშკინმა დაამკვიდრა. მას არ ესმის, რომ ის რაიმე აბსტრაქტული სამინისტროს მინისტრი კი არ არის, არამედ ამ პედაგოგების მინისტრიც არის და ამ მასწავლებლების წინაშე მან პასუხი უნდა აგოს, მათი ღირსების და უფლებების დაცვა, მისი, როგორც მინისტრის უმთავრესი მოვალეობაა, რასაც იგი არა თუ არ აკეთებს, არამედ პირიქით საპირისპიროდ ექცევა მათ. ეს არის ბატონყმური სისტემა, რომელიც დამკვიდრებულია განათლების სამინისტროში!

ნაციონალების ერთი ჯგუფის მიერ ხშირად გაისმის ხოლმე, რომ საჯარო სკოლები საერთოდ არ არის საჭირო და უნდა მოხდეს მათი კერძო სექტორში გადაცემა. მსოფლიოში ასეთი რამ არსად არ არსებობს, არც ერთ დემოკრატიულ ან თუნდაც ავტორიტარულ ქვეყანაში არავის თავში აზრად არ მოსვლია, რომ განათლებაზე პასუხისმგებლობა მოეხსნა და აქ რა ხდება? რატომ უნდა განვითარდეს მხოლოდ კერძო სექტორი? ეს აბსურდია, მაგრამ ამ ხელისუფლებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, რაც ძალიან სამწუხარო შედეგებამდე მიგვიყვანს.

ვფიქრობ, ასევე შესწავლას მოითხოვდა ის საკითხი, რომ შეიძლებოდა თუ არა პირველკლასელებს სწავლა დაეწყოთ „ნეთბუკებით“, ალბათ, უპრიანი იქნებოდა, ფსიქოლოგებს შეესწავლათ ეს საკითხი და დაედასტურებინათ, რა დადებით ან უაყოფით შედეგს გამოიღებს ეს სიახლე და მერე დაენერგათ ის სისტემაში.

**ეთერ კასრელიშვილი**



## თინა ხიდაშელი „მზიურში“ მშენებლობის აკრძალვას ითხოვს

**თბილისის საკრებულოს რესპუბლიკელი წევრი თინათინ ხიდაშელი “მზიურის” ტერიტორიაზე დაგეგმილ მშენებლობას აპროტესტებს და მერიას თბილისში არსებული პარკების შენარჩუნებისკენ მოუწოდებს.** საკრებულოს დეპუტატი დედაქალაქის ხელისუფლებისგან „მზიურის“ პარკის სარეკრეაციო ზონად გამოცხადებული ტერიტორიის ფართის დაკონკრეტებას მოითხოვს. როგორც დღეს “მზიურში” გამართულ პრესკონფერენციაზე ხიდაშელმა აღნიშნა, თბილისიის მერიის არქიტექტურის სამსახურმა აღნიშნულ პარკში მშენებლობის დაწყების ნებართვა ვინმე ვართანოვასა და ხაჩიძეზე გასცა. მისი ცნობით, პროექტის სამშენებლო მოცულობა 6 ათასამდე კუბურ მეტრს შეადგენს, რაც 500-მდე კვადრატული მეტრის ფართობს დაიკავებს. „სულ ცოტა ხნის წინ მერიამ „მზიურის“ აღდგენის პროექტის პრეზენტაცია გამართა, რომელშიც დაკონკრეტებული არ არის პარკის რა ფართობი შენარჩუნდება. პრეზენტაციამდე კი, 25 აგვისტოს, თბილისის არქიტექტურის სამსახურმა პარკის ტერიტორიაზე მშენებლობის დაწყების ნებართვა გასცა. მოვითხოვ, მერიამ წარმოადგინოს დოკუმენტაცია „მზიურის“ პარკი შექმნის მომენტში რა ფართობს მოიცავდა და ახლა რამდენ ფართობი დარჩა და აქედან რამდენია გაუჩეხავი ტყე-პარკი. ასევე გვაინტერესებს, სამომავლოდ და რა ფართობზე დარჩება სარეკრეაციო ზონა”, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

„მედიანიუსი“

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# „ბედნიერებამ მითხრა: ნუ მეძებ!“

რამდენიმე დღის წინ დარიალის ხეობაში რუსეთ-საქართველოს საზღვართან მთავარანგელოზის სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსი გაიხსნა, თუმცა მისი მშენებლობა ამ დროისთვისაც გრძელდება და მასთან ინფრასტრუქტურული პროექტის მისადაგება იგეგმება. როგორც პატრიარქმა თქვა, აღნიშნული ტაძარი გახდება ის ადგილი, სადაც ქვეყნის პრეზიდენტები ისაუბრებენ და დასძინა „მე და ჩვენ, ყველანი, ბედნიერნი ვართ, რომ ამ წირვას საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი მიხეილი დაესწრო და ეს ტაძარი მიხეილის სახელობისაა... ეს ტაძარი სასწაულს გვიჩვენებს



ჩვენ და ეს სასწაული გამოიხატება იმაში, რომ ჩვენი ქვეყნები ისევ მშვიდობიან ვითარებაში იქნებიან...“

მონასტერში საზეიმო წირვა-ლოცვა უწმინდესმა აღავლინა და სასწაულის მომლოდინე რიგითმა ქრისტიანებმა ტელევიზიით ვიხილეთ ქრისტეზე დიდი ქრისტიანი საქართველოს პრეზიდენტი და მისი რაზმი, – ვაი, ჩვენს პატრონს!

სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა 2005 წელს დაიწყო, – გასაგებია, ფრთა შეესხა პატრიარქის ჯერ კიდევ აღსაყდრების დროს მიღებულ გადაწყვეტილებას.

შარშან გერგეტობის დღესასწაულზე, 16 ივლისს, დამოუკიდებლად, მაგრამ ფაქტიურად პატრიარქთან ერთად მრევლიც გახლდათ. გერგეტის სამებიდან ყველანი მშენებარე კომპლექსისკენ გაემართნენ. მაშინ იქ ითქვა, რომ მამათა სამონასტრო კომპლექსს აშენებს ლევან ვასაძე. ეს არავისთვის წარმოადგენდა სიახლეს, რადგან ამა წლის 15 სექტემბრამდე, სანამ პრეზიდენტის ყელყელაობა არ იხილა ტელემაყურებელმა, ყველამ ასე იცოდა, რადგან, ვისაც მეხსიერება არ ღალატობს, კარგად ახსოვდა ლევან ვასაძის ლექსი-ლოცვანი „ბედნიერებამ მითხრა: ნუ მეძებ!“ რომელიც სამონასტრო კომპლექსში ითქვა. იმხელა რეზონანსი ჰქონდა ამ ლექსს, ისე აიტაცა ხალხმა, გარკვეულ წრეებში იმაზეც კი დაიწყეს საუბარი, რომ ლექსი-ლოცვანი ლევან ვასაძის საარჩევნო კლიპი იყო პრეზიდენტობისკენ სავალ გზაზე. საქართველოს უმაღლესი ხელისუფალისგან ისედაც ათვალწუნებულ ვასაძეს ამ ლექსის შემდეგ უფრო ჩაურაზეს საქართველოს კარი და გადაულახავ ზღუდედ უქციეს ექვსი შვილის მამას საკუთარი სამშობლოს მოქალაქეობა. (ეს მაშინ, როცა საქართველოში პაპუა-გვინეის მზისქვეშ შობილ უგვარო ადამიანებსაც კი არ აყვედრიან ორმაგ მოქალაქეობას).

ახლა მთლად გაოგნდა მაყურებელი, როცა მოისმინა, რომ დარიალის კომპლექსი სახელმწიფოს დაფინანსებით აშენებულა, – რა გაგება უნდა, მაგრამ მაინც, მოდი და გაიგე, როდის, ვინ როდის და რატომ ცრუობს...

უკმაყოფილოა ხალხი, კიდევ ერთხელ (მერამდენედ) უკმაყოფილია საქართველოს საპატრიარქოს პოზიციით, უკმაყოფილოა იმდენად, რომ საეჭვოა, როდესმე კიდევ ისე აივსოს სამების ეზო, როგორც ამა წლის მაისში...

დღეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ყველა მონაცემით არის პოლიტიკური თამაშის ერთ-ერთი დიდი ორგანიზაცია, რომელსაც ხელთ უპყრია ქართველი ერის სულიერი სამყაროს დიდი ნაწილი და ათამაშებს ისე, როგორი დაკვეთაც არის ხელისუფლებიდან და როგორც თვითონ წაადგება.

ეს თუ ასე არ არის, მაშ, რა მოხდა დარიალში? – ამას როცა გავაანალიზებთ, ნათლად გამოჩნდება რა დღეშია თვით საქართველო, როგორ იტყუებს თავს ქართველი, მოაზროვნე ინტელიგენციის თუნდაც ის ნაწილი, რომელიც არსებული ხელისუფლების იდეოლოგიური მოწინააღმდეგეა, მაგრამ მეორეს მხრივ ენას იჩლექს პატრიარქის წინაშე.

პატრიარქის მონიშნულ და მისივე ინიციატივით წამოწყებულ სამონასტო კომპლექსის მშენებლობას აფინანსებდა რუსეთში (მოსკოვში) მოღვაწე ბიზნესმენი ლევან ვასაძე, ხოლო შავნაბადას მამათა მონასტრის არქიმანდრიტი მამა შიო მთელი შავნაბადას მონასტერში მოღვაწე პირებთან ერთად ჩართული იყო სამშენებლო სამუშაოებში, მაგრამ არავის უხსენებია ისინი, – ადამიანს გული დაგწყდება უმადურობაზე...

ამბობენ, რომ იმ დროს, როცა მონასტრის გრანდიოზული კომპლექსის ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებული და უამრავი თანხა იყო დახარჯული, პირდაპირ უთითებენ პატრიარქს, რომ კომპლექსი ვასაძემ არ უნდა დაასრულოს. რა თქმა უნდა, თუ ვასაძე დაფიქსირდებოდა მის ამშენებლად, სახელი სახელად, მის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვან შტრიხად და, თვით ხალხში მოიპოვებდა უდიდეს კეთილგანწყობას და პატივისცემას, განა ეს „აწყობდა“ ხელისუფლებას? – ვასაძე ხომ სხვებზე მეტად სახიფათო ბუათაგანია...

როგორც ამბობენ, მონასტრის მშენებლობისთვის ზღვა თანხის გამღებ ვასაძეს პირდაპირ ვერავინ უთხრა სასულიერო პირთაგან, ჩამოგვშორდიო, მაგრამ პატრიარქმა რომ ურთიერთობა გაუცივა ლევანს, თვალშისაცემი გახდა მისთვის. შესაბამისად, ორი წლის წინ მთელი ზაფხული იყო მოლოდინის ზაფხული და ვასაძემ აღარ დააფინანსა მშენებლობა, რომლის ხარაჩოებზეც, მშენებლობის დაწყების დღიდან თვითონ იდგა, ძალიან ხშირად. სწორედ ამ დროს იყო უწმინდესი ყაზბეგში აბრძანებული, რომელსაც ფეხდაფეხ მიჰყვა



პრეზიდენტი და მოხდა ისე, რომ უწმინდესმა თვით სთხოვა პრეზიდენტს, იქნებ დაგვამთავრებინოო. რა თქმა უნდა, პრეზიდენტი ამის მოლოდინში იყო, რადგან ცხადია, ხელს აძლევდა და კომპლექსს ხელისუფლების სახელით გადაერიცხა კიდეც 2 მლნ ლარი.

ხელისუფლების დაფინანსებული რატომ არის, ეს ხომ ჩვენი, ხალხის ჯიბიდან უკვე ამოღებული ან აწ ამოსაღები ფულია. ხალხი, ისევე როგორც სხვა ეკლესია-ტაძრების მშენებლობა-რესტავრაციისთვის არის გამღები თუნდაც თითო ლარისა, ისე დავასრულებდით ამ კომპლექსა, მაგრამ არა, საპატრიარქომ მისცა საშუალება ხელისუფლებას, რომ ისევ ჩვენ გაგვატყავოს და თანაც მანვე გვაყვედროს რაღაც...

15 სექტემბერს გამობრძანდა საქართველოს პრეზიდენტი და ნიშნისმოგებით დაიწყო ლაპარაკი, მაშინ, როდესაც თბილისში ოპოზიცია ყაყანებდა, ჩვენ ეკლესიებს ვაშენებდით და ავაშენებთ კიდეცო, ცერი თითით უკან, მონასტრისგან აჩვენებდა. ხსენება არ იყო არც ლევან ვასაძისა და არც მამა შიოსა და შავნაბადელებისა, რომლებიც როცა ხელისუფლება თბილისში ოპოზიციას კი არა, საკუთარ ხალხს წამლავდა, სცემდა და ხოცავდა, რა მონასტერი შენდებოდა და რომელი მთის კალთაზე, სრულებით არ აინტერესებდა...

გულგატეხილი ქრისტიანი მრევლი კითხვას სვამს: კარგი, პატრიარქო, გეუბნებიან, რომ არ „აწყობთ“ ლევან ვასაძის აშენებული მონასტერი, სხვა ბიზნესმენს ან ხალხს ვერ შესთხოვ? თუკი არ შეგეძლო უზრუნველგეყო დამფინანსებლის სოციალური ავტორიტეტი და დაგეცვა როგორც მისი, ასევე საკუთარი ავტორიტეტი, რატომ შეეჭიდე ამ საქმეს და, პირდაპირ ხალხის და მთლიანად ერის დამაქცევარ ხელისუფლებას მიმართავ? ეს არის მართლმადიდებლური პოლიტიკა? – ეს არის ხელისუფლების ჯიბეში თავის შერგვა და მის მუხლებზე დასკუპება.

ამ ამბების შემდეგ ჩვენ უნდა დავიჯეროთ, რომ საპატრიარქო რაიმე სახის წინააღმდეგობას გაუწევს ხელისუფლებას?

უმადურობას თავი რომ დავანებოთ, ამორალური ფაქტის წინაშეც დავდექით, – პრეზიდენტი (ხელისუფლება) საეპარქიოების უმეტეს ნაწილს, ანუ მეუფეებს, რომლებიც სიმპათიას ბადებენ მასში, 2-2 მლნ გადაურიცხა უახლოეს ხანში, სინოდის ე.წ სამარცხვინო კრების შემდეგ ძალაუნებურად გიჩნდება ეჭვი, – ის, რომ სინოდის წევრთაგან ზოგი წინააღმდეგი იყო და ხმა არ მისცა კანონს, ზოგი დაეთანხმა, ესეც იყო თამაში, რადგან სინოდი ერთია და არა ცალკეული პირი და სწორედ რომ ესაა საპატრიარქოს პოლიტიკური თამაშის ერთ-ერთი ნიუანსი.

თუკი პრეზიდენტი (ხელისუფლება) თანხებს აძლევს საეპარქიოებს, ჯიპებს ურიგებს მეუფეებს, თუკი თავისთვის სასურველ გადაწყვეტილებებს იღებს სინოდში



## ratom aravin axsena darialis kom leqsis mTavari damfinansebeli levan vasaZe komp leqsis gaxsnisas?

და ა. შ ყოველმხრივ ცხვირჩარგულია საპატრიარქოს საქმიანობაში, რაღა დანიშნულებისაა საპატრიარქო, აგერ, მთავარსარდალია კაცი და ესეც ჩავაბაროთ, ისედაც ყველაფერი მას აქვს ჩაბარებული და ერის სულიერი მამობაც მას ჩავაბაროთ...

განა საპატრიარქოში არ იციან, რა ძალაა ხელისუფლება? – ძალა, რომელიც ქვეყანაში ამკვიდრებს ამერიკანიზმს, ძალა, რომელიც საქართველოში შეურაცხყოფს ქართულ ენას, ძალა, რომელიც ანგრევს ყველაფერ ეროვნულს და ანგრევს უპირველესად ერის სულიერებას, ძალა, რომელიც ანგრევს ეკლესიას, ეკლესიის დამანგრეველი კი მხოლოდ ეშმაკის ძალაა.

ხალხს არ სჯერა, რომ „პრეზიდენტი და მისი რაზმი“ მართლმადიდებლები არიან, რამედ აგდებენ ხატსა და ჯვარს, ბიბლიასა თუ ათი მცნებიდან ერთს მაინც და საპატრიარქოს სჯერა?

**მაია ჭელიძე**

***P. S.* ახლა შენდება კიდევ და ამას ალბათ, ველარ მიიწერს ვერავინ კიკეთის შესასვლელში უმშვენიერესი ტაძარი, რომელსაც ლევან ვასაძე აშენებს, თუმცა, ეს ხომ საქართველოა, ვინ ვის რას მიაწერს, ვინ ვის რაში გაურიგდება და ვინ რას მიიწერს, მალე გაირკვევა, რადგან ფაქტიურად დასრულებულია მისი მშენებლობა.**

`saerTo gazeTma~ qarTlis erT sofelSi 74 wlis mTavarepiskopos meufe ilarions miakvlia, romelic patriarq daviT V-is anderZis Tanaxmad, misi sikvdilis Semdeg, patriarqad unda ekurTxebinaT



მეუფე ილარიონი 16.09. 2011 წ.

# cxedrebiT mofenili gza sapatriarqo taxtisken

● ვინ გახსნა დალუქული სეიფი და ვინ შეცვალა დავით V-ის ანდერძი, სადაც მომავალ პატრიარქად ირაკლი შიოლაშვილი კი არა მეუფე ილარიონი სახელდებოდა?

● ვინ მოწამლა მეუფე ილარიონ სამხარაძე, რომლის შემდეგ ის დამუნჯდა და დღემდე მდუმარებაშია?

● რატომ დაიღუპნენ საიდუმლო ვითარებაში მაღალი იერარქიის სასულიერო პირები — პატრიარქი დავით V, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავით ჭკადუა, ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი), ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე)?

● საბედისწერო წერილები — რაში ამხელდნენ ილია II-ს საეკლესიო პირები, რომლებიც ამ წერილების გახმაურების შემდეგ საეჭვო გარემოებაში დაიღუპნენ?

თუ ვინმემ არ გითხრა, ძნელია დაიჯერო, რომ ეს მოხუცი კაცი, რომელიც ქართლის ერთ სოფელში ფარღალალა ქოხში მარტო ცხოვრობს, მთავარეპისკოპოსია და პატრიარქ დავით V-ის ანდერძით, მისი სიკვდილის შემდეგ პატრიარქად სწორედ ის უნდა ეკურთხებინათ.

ზის თავისი ქოხის წინ, თხელი მაისური, სპორტული შარვალი და ვალინკები აცვია.

მუნჯი არ არისო, ამბობენ სოფლელები, მოწამვლის შემდეგ არ ლაპარაკობს, სულ დუმს, ჟესტებით მპასუხობს, ან დაფაზე თითებით გამოჰყავს ასოები და ასე გაგებინებს სათქმელს.



მეუფე ილარიონი 1977 წ.

საოცარი თვალები აქვს, თითქოს ვარსკვლავები უზის გუგებში და რომ შემოგხედავს, სიკეთეს და სიყვარულს გასხივებს...

მთავარეპისკოპოს მეუფე **ილარიონ სამხარაძის** ნახვა მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც საეკლესიო წრეებთან დაახლოებულმა პირმა საქართველოს ყოფილი მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგური საბჭოს წევრის წერილი გადმოგვცა:

*„1976 წლიდან ვმუშაობდი საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიურ საბჭოში. ჩვენი მოვალეობა იყო მთავრობასა და ეკლესიას შორის კავშირი დაგვემყარებინა. ჩვენი ნებართვის გარეშე ვერც ერთი ეპისკოპოსი ან მღვდელი ვერ იკურთხებოდა. ჩვენი საბჭო ყოფილი უშიშროების თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული, აქედან გამომდინარე, თითოეული სასულიერო პირის ვინაობა დაწვრილებით ვიცოდით, ისიც კი ცნობილი იყო ჩვენთვის, პატრიარქს ვის სახელზე ჰქონდა ანდერძი დაწერილი, რომელიც ინახებოდა მისივე ხელით დალუქულ სეიფში.*

*1977 წელს, როცა პატრიარქი დავით V გარდაიცვალა,*

***ვიცოდით, რომ პატრიარქს ანდერძი დაწერილი ჰქონდა მთავარეპისკოპოს ილარიონ სამხარაძეზე. ისიც ვიცოდით, პატრიარქობას მიტროპოლიტ გაიოზ კერატიშვილს ჰპირდებოდა.***

***პატრიარქის გასაიდუმლოებულ ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ მის მიერ დალუქული სეიფი რომ გახსნეს, ანდერძში ილია II-ის გვარი იყო მოხსენიებული. საბჭოს წევრები გაოგნებული დავრჩით, გაგვიკვირდა, ვის შეიძლებოდა გაეხსნა დალუქული სეიფი და შეეცვალა ანდერძი.***

*ასე იყო თუ ისე, 1977 წელს 25 დეკემბერს ანდერძის საფუძველზე ილია II პატრიარქად აკურთხეს. ამის შემდეგ ეკლესიაში დაპირისპირება დაიწყო. მეუფე ილარიონი (სამხარაძე) სიმართლის დადგენას მოითხოვდა, ხოლო მიტროპოლიტი გაიოზი პატრიარქობისთვის იბრძოდა, რადგან ის იყო ქორეპისკოპოსი, ე.ი. პირველი პირი პატრიარქის*

***შემდეგ ჯერ კიდევ ეფრემ II-ის დროს. დავით V-ის გარდაცვალების მერე კერატიშვილი ხატების ქურდობის ბრალდებით ციხეში გაუშვეს, ხოლო ილარიონ სამხარაძე გაურკვეველ ვითარებაში მოწამლეს.***

*მინდა შევეხო ერთ ძალიან მტკივნეულ საკითხს. 1982 წლიდან საქართველოს საპატრიარქოში კვლავ დაიძაბა მდგომარეობა. ხუთი ეპისკოპოსის მოთხოვნით თბილისში გავრცელდა პროკლამაციები, რომელსაც არიგებდნენ ფაბრიკა-ქარხნებში. ისინი მოითხოვდნენ მამათმავალი ეპისკოპოსების განკვეთას. მთავრობამ დაგვავალა შეგვეცვალა პატრიარქი ილია II იმ მოტივით, რომ ეკლესიაში მომრავლდნენ მამათმავლები. კანდიდატურაც კი იყო წარმოდგენილი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავით ჭკადუა, რომელსაც რამდენიმე დღეში უნდა დაეკავებინა პატრიარქის სავარძელი, მაგრამ საქმეში ჩაერია შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი ვარლამ შადური (როგორც ამბობენ, ილია II-ის ნათესავი. — ი.კ.)და მისი კატეგორიული მოთხოვნით ილია II პატრიარქად დარჩა. მეუფე დავით ჭკადუა კი რამდენიმე ხნის შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა“.*

ახლახან სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ მეუფე ილარიონ სამხარაძე სოფელში ცხოვრობდა.

გზაზე მიმავალს სოფლელები მხვდებიან. როცა ვეკითხები, სად ცხოვრობს-მეთქი მეუფე ილარიონი, მიმასწავლიან და გზას განაგრძობენ.

ეზო მავთულბადით არის შემოღობილი. ალაგ-ალაგ გარღვეული, რკინის ჭიშკარი მაგრად არის ჩაკეტილი და ეზოში ვერავინ შევა.

კარებზე ვაკაკუნებ.

ხმა არ ისმის.

ღობესთან მივდივარ და იქვე, ხის უკარფანჯრო, შეშის დასაწყობი ფარდულის მსგავს ქოხმახში ფეხის წვერებზე დამდგარი ვიხედები.

— მეუფე! — ვეძახი.

ხმას არავინ მცემს. მეც ვერავის ვხედავ.

— აქ არის, ეგერა, — მეუბნება მეზობლის ქალი და ეზოსკენ მანიშნებს.

მისი გამოჩენა მოჩვენებას ჰგავდა. ვერ დავინახე, საიდან გამოვიდა, სად იყო, როგორ აღმოჩნდა ხის კუნძთან, ხელში წყლიანი ბოთლით და პლასტიკატის ალაგ-ალაგ ჩამტვრეული თეთრი დაფით.

მომიახლოვდა.

მე ღობის აქეთ, ის — იქეთ.

დაფა იქვე დადო. წყლიანი ბოთლი გადმოაპირქვავა, წყალი მუჭით სახეში შემომასხა და მაკურთხა.

ასე გაიმეორა რამდენჯერმე.

ხელის მოძრაობით მკითხა — რა გინდაო?!

— დამლოცე მეუფე, — ვუთხარი მე.

ღობის ძირას მიწაზე ჩამოჯდა. თეთრი თმით გადაპენტილი თავი ჩაღუნა...

ორივე ვდუმდით.

მერე ამომხედა.

— მეუფე, შემომიშვით ეზოში, — ვთხოვ.

ის იღებს ხის დაფას და წერს:

— ვ-ი-ნ ხ-ა-რ?

ვეუბნები ჩემს სახელს.

— მ-ო-გ-ზ-ა-ვ-ნ-ი-ლ-ი ი-ქ-ნ-ე-ბ-ი?

— არ ვარ მოგზავნილი. თქვენი ნახვა მინდა, მაინტერესებს როგორ ხართ?

— მ-ა-გ-რ-ა-დ ვ-ა-რ.

— მინდოდა გვესაუბრა, — ვეუბნები.

— რ-ა-ზ-ე — წერს დაფაზე თითით.

— ქვეყანაზე, ეკლესიაზე. ხომ ხედავთ, რა ამბები ხდება ეკლესიაში?

— ა-რ ა-რ-ი-ს ჩ-ე-მ-ი ს-ა-ქ-მ-ე.

— უსამართლობები ხდება.

— ა-რ ა-რ-ი-ს ჩ-ე-მ-ი ს-ა-ქ-მ-ე- —წერს ისევ თითით.

— ხმას რატომ არ იღებთ?

პასუხს არ მცემს.

—ი-გ-ა-ლ-ო-ბ-ე — მიწერს.

— შემომიშვით, ეზოში და კი, ბატონო.

თავს აქნევს და იღიმება.

მივდივარ ღობესთან ახლოს და „ღირს არსს" ვღიღინებ.

ტაშს უკრავს. მერე ხელებს აღაპყრობს მაღლა. თვალები ცრემლებით ევსება. მეხვევა.

შუაში ღობეა.

ის მლოცავს, თავზე მეამბორება და ცრემლჩამდგარი თვალებით ისევ ცისკენ აპყრობს მზერას.

ბილიკიდან კაცი მოდის.

მეუფე იღებს დაფას და წერს:

— ე-ს ჩ-ე-მ-ი დ-ი-ა-კ-ვ-ა-ნ-ი-ა — თან იღიმის. მ-ა-გ-რ-ა-მ ჯ-ე-რ ა-ხ-ა-ლ-ბ-ე-დ-ა-ა...

გველიმება.

— წავალ, მეუფე, მეტს აღარ შეგაწუხებთ, — ვეუბნები.

— შ-ე-ნ-დ-ო-ბ-ა-ს გ-თ-ხ-ო-ვ-თ. მ-გ-ლ-ო-ვ-ი-ა-რ-ე ვ-ა-რ დ-ა გ-ა-რ-დ-ა-მ-ე-ც-ვ-ა-ლ-ა.

უკან ვბრუნდები.

მეუფე ილარიონ სამხარაძე იქვე, სადაც ვლაპარაკობდით, მიწაზე ჯდება და კეთილი ღიმილით თვალს მაყოლებს...

როგორც ამბობენ, რაც მეუფე ილარიონი მოწამლეს, კარგა ხნის განმავლობაში იგი საავადმყოფოში მკურნალობდა, მერე დაბრუნდა მამაპაპისეულ ეზოში. მას შემდეგ კაცთაგან გარიყული ცხოვრობს 74 წლის მთავარეპისკოპოსი. სრულ მდუმარებასა და უკიდურეს გაჭირვებაში უსახლკაროდ, უსახსროდ...

თუმცა ის არ გახლავთ ეკლესიიდან დევნილი და მიტოვებული, გაურკვეველი მიზეზების გამო სააქაოში სასტიკსასჯელდადებული ერთადერთი უმაღლესი სამღვდელო პირი. სულიერებისგან და სარწმუნოებისაგან განძარცვულ ქართულ ეკლესიაში, სადაც, როგორც ამბობენ, ახლაც უშიშროების აგენტები და სახელმწიფოს უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები წყვეტენ თუნდაც უბრალო მღვდლების ხელდასმის საკითხებს, დღეს და გუშინ არ დაწყებულა სულიერი კრიზისი.



**პატრიარქი დავით V (დევდარიანი)**

დღეს საზოგადოებამ არაფერი იცის იმის შესახებ, რითი, რა ვითარებაში, ვინ მოწამლა დავით V ანდერძში პატრიარქად დასახელებული მთავარეპისკოპოსი ილარიონ სამხარაძე და რატომ გააძევეს ის საერთოდ ეკლესიიდან. არაფერია ცნობილი პატრიარქობის კანდიდატი მიტროპოლიტის დავით ჭკადუას იდუმალებით მოცული გარდაცვალების თაობაზე, დღემდე ვერ დავადგინე, რას ერჩიან და ერჩოდნენ მამა ბასილ მკალავიშვილს, რომელიც პატიმრობაში ჰყავდათ 5 წელიწადი და როგორც ამბობენ, საპატიმროში ისიც ისეთი ნივთიერებით მოწამლეს, რომ ლამისაა დაბრმავდეს. იმიტომ ხომ არა, რომ მამა ბასილმა არაერთხელ ამხილა უღირსი ღვთისმსახურნი, ქრისტესმგმობელ იეღოველებს არაერთხელ ჩაჰკრა თავში ქრისტეს ჯვარი და არაერთხელ ააპეტელა თავიანთი ბატონის ენაზე?!

მას შემდეგ, რაც პატრიარქი დავით მეხუთე დღემდე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა (სავარაუდოდ, ისიც მოწამლეს), ხოლო პატრიარქის ინტრონიზაციას სვეტიცხოველში მართლმადიდებლური კანონიზაციის საწინააღმდეგოდ, მწვალებლური ეკლესიის — სომხური გრიგორიანული ეკლესიის პატრიარქი სპეციალური მოწვევით საპატიო სტუმრად ესწრებოდა, ბევრ უმსგავსობას და სიბილწეს დაედო სათავე, ამას ამტკიცებდნენ და გაჰყვიროდნენ ის უმაღლესი სამღვდელო პირები, რომლებიც დღეს მიცვალებულნი არიან. სხვათაშორის, ეს „მამხილებელი" სამღვდელო პირებიც საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალნენ. ასე რომ, ჩვენ მიცვალებულთა „ლაპარაკს" ვუსმენთ ახლა, ცოცხალთაგან ზოგი დაამუნჯეს და ზოგმა თვითონ გადაწყვიტა მდუმარება, ერთი გასაგები მიზეზის გამო, არავის სურს მკვლელის სასტიკი ხელით მოუსწრაფონ სიცოცხლე ან შხამით მოწამლონ, დააბრმავონ და დაამუნჯონ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა...

აი, რას წერდნენ, სანამ ცოცხლები იყვნენ ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი **შიო (ავალიშვილი)** და ნიკორწმინდელი **ეპისკოპოსი ამბროსი** (ქათამაძე) კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს:

## „საბოლოო წერილი

**უპირველესად ის გვინდა მოგახსენოთ, რომ ამ წერილს ჩვენ მივაწვდით ყველა დაინტერესებულ ქართველს, რამდენადაც კი შევძლებთ მის გამრავლებას. თქვენს მოსაზრებას, რომ „ეკლესიის საიდუმლოებანი არ უნდა გავიდეს ეკლესიის გარეთ", ჩვენ არ ვიზიარებთ. არ ვიზიარებთ იმიტომ, რომ გარდა ქრისტიანული დოგმატიზმით დაწესებული შვიდი საიდუმლოისა, ეკლესიაში სხვა საიდუმლო არ არსებობს და არც უნდა არსებობდეს.**

**რა 1978-79 წლებმა, ბევრი რამ მოხდა ამ ორ წელიწადში, მაგრამ ჩვენ ამ ფაქტების ჩამოთვლას არ მოვყვებით. ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ საქართველოს ეკლესია განსაცდელშია!**

**ჩვენ თქვენთვის წარდგენილ წინა თხოვნაშიც ჩავწერეთ ეს სამსიტყვიანი საშინელება. მაგრამ თქვენ არც კი იკითხეთ, რა იყო ეს განსაცდელი. რატომ? რატომ არ მოგვთხოვეთ პასუხი ჩვენს მიერ გამოთქმულ ფორმულაზე? რატომ არაფერი არ იკითხეთ?**

**იმიტომ, რომ თქვენ განუზომელ განდიდებას იყავით მიცემული და როდესაც სინამდვილის პირისპირ აღმოჩნდით, შეგეშინდათ, თვალებში შეგეხედათ მისთვის და მოგესმინათ ამ განსაცდელის შესახებ. განსაცდელი კი დღითიდღე მწვავდება, რადგან თქვენ, განდიდების მანიით შეპყრობილს გინდათ, ცრუმეტყველება გეხვიოთ გარს; გინდათ გესმოდეთ, რომ აყვავდა არნახულად საქართველოს ეკლესია, მაგრამ ჩვენ ველარ გამოვიჩინეთ ეს ცრუმეტყველება და თქვენი აშკარა მტრობა და სიძულვილი დავიმსახურეთ. რატომ? რა მოხდა? მოხდა დიდად სამწუხარო და სამარცხვინო ამბავი: მამათმავლები მომრავლდნენ ჩვენს ეკლესიაში და არათუ მარტო მომრავლდნენ. მათ დაიმსახურეს გაბატონებული მდგომარეობა და თქვენი აშკარა მფარველობის ქვეშ ეწეოდნენ თავიანთ სოდომურ ცოდვას. სამღვდელონიც და საერონიც აღშფოთებულნი იყვნენ ამ მოვლენით, მაგრამ საერონი ერთმანეთში მითქმა-მოთქმით იქარვებდნენ აღშფოთებას, ხოლო სამღვდელონი, თქვენი მუშაობის მეთოდებით დაშინებულნი, ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. მიტროპოლიტმა შიო ავალიშვილმა 1980 წელს გაბედა და მოგახსენათ: „თქვენო უწმინდესობავ, თქვენს მოღვაწეობას ხარვეზად დააჩნდება ის, რომ საქართველოს ეკლესიის შინაგან სიწმინდეზე არ ზრუნავთ". თქვენ სახის ფერის შეცვლამდე გაგაჯავრათ ამ შენიშვნამ და მას მხოლოდ თქვენი უკმეხი პასუხი მოჰყვა. მამათმავლების „საქმიანობა" კი იქამდე მივიდა, რომ მიტროპოლიტი ნიკოლოზ მახარაძე მამათმავლობისათვის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიიდან გამოაძევეს. თქვენ კი ქუთაისის ეპარქიაში გადმოიყვანეთ იგი, ხოლო 74 წლის მიტროპოლიტი შიო, რომელიც ამ დროს ქობულეთში ისვენებდა, გადაიყვანეთ ბათუმში. თქვენი „მეფობის" ქვეშ მყოფმა ნიკოლოზ მახარაძემ სოხუმიდან ქუთაისში ჩამოიყვანა თავისი „შეყვარებული" მამაკაცები და შეუდგა თავისი „მოვალეობის" შესრულებას. მის ურიცხვ უტიფრობას და თავხედობას შედეგად მოჰყვა ის, რომ ხალხმა საჩივრების წერა დაიწყო. თქვენც მარტო ერთ დღეს შემოსული ექვსი საჩივარი თავად ნიკოლოზს გადაეცით, ალბათ, „ზომების" მისაღებად. არ გასულა დიდი დრო და მიტროპოლიტი ნიკოლოზ მახარაძე მეორე პანაღეით დააჯილდოვეთ და ასე შეეცადეთ თქვენი ნებითა და უფლებამოსილებით დაგეთრგუნათ ხალხის ნება. უნდა ვთქვათ პირდაპირ და სამართლიანად: თქვენ თქვენი მოქმედებით ტალახი ესროლეთ სახეში ქართველ ხალხს და საქართველოს ეკლესიის წმიდა გუმბათს.**



**მეუფე ილარიონი ბერობაში**

**გეგონათ, თქვენი შეუზღუდავი ძალაუფლება ჩააჩუმებდა მომჩივნებს და საბოლოოდ მორწმუნე თუ არამორწმუნე ქართველი ხალხი შეეგუებოდა ეკლესიაში შემოტანილ მამათმავლობასა და სხვა გარყვნილებას, მაგრამ არ დაწყნარდნენ მომჩივანები და ჩვენ, მღვდელმთავრებს დაგვიწყეს საჩივრების წერა. აგვავსეს საყვედურებით, რომ ვითმენთ ამ საშინელებას, და ხმას არ ვიღებთ. ავწონ-დავწონეთ შექმნილი ვითარება ხუთმა მღვდელმთავარმა. დავწერეთ თხოვნა თქვენს სახელზე და მოგართვით 1982 წლის 10 დეკემბერს. ჩვენ თქვენთვის არ გვიკადრებია რაიმე ულტიმატუმის წამოყენება, არამედ გთხოვეთ მოცემული საკითხის განხილვა საქართველოს საეკლესიო დებულების მე-19 მუხლის თანახმად.**

**იმ დღიდან თქვენი გული და გონება აღივსო ჩვენდამი მტრობითა და სიძულვილით და შეუდექით ამ მტრობისა და სიძულვილის პრაქტიკულ განხორციელებას. ჩვენთვის პასუხის გასაცემად თქვენ აირჩიეთ არაქრისტიანული გზა. მიხვეულ-მოხვეული, არაპირდაპირი. ჯერ გამოგვიცხადეთ, რომ ამ საკითხის შესახებ უნდა მოლაპარაკებოდით რელიგიის საქმეთა რწმუნებულს და დაგერეკათ მოსკოვში; სამი დღის შემდეგ გვითხარით, რომ ყოველივე გადაწყვეტილია და მამათმავლები განიდევნებიან ეკლესიიდან; ხოლო ხუთი დღის შემდეგ გამოგვიცხადეთ, რომ ჩვენი თხოვნა უყურადღებოდ იქნა დატოვებული, მოგებულ დროში დარაზმეთ მამათმავლები, მიეცით მითითება თქვენს ძმას, ვიქტორ შიოლაშვილს, რომ დაერაზმა ჩვენს წინააღმდეგ 5-6 მოხულიგნო დედაკაცი სიონის მრევლიდან. ჩვენ იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა საპატრიარქოში სიარული, ვერიდებოდით თქვენს პროვოკაციებს. ყველა ჩვენი საწინააღმდეო მტრული პროვოკაცია და გამოხტომა, რაც მოაწყვეს მამათმავლების ეპარქიებში და შიოლაშვილების საპატრიარქოში, აღწერილი გვაქვს ადრინდელ თხოვნაში, ამიტომ ამ საქმეზე აღარ გავაგრძელებთ ლაპარაკს. გაინაღდეს რა თქვენი თავგამოდებული მფარველობა, მამათმავლები განაგრძობდნენ თავიანთ აღვირახსნილობას და აჩანაგებდნენ ეპარქიებს. მიტროპოლიტი ნიკოლოზ მახარაძე არ ერიდება ხულიგნობას და ნარკოტიკების სპეკულანტებთან კავშირსაც კი, ამას წინად მას მასწავლებელი ქალის გალანძღვისათვის ხელწერილი დაადებინეს ქუთაისის მილიციაში, ხოლო მასთან გარყვნილებით კავშირში მყოფ ვინმე „მაიზერას" დიდძალი ოპიუმი აღმოუჩინეს და პატიმრობაში იმყოფება. ასეთი ამბების ფონზე არაფრით არ ქრება საქართველოს ეკლესიის კარიბჭიდან წარწერა:**

### ვაი, რა განსაცდელშია საქართველოს ეკლესია და რა მოელის მას?!

**თქვენ თქვენი პატრიარქობის დასაწყისიდანვე შეუდექით ახალგაზრდა სამღვდელოების გამრავლებას და ეს ახალგაზრდა სამღვდელოება ხედავს, რომ თქვენ ხელს აფარებთ გარყვნილებას.**

**ჩვენ არ გიზრახავთ, რომ სამეურნეო საკითხები არ გესმით; არ გქონიათ შემთხვევა ჩასწვდომოდით, თუ რა არის არისტოტელეს „ოიკოს" და „ნომოს" — საამისო არც განათლება მიგიღიათ და არც პრაქტიკული ცხოვრება გაგივლიათ. უბედურება იმაშია, რომ გინდათ, ყველაფერი თქვენი ხელიდან და თქვენი თავიდან გამოდიოდეს. ამის გამო სულიერი თანაძმობიდან თქვენ ვერ იტანთ საქმის მცოდნე ადამიანებს. თქვენ გალიზიანებთ აქტიურად მოსაქმე კაცი. თქვენ უფრო მშვიდად ეგუებით იმას, რომ უქნარა და მძინარა კაცი იჯდეს ად-**

8 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# cxedrebiT mofenili gza sapatriarqo taxtisken

7 gv.

გილზე, ვიდრე გამჭრიახი, კარგი მცოდნე და უნარიანი მოღვაწე. ვიქტორ შიოლაშვილი, ცხადია, თქვენი ძმაა. მაგრამ ვინ არის იგი საქართველოს ეკლესიისთვის? სჭირდება თუ არა იგი საქართველოს ეკლესიას? პასუხი უდავოა: ის შვილია საქართველოს ეკლესიისა, მაგრამ მის მოღვაწეობას ეკლესია არ საჭიროებს. საქართველოს ეკლესიამ და ქართველმა ხალხმა თქვენ აგირჩიათ პატრიარქად. თქვენი ძმა კი არაფერში აურჩევიათ. დღემდე არ ვიცით, თუ რა თანამდებობაზეა იგი გაფორმებული საპატრიარქოში. ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი უბოროტესად იყენებს თავისი ძმის მაღალ მდგომარეობას. მოურიდებლად ერევა საპატრიარქოს ყოველგვარ, განსაკუთრებით სამეურნეო საქმიანობაში, იგი იმდენად მოურიდებელია, რომ მღვდელმთავრების საქმეებშიც ერევა და ჭკუას ასწავლის მათ. როგორც თქვენ, ისე თქვენს ახლო ნათესავებს საქართველოს ეკლესია მიგაჩნიათ თქვენს საგვარეულო საკუთრებად. როგორც კი შეამჩნევთ, რომ ვინმეს არ მოსწონს ეკლესიისადმი თქვენი ასეთი დამოკიდებულება, მაშინვე იწყება ნერვიულობა, დაძაბულობა, ჭორაობა და მოუსვენარი ფუსფუსი, საკმარისი იყო მოგვეტანა თქვენთან თხოვნა მამათმავლების შესახებ, რომ დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში ბუხჰალტრად მომუშავე თქვენს დას შეეწყვიტა ჩვენთან მოსალმება და ლაპარაკი.

**როგორც ძველი მემამულე არ ინდომებდა, რომ ვინმე ჩარეულიყო მისი მამულის საქმეებში. ასევე თქვენ და თქვენიანები ვერ იტანთ, რომ ვინმემ გამოიჩინოს საქართველოს ეკლესიისადმი რაიმე დაინტერესება.**

ქართველი ხალხი — როგორც სამღვდელონი, ისე საერონი — აღშფოთებულია ამის გამო. აქედან დასკვნის გამოტანა ადვილია: თქვენი ოჯახის ყვლა წევრი, ვისაც სამღვდელო ხარისხი არ აქვს. უნდა განთავისუფლებული იქნას ეკლესიაში მუშაობისაგან.

**საქართველოს ეკლესიამ ბევრი რამ განიცადა წარსულში და დღეს სრულებით არაა იმის პირობები, რომ უსამართლობა ჰყაოდეს ჩვენს ეკლესიაში.**

თქვენ ჩვენი ეკლესიის სულიერი და მატერიალური მართვა მამათმავლებსა და ვიქტორ შიოლაშვილს მიანდეთ. თავად უზენაესი ზედამხედველობის მანტია მოიხურეთ და თქვენგან განსხვავებულად მოაზროვნე სამღვდელოებასთან ლაპარაკსაც კი არ კადრულობთ. არ გინდათ შეეგუოთ იმას, რომ

**ეკლესია ხალხს ეკუთვნის, ქართველ ხალხს, ყველას ერთად, მორწმუნესა და არამორწმუნეს.**

თქვენი პატრიარქობის პირველ ორ წელიწადს იმედი გვქონდა თქვენი სიმართლის. თქვენს გარშემო მყოფი მონები ღვთისა აღტაცებულნი ნდობითა და სასოებით, თქვენს მორჩილებაში ვიყავით და ვასრულებდით თქვენს ყოველ ნებას. გამოიკვეთა ჩვენს წინაშე, ერის წინაშე თქვენი სახე, ოდნავ ღიმილს მიფარებული. თქვენი ღიმილი, თითქოს ტკბილი, სანდომიანი, ბევრ სიკეთეს რომ გვპირდებოდა, თურმე ფარავდა თქვენს იმ სახეს, რომელიც დრომ თანდათან გამოაჩინა. გამოიკვეთა ყველა თქვენი ნამდვილი ფიქრი და მისწრაფება, თქვენი რწმენა და ფილოსოფია — რწმენის მშობელი. ერთს ქადაგებდით და თვითონ თქვენ სულ სხვა ყოფილხართ; ერთ სახეს გვიჩვენებდით და ვიხილეთ ორსახეობა. აორთქლდა ჩვენი იმედიც და აღტაცებაც და ხელში დაგვრჩა უკიდეგანო განდიდება. რომელსაც დაუპყრია თქვენი ღირსება, თქვენი საქმე, მოღვაწეობის ყველა კუნჭული, არ აკეთებდით არც ერთ ნაბიჯს, თუკი იგი არ ემსახურებოდა თქვენს პირად სახელს და განდიდებას. მიხვედით თუ არა საპატრიარქო დიდებულ ტახტთან. ზურგი უჩვენეთ ეკლესიის შინაურ საქმეებს და პირველ რიგში დააყენეთ ეკლესიებთან საგარეო ურთიერთობა. თქვენი გაგებით, შიგნით ყველაფერს დაიპყრობდით მონობის ხერხით. უამისოდაც მიღწეული გქონდათ უკვე საკუთარ ხალხში ამაღლება და განდიდება. ალბათ, ამიტომ შეაქციეთ ზურგი ყველაფერს, რაც კი შექმნიდა ეკლესიის შიდა მადლსა და კეთილდღეობას. არ კითხულობდით ეკლესიის შინაურ ამბებს გარდა იმისა, რომ მღვდლებს ამრავლებდით; არ დადიოდით ჩვენს ეპარქიებში და თუ წახვიდოდით, ისევ და ისევ მხოლოდ თქვენი განდიდებისათვის. მიგყავდათ თან მთელი დასი სამღვდელოებისა და მოსეირენი ორასი ან სამასი კაცი. მაშასადამე, საქართველოს ეკლესიის შინაგანი სამყარო თქვენ გჭირდებოდათ, როგორც ტრიბუნა საკუთარი განდიდებისა, საყრდენი პუნქტი ზენიტისკენ ასამაღლებლად. თქვენს მიერ დაწერილ სააღდგომო, საშობაო და საახალწლო ეპისტოლეებსაც კი იყენებდით ამავე მიზნით. ხომ ცნობილია, რომ პატრიარქობა ათჯერ უფრო დიდი პატივია, ვიდრე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ექვსთაგან ერთის პრეზიდენტობა. ამასთანავე ყოველი პატრიარქი თავის სამწყსოს მართავს, როგორც პატრიარქი და არა როგორც პრეზიდენტი. რა კავშირშია ქართველი ხალხის სააღდგომო ეპისტოლესთან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტობა? თქვენ პრეზიდენტი არ ყოფილხართ ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი ხალხის, თქვენ პატრიარქი ბრძანდებით ჩვენი, მაგრამ ხელს აწერდით ჩვენს ეპისტოლეებს, როგორც პატრიარქიც და პრეზიდენტიც, ისეთი მადა გაგეხსნათ განდიდებისა, რომ ველარ გაპურებდათ პატრიარქის სუფრის სიუხვე და პრეზიდენტის „ღარიბ“ სუფრას იშველიებდით...



სიონის საკათედრო ტაძარი. საქართველოს ეკლესიის XI კრება. ახლადარჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V (დევდარიანი), მარჯვნივ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II, მარცხნივ რუსეთის მომავალი პატრიარქი ალექსი II. 1972წ.

ყოველივე ამას აკეთებდით მხოლოდ იმიტომ, რომ გაგეტანათ თქვენი სახელი „მთებს იქით, ზღვებს იქით და უფრო შორს“. თავის მოწონება და სახელზე ფიქრი ცოტად თუ ბევრად ყველა ადამიანს ახასიათებს. მაგრამ, როდესაც კაცი ჯერ განდიდებაზე ფიქრობს და შემდეგ კი საქმეს ეძებს განდიდების მოსაპოვებლად, ის ვერც საქმეს გააკეთებს და ვერც დიდებას მიაღწევს.

რა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკლესიის კეთილდღეობისათვის მართლმადიდებელ ეკლესიათა სიაში ჩვენი ეკლესიის ადგილის შეცვლას? ამით მხოლოდ თქვენი სიამაყე დაკმაყოფილდებოდა, ვინაიდან სათქმელი გექნებოდათ: „ნახეთ, მე რა გავაკეთე, როგორი დაჩაგრული იყო ჩვენი ეკლესია და ჩემმა სიბრძნემ ამოიყვანა ჯურღმულიდან“. რაში გჭირდება, ოცნებებს აყოლილნი ლობე-ყორეს მოვედოთ და ვერ დავინახოთ, როგორ სტირიან ნიკორწმიდის გასაოცარი ჩუქურთმები, როგორ იშლება იტრიის მშვენიერი ტაძრის კედლები წვიმისა და თოვლისაგან. ჩვენ არა გვაქვს საეკლესიო სამართალი, საეკლესიო დებულება. ის დებულება, რომელიც გვაქვს, სრულიად უგვანო და უვარგისი იყო იმ დღისთვისაც კი, როდესაც იგი შეადგინეს: არ არის დაკომპლექტებული და მოწესრიგებული საპატრიარქოს აპარატი; ანგარიში არა აქვს თქვენს მიერ აყვანილ რეფერენტებს, რომელთა უმრავლესობა არაფრიდან არა რას აკეთებს და ღებულობს ხალხის შემოწირულობიდან თავის „გასამრჯელოს“. საქართველოს საპატრიარქო ეპარქიებსა და მათში არსებულ ეკლესიებს კი არ ემსახურება, არამედ აწარმოებს საგარეო მიწერ-მოწერას და ემსახურება ისევ საპატრიარქოს, ე.ი.საკუთარ თავს. „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო“ —უთქვამს გაჭირვებულ კაცს. ასეა ჩვენი საქმეც: საითკენაც არ უნდა მივბრუნდეთ, ყველგან მოთქვამს ობლობა და უპატრონობა, უმოქმედობა და უთავბოლობა, სიცრუე და მლიქვნელობა... ასეთი მდგომარეობის ფონზე კიდევ პრეტენზიით აცხადებთ: „არიქა, არ გაბედოთ და ხმა არ ამოიღოთ, თორემ ამ ამბების გამხელით შერცხვება საქართველოს ეკლესია. რომელ სირცხვილზეა ლაპარაკი, როდესაც განსაცდელშია საქართველოს ეკლესია. მამათმავლები შესევიან მის სიწმიდეს, მტვერსა და ჭუჭყში სრულდება ბევრგან უწმიდესი წირვა და ლოცვა, მანკიერების სატანა სუნთქავს აზრსა და მოქმედებაში, რა უნდა იყოს და სად უნდა იყოს იმაზეც მეტი სირცხვილი და შეუკავებელი სიამაყე, როდესაც კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე და მისი სინოდის თორმეტი წევრი (რა თქმა უნდა, მამათმავლებიც მათ რიცხვში) გამოხატეს დიდუბის ტაძრის კედელზე? არ დაჯერდა დიდი მადა ამ არაგაგონილ ამბავს, აიღეთ და თქვენი თავი დაახატინეთ ტაძრის მეორე კედელზე, თამარ დედოფლის გვერდით, რა ჰქენით? ხალხს რა შეჰკადრეთ, სად მოიკრიბეთ ასეთი გამბედაობა თუ კადნიერება, რომ წმინდანთა შორის დაიმკვიდრეთ თქვენი სავანე? როგორ ინებეთ, რომ ტაძარში სალოცავად შესულ ქართველებს თამარ დედოფლის გვერდით თქვენი სახისთვის ეყურებინა? ღმერთო ძლიერო! რა ვუწოდოთ ამ მოქმედებას? ესაა საოცრება და საშინელება ერთად შერწყმული. ეს სიმდაბლეც არის და კადნიერებაც. მშიერი კაცის თავგანწირვაც და გაუმაძღრობაც არნახული, არ გაგონილი. რამ მიგიყვანათ და ვინ მიგიყვანათ ასეთ უძირო ზღვა ცდუნებამდე, რომ ეს გააკეთეთ პატრიარქმა ჩვენი ქვეყნისა? მაგრამ ვაი, რომ არც ეს იკმარეთ, ადამის ძეო! სიონის ახალ მონაშენზეც გამოიკვეთა თქვენი სახე და მინაწერი „ვახტანგ გორგასალი“. რას არ იფიქრებს სულ ბევრის და ბევრის მსურველი კაცი?! სახე ნაცნობი — ღმერთმა აცოცხლოს — ჩვენი ცოცხალი პატრიარქისა, სახელი კი დიდად განთქმული ვახტანგ მეფისა! აი, ეს არის დაბადება ჯერ არნახული — იყო მეფეც და პატრიარქიც ერთი ქვეყნისა; იყო მამა ზეციერიც და მიწიერიც მთელი ერისა. აი, ეს გახლავთ „ორსახეობა რაინდისა“. რაღაც სამაგალითო და საჩვენებელი ახალგაზდა სამღვდელოთათვის. ესაა სასწაული ამაოების ცდუნების.

მეტ წერილს, ჩვენ თქვენ აღარ მოგწერთ, რაც მოგწერეთ და ვითხოვეთ დღევანდელ დღემდე, სამართლიანია ცათამდე და ამისათვის უნდა აღსრულდეს ღვთის მოწყალებით გულისთქმა ერის.

**შიო** (ავალიშვილი)—
ბათუმ-შემოქმედელი
მიტროპოლიტი,
**ამბროსი** (ქათამაძე)
ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი.
30 ივნისი, 1983 წელი“.

**ირანდა კალანდაძე**

(გაგრძელება იქნება)



სიონის საკათედრო ტაძარი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის (დევდარიანი) პანაშვიდი. 1977 წ.



მცხეთა, სვეტიცხოველი, 1977 წლის 25 დეკემბერი. ილია მეორის ინტრონიზაცია. მარცხნიდან მარჯვნივ: რუსეთის პარტრიარქი პიმენი, საქართველოს პატრიარქი ილია მეორე და მიტროპოლიტი გაიოზი

*გვესაუბრება „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი* ***სოსო მანჯავიძე.***

**—ბატონო სოსო, იმ გამოთქმის არ იყოს „ყველა გზა რომში მიდი-სო“, ჩვენთან ყველა გზა არჩევნებისკენ მიდის?**

—დღევანდელ სიტუაციაში საარჩევნო სიების დაუზუსტებლად არჩევნების ჩატარება სრული აბსურდია. არჩევნებში მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ დრომდე საზოგადოებრივ–პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში მიაღწევს ისეთივე მდგომარეობას, როგორიც დავუშვათ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში არსებობდა და სადაც არჩევნები უკვე მოგებული იყო არჩევნებამდე. რაც შეეხება იმის ილუზიებს, რომ ამ საარჩევნო გარემოში, ამ საარჩევნო სიებით, სასამართლოთი, შინაგან საქმეთა სამინისტროთი რაიმე ცვლილებებს მივაღწევთ, ანუ ორი მთავარი პირობის გაუთვალისწინებლად, — პირველი, ეს არის ის საარჩევნო ნიუანსები, რაც ჩამოვთვალე და მეორე ის მომენტი, როდესაც დავუშვათ ხელისუფლება მორალურად უკვე გადატეხილია ხერხემალში და საზოგადოებრივ–პოლიტიკური მდგომარეობის დუღილი მაღალია ქვეყანაში. აი, ამ შემთხვევაშია მხოლოდ შესაძლებელი გარკვეული ცვლილებების მოხდენა. სხვა შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობის მიღება ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავს.

„წინააღმდეგობის მოძრაობა“ მთელი ძალებით ვეცდებით ჩვენი წვლილი შევიტანოთ იმაში, რომ ქვეყანაში ეს ბოროტება დამთავრდეს და აღმშენებლობის გზაზე დავდგეთ. რაც შეეხება თვითონ აღმშენებლობის გზებს, ვინც გვიცნობს იცის, რომ შემუშავებული გვაქვს ჩვენი ხედვა, პროგრამა და კონკრეტული კანონპროექტები, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ქვეყანა და როგორ უნდა მოხდეს მისი ჩაწერა ისეთი ქვეყნების რიგში, სადაც ხელისუფლებები გამოხატავენ ეროვნულ ინტერესებს, სადაც ძალთა განლაგება ისეთია, რომ გამორიცხავს ვოლონტარისტულ გადაწყვეტილებებს. განვითარებულია ის ქვეყანა, სადაც ისეთი ხელისუფლებაა, რომელიც გამოხატავს ან ცდილობს გამოხატოს ქვეყნის ეროვნული ინტერესები და განუვითარებელია ის ქვეყანა, რომლის ხელისუფლებაც მარიონეტია სხვადასხვა საერთაშორისო ძალის ცენტრების. ეს გარდაქმნა უნდა განახორციელოს ისეთი ადამიანების ჯგუფმა, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლა ესმის არა როგორც პირადი გამდიდრების წყარო, არამედ, როგორც მსახურება საკუთარი თავის და ქვეყნის გადარჩენის გზაზე. ეს ყველაფერი კი უნდა მოხდეს დიდი საზოგადოებრივ–პოლიტიკური ერთობით, ანუ აქ არ ვგულისხმობ რა თქმა უნდა, იმ ადამიანებს, რომლებმაც სახელი გაიტეხეს, არ ვგულისხმობ ადამიანებს, რომლებმაც საზოგადოებრივი პროცესები გამოიყენეს მერკანტილური ინტერესებისათვის, ასევე არ ვგულისხმობ იმათ, ვინც საკუთარ კონტაქტებს იმისათვის კი არ იყენებენ, რომ ქვეყნის ინტერესების ლობირება აწარმოონ, არამედ როგორც „ვიკილიქსის“ ბოლო მასალებიდან ჩანს, პირიქით, იმას ცდილობენ როგორმე ერთმანეთს გადაუსწრონ და თვითონ მოიპოვონ უკეთესი მფარველი საზღვარგარეთ. ეს არის ჩვენი ქვეყნის ისტორიული უბედურების გაგრძელება. მე „ვიკილიქსის“ მასალების გამოქვეყნების შემდეგ გაოცებული ვარ იმით, რომ არავის არ უარყვია იქ მოხსენიებულ პიროვნებათაგან, რომ მართლაც ასეთი სახის ურთიერთობები აქვთ შეერთებული შტატების საელჩოსთან და არცერთს არ შერცხვენია სხვათაშორის. ეს მასალები, რაც „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა მხოლოდ ამერიკის საელჩოსთან დაკავშირებითაა, სამწუხაროდ ჩვენ „ვიკილიქსი“ არ გვაქვს რუსეთთან დაკავშირებით და წარმოდგენაც არ გვაქვს რას ლობირებენ ესენი რუსეთში.

**—თქვენ საეჭვოდ არ გეჩვენებათ „ვიკილიქსის“ მასალების მაინც და მაინც ახლა გამოქვეყნება?**

—მე საერთოდ შორს ვარ იმ ადამიანებისგან, რომლებიც ძალიან ჭკვიანურ გამომეტყველებას მიიღებენ ხოლმე და ისე პოზიციონირებენ, თითქოს მათთვის არ არსებობდეს არანაირი საიდუმლო. როდესაც ზოგიერთი ჩვენი ექსპერტის ანალიზს ვუსმენ, სულ „ მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ მახსენდება, სადაც ილიკომ და ილარიონმა იციან, რას აპირებს იაპონია (იცინის). ამათაც აბსოლუტურად ყველაფერი იციან და შეუცდომლები არიან, თუმცა სულ შეცდომები მოსდით. ახლაც იგივე სიტუაციაა, ყველამ „იცის“ „ვიკილიქსის“ ფენომენი. ზოგიერთმა ისიც კი მითხრა, რომ ბოკერიამ ჩააწყო ამის გამოქვეყნებაო. შეიძლება ჩააწყო, მაგრამ უნახავს ვინმეს ეს? არავის არ უნახავს, მაგრამ რატომღაც ყველამ იცის. მკითხველს შევახსენებ, რომ ასანჟი წინ და უკან დღეში 24 კილომეტრს გადის იმისათვის, რომ ინგლისის პოლიციაში გამოცხადდეს და ფეხზეც „ჯიპიესის“ გადამცემი უკეთია. ეს რა თქმა უნდა, არგუმენტი არ არის შეთქმულების თეორიის აგენტებისათვის, მაგრამ ასეა.



**zogierTi eqspertis analizs rom vusmen, sul `me, bebia, iliko da ilarioni~ maxsendeba, sadac ilikom da ilarionma ician, ras apirebs iaponia!**



ისიც ფაქტია, რომ ამ დეპეშების სისწორე არავის არ გაუპროტესტებია და რა დროს ქვეყნდება ეს უკვე მეორე საკითხია. იქ მარტო ჩვენზე კი არა, სხვადასხვა სახელმწიფოებზე ქვეყნდება უამრავი ინფორმაცია.

**—ისევ მომავალ არჩევნებს დავუბრუნდეთ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, გამოჩნდებიან პარტიები, რომლებიც ასეთ საარჩევნო გარემოშიც სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში და გამარჯვებასაც „გაუპრავებენ“ ხელისუფლებას, ხალხი კი ისევ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩება..**

— ახლა ჩვენ თუ კვლავ ახალი ფარსი ვიხილეთ, რომ რომელიღაც ამათი კლონი გახდეს ლეგიტიმაციის მატარებელი, შემდეგ ვილაცეებმა მიულოცონ და ჯონ ბასმა თქვას, ეს არჩევნები დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯიაო, ამას ისევ ემიგრანტის ცხოვრება სჯობს და ეს არ უნდა დავუშვათ. არჩევნები თუ იქნება, ის უნდა იყოს ისეთი კონფიგურაციით, როგორც ქართველ ხალხს სურს და არა ისე, როგორც ამ ერთი მუჭა ავანტიურისტ, გაუნათლებელ, უგემოვნო ხროვას უნდა. ეს უნდა შევცვალოთ მხოლოდ და მხოლოდ ახალი, დიდი ფრონტის გაშლით ამ ხელისუფლების წინააღმდეგ. მარჯვნივ უნდა იყვნენ ძალები, რომლებიც ებრძვიან ამ ხელისუფლებას და მარცხნივ დარჩება ეს ხროვა, თავის განაყოფებიანად და მასთან აფიშირებული ფსევდო–ოპოზიციით თუ ფსევდო–მღვდელმსახურებით, რომელთაც შოთა გლურჯიძემ მოსწრებულად უწოდა „მიშმადიდებლები“.

ამ წუთას ასეთი სიტუაცია გვაქვს, ქვეყანაში მიმდინარეობს სოციალ–ეკონომიკური მდგომარეობის კატასტროფული გაუარესების პროცესი. მსოფლიოში კი მოსალოდნელია კრიზისის მესამე ტალღა. ამავე დროს შეგახსენებთ, რომ რაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა მას გზა გაეხსნა მსოფლიო საკრედიტო ორგანიზაციებისაკენ, ამ შვიდი წლის მანძილზე საქართველოს ნაჩუქარი აქვს გრანტის სახით 5 მილიარდი დოლარი და კიდევ კრედიტის სახით გაურკვეველი რაოდენობა თანხებისა. ეს 5 მილიარდი სად გაიფლანგა და რომელ ანგარიშებზე დაირიცხა კაცმა არ იცის. გარკვეული ხასიათის კოსმეტიკური შელამაზებები კი გაუკეთდა ქვეყანას, რათა იბრჭყვიალოს, მაგრამ ფუნდამენტალური ხასიათის ეკონომიკური ცვლილებები არ მომხდარა და თუ მოხდა, მხოლოდ ეკონომიკის გასანადგურებლად. აქედან გამომდინარე, მივიღეთ აბსოლუტურად არა რენტაბელური ქვეყანა, საიდანაც გარბის ხალხი, რომელშიც რაიმე საქმის წამოწყება უდრის ფრონტზე წასვლას, რადგან როგორც წესი ასეთი შემთხვევების 70% ციხით მთავრდება.

ზემოთხსენებულ კრედიტებს რა თქმა უნდა, გადახდა უნდა ხომ? ამიტომ ამერიკელები და დონორი ორგანიზაციები აიძულებენ ხელისუფლებას, რომ ამოიღოს ფული მოსახლეობიდან. ამას როგორც აკეთებენ კარგად ვხედავთ, იგივე საპროცესო გარიგებებიდან, ბიზნესის ტერორიდან, ჯარიმებიდან და ა.შ.

მთელი ეს უკმაყოფილება ხალხში გროვდება და აუცილებლად მოხდება აფეთქება. ჩვენ სულ სხვა რეალობა უნდა დავანახოთ ხალხს, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ხელოვნურად შექმნილი გაჭირვებაა. საქართველოს თუ ეროვნული მთავრობა ეყოლება, მაქსიმუმ სამიოთხი წელი დაგვჭირდება იმისათვის, რომ ეს პრობლემები საერთოდ სასაცილოდ მოგვეჩვენოს. მაგრამ ამისთვის საჭიროა სწორედ ის, რაც ზემოთ ვთქვი, დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ერთობა, ფრონტის ტიპის. „წინააღმდეგობის მოძრაობა“ ასეა ჩაფიქრებული და ბევრი ადამიანია ჩვენთან გაერთიანებული. ძალიან დიდი ბედნიერებაა ასევე, რომ არსებობს რამდენიმე გადარჩენილი მედიასაშუალება, როგორიცაა ვთქვათ თქვენი გაზეთი და მედიაკავშირი „ობიექტივი“, რომელიც მართლაც დიდ საქმეს აკეთებს და გაერთიანების საშუალებას აძლევს ეროვნულ ძალებს. აქვე ერთ სასიხარულო ამბავს ვიტყვი, მალე „ობიექტივს“ ექნება საშუალება, რომ სატელიტის მეშვეობით ამცნოს ობიექტური ინფორმაცია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ მოსახლეობას. შევეცდებით გავფანტოთ ეს საინფორმაციო ბურუსი აქაც და ევროპაშიც და სააკაშვილს დაერქმევა ის, რაც არის სინამდვილეში.

„წინააღმდეგობის მოძრაობა“ აბსოლუტურად სხვა კულტურის მომხრე ვართ. საქართველოში უნდა დაინერგოს მრავალრიცხოვანი მშვიდობიანი აქციების კულტურა სამოქალაქო უფლებებით და შემდგომ გარკვეულ მოქმედებებში გადაზრდით. ამაში ყველა უნდა მონაწილეობდეს შეგნებულად და არა ჩემს დაძახილზე. აღარ უნდა არსებობდეს ის აზრი, რომ ხალხი ცხვარია და ბელადი სჭირდება. რა თქმა უნდა, ორგანიზება სჭირდება და ვინც კარგ ორგანიზებას გაუკეთებს, სწორედ იმან უნდა მართოს, ანუ ვინც ჭკვიანია, ვისაც თავი გადადებული აქვს, ვინაც თავი არ შეირცხვინა, ვისაც შესაბამისი კვალიფიკაცია აქვს და არა გაუწონასწორებელმა ან უპასუხისმგებლო ხალხმა, რომლებიც არასდროს არ იღებენ პასუხისმგებლობას არაფერზე.

**ქვეყანა დაიქცა და ყველა მართალია, ასეთი რაღაც გაგიგიათ? სინანულია მთავარი, სინანული უნდა გვქონდეს ჩვენ, მთელ ერს რომ გვყავს პრეზიდენტად ისეთი არარაობა, როგორიცაა მიხეილ სააკაშვილი. მეტი რაღა უნდა გააკეთოს, ტიტველი დარბის, ჰარამხანა ჰყავს, გადაბრუნებული ბოთლები, ალი და ნინოს ორგიები და ათასი სხვა უბედურება ხდება ქვეყანაში. ვისაც ამის დემონოლოგიური აზრი არ ესმის, გასაგებია, მაგრამ მე მესმის და ვიცი რასაც აკეთებს. ქვეყანაში არის სრული ვაქხანალია, „ვალპურგის ღამე“.**

კიდევ ერთი რაღაც მაინტერესებს, სად ჯანდაბაში ჰქონდათ ამათ თვალები, როდესაც ამ არსებებს გზას უკვალავდნენ ხელისუფლებისაკენ? ეს გასაგებია, რომ მანიაკია და მიდის ხელისუფლებისკენ, მაგრამ შენ რას აკეთებ, როგორ უწყობ ხელს ამას? არადა, ვინც ხელი შეუწყო იმათგან ვინმე გამოვიდა და თქვა დავაშავეთო? შიზოფრენიას აქვს ინდუქციური ხასიათი, გადამდებია და ფაქტია მთელ ერს დაგვემართა უკვე შიზოფრენია. ეს ხდება იმიტომ, რომ თევზი თავიდან ყარს და ელექტრონული მასმედია კიდევ მთელი ამ სიგიჟის ტირაჟირებას ახდენს. რითი იმართლებს ეს ხალხი თავს, რა სააკაშვილი ეხლა გაგიჟდა და მაშინ არ იყო გიჟი? ზოგი მისი შტაბის უფროსი იყო, ზოგი შვილის ნათლია, ზოგიერთი კი თვალებში შესციცინებდა. ამასობაში ქვეყანა დაგვექცა თავზე, კაცებს ციხეებში აუპატიურებენ და ესენი იმდენსაც ვერ ახერხებენ, რომ დაარღვიონ ეს რაღაც პარტიული ნაჭუჭები, რათა პოლიტიკური ნდობა მაინც აღდგეს. როდემდე უნდა ვუყუროთ ამათ? ილია ჭავჭავაძემ თქვა ზუსტად, რომ ესეთი პარტიები დაანგრევენ ქვეყანას.

**ლელა არაბული**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# marSiT `nacebis~ t r r r ..Si!

## ra mizans emsaxureba forumis mier 27 seqtembers dagegmili marSi?

ფუი ეშმაკს, ნეტავ რამ გამახსენა საბჭოეთის დროინდელი ლექსი „და დიდი ოქტომბრის მარში... ჩვენს გულში ზეიმით გვრგვინავს"! მაშ ასე, 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის ტრაგიკულ დღეს ვიღაცამ თბილისში გასეირნება ინება... არადა, აქამდე იყო გლოვა, ვარაზისხევში განთავსებული გმირთა მემორიალის წინ მარადიული ცეცხლის მკრთალ ალზე გმირების გვარ-სახელებისთვის თვალის შევლება, სანთლების ანთება, თაიგულებით მათი ხსოვნის შემკობა, დაშვებული სახელმწიფო დროშა, ატირებული დედების ცრემლი, გმირთა უკვე გაზრდილი შვილების ამაყი მზერა, ენით აუწერელი სევდა და ერთი სიტყვით, ყველა ნიშანი იმისა, რომ ჩვენს სამშობლოს, ე.ი. საქართველოს ამ დღეს არც ემღერებოდა, არც ეცეკვებოდა და არც უმისამართო მარშირების სურვილი არ ჰქონდა.

**და მაშინ, რა არის, ან რატომ არის ზუსტად 27 სექტემბერს (ვიმეორებ, სოხუმის დაცემის დღეს) ასე აუცილებელი „მარშბრასოკების" მოწყობა მიზანშეწონილი და ისიც აფხაზეთში დაღუპული გმირის, ჟიული შარტავას ვაჟიშვილის კახა შარტავას პოლიტიკური პარტიის „ეროვნული ფორუმის" მიერ? იქნებ იმიტომ, რომ ტყუილად ჯდომას, ტყუილად სიარული ჯობია და ეს სიბრძნე „ეროვნულმა ფორუმმა" მხოლოდ ახლა გაისიგრძეგანა?**

საერთოდ, სიტყვა „მარში" რიტმულად სვლას ნიშნავს, მაგრამ ამავე დროს, მწყობრად სვლასაც



ნიშნავს მუსიკის თანხლებით, განსაკუთრებული თარიღების ზარ-ზეიმით აღნიშვნისას, ოღონდაც 27 სექტემბერს რატომ უნდა იყოს ან ერთი ან მეორე, ვერაფრით გამიგია არამხოლოდ მე, არამედ ბევრ თბილისელს, წარმოიდგინეთ, თვითონ „ფორუმელებსაც" და კითხვებს რომ ვსვამთ, რატომ სწყინთ, ნეტავ?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აქამდე საქართველოს საპატრიარქო 27 სექტემბერს მოსახლეობას „ჯაჭვად შეკვრისკენ" მოუწოდებდა და ხალხიც იმიტომ, რომ ამას სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია II ბაგეთაგან ისმენდა, თვინიერად გამოდიოდა ქუჩაში და დაახლოებით 1 საათის განმავლობაში გაუნძრევლად, ხელიხელჩაკიდებული იდგა საქართველოს დიდ ქალაქებსა თუ სოფლებში. შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ამ „ჯაჭვს" სათავისოდ იყენებდა და მავანთა „თვალების დასაბრმავებლად" ხმამაღლა გაჰყვიროდა, რომ ეს ხალხი პრეზიდენტს, ქვეყანას, სარწმუნოებას ერთნაირად უჭერს მხარს და ჩვენს მტრებს ჩვენს წინააღმდეგ არაფერი გამოუვათო! ახლა „ფორუმმა" იტვირთა ეს ინიციატივა და რა გამოუვათ, არავინ იცის...

დრო იცვლება... სააკაშვილს აფხაზეთი ფეხებზე ჰკიდია. ის კი არადა, „ნატოში" შესვლას თურმე უაფხაზეთოდაც გეგმავს „ნაციონალური ჭირი" ხელისუფლება, ხალხი დიდად არც „პატრიარქის ჯაჭვით" მოიხიბლა თავის დროზე და ახლა, სულ რაღაც 1 კვირაში, ავტორიტეტდაკარგული „ფორუმის" დაძახილზე გამოეფინება თბილისის ქუჩებში, თბილისელები — არიქა, მსოფლიოს დავანახოთ, რომ ჩვენ არც ამ ხელისუფლებას და არც აფხაზეთის დაკარგვას არ ვეგუებითო?

კი, მაგრამ, ძვირფასო „ფორუმელებო", ხომ იყო დრო, როცა თვითონ ხალხი გეხვეწებოდათ „ეროვნულ ფორუმს" — დაგვიძახეთ, გამოვალთ და ერთ დღეში გამოვუყვანთ წირვას სააკაშვილის ხროვასო? ანდა ხომ იყო ის დროც, როცა „ფორუმის" ლიდერები „ჯალალედინის" აღსასრულს, ნაც.მოძრაობის ვირთხების დამწვარი გვამებით სირბილს და 2011 წლის დასასრულს უსააკაშვილო საქართველოს გვიწინასწარმეტყველებდით? რა მოხდა ისეთი და რატომ ვერ გამოიყენეთ ერის უზარმაზარი ნდობა მაშინ და რატომ გგონიათ დღეს, რომ ვიღაცას თქვენი მუსიკის ქვეშ „მარშიროვკების" სურვილი და ნერვები შემორჩა ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენ იკადრეთ?

ანდა, სად არის თქვენი ამბიციები თუ პრეტენზიები, ნებისმიერი აქციისას, „შედეგზე ორიენტირებულობის" თვალსაზრისით?

**კახა შარტავა მთელი ამ წლების განმავლობაში გამუდმებით იძახდა, რომ „ფორუმი" ორიენტირებულია მხოლოდ შედეგზეო და, იქნებ დღეს მაინც გაგვანდოს კახამ 27 სექტემბრის „სრულიად ქართველთა მარში" რა შედეგებზეა გათვლილი მაშინ, როცა გუბაზ სანიკიძე ბრძანებს. „ამ აქციაზე მხოლოდ ვივლით თბილისის ქუჩებში, ისე, უბრალოდ და მსოფლიოს დავანახებთ, რომ ქართველი ერი არ დანებებულაო?!"**

აქამდე მთელმა საზოგადოებამ იცოდა, ნებისმიერი „პოლიტიკოსი", და მათ შორის „ფორუმელებიც" სატელევიზიო თუ საგაზეთო ინტერვიუებში რომ ბრძანებდნენ: „დასავლეთი და მსოფლიოს დემოკრატიული ძალები, მათი ლიდერები კარგად არიან ინფორმირებულები თუ როგორი ტირანიის ქვეშ უხდება ქართულ საზოგადოებას ცხოვრება, სააკაშვილი ფაქტობრივად, აღარ არსებობს მათთვის, მიშა დამთავრებულია მათ თვალში"-ო და რა „მარშები" აგიტყდათ ახლა, თუკი „გარეთ" ყველაფერი მოგვარებული გქონიათ, ვერ გავიგე?

„27 სექტემბერს დიდი ქართული ტრაგედიის დღეს ჩვენ ვამტკიცებთ, ვართ თუ არა ნაცია — ქართველი ერი! უნდა გამოვიდეთ და ქართველთა მარში მივიღოთ. შეიძლება ვინმემ თქვას, არ მენდობა, არ წამოვა, შეიძლება ბევრი იყოს ჩემზე — გუბაზ სანიკიძეზე, კახა შარტავაზე, რეზო შავიშვილზე, ნოდარ ჯავახიშვილზე გაბრაზებული, მაგრამ ჩემი დიდი თხოვნაა, რომ ეს სიძულვილში არ გადაგივიდეთ. ყველამ იცოდეთ, რომ ჩვენ ვართ თქვენიანები... მოგვეხმარეთ, რომ მერე ჩვენ თქვენ მოგეხმაროთ" — იხვეწება წარსულში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ოპოზიციონერი გუბაზ სანიკიძე, თუმცა მის ამ მიმართვა-ხვეწნაში უფრო საგულისხმო, უფრო დამაფიქრებელი „უმნიშვნელო" ფრაზაცაა და ვფიქრობ, მთელი ეს „მარშობია" სწორედ ამ აუცილებლობითაა ნაკარნახევი, კერძოდ: როგორც უკვე ვხედავთ, ე.წ. ხელისუფლებასაც და ე.წ. ოპოზიციასაც კარგა ხანია დაწყებული აქვთ, ასევე ე.წ. წინასაარჩევნო კამპანიები, რადგან ზოგს პარლამენტში შესვლა სწადია, ხოლო ზოგსაც ხელისუფლებაში მუდმივად ყოფნა. ჰოდა, გუბაზის სიტყვები: დაგვეხმარეთ და შემდეგ ჩვენც დაგეხმარებით" სწორედ აქედანაა ამოსული, რაც გულისხმობს — გამოდით ქუჩაში ქართველებო, აზერბაიჯანელებო, სომხებო, ებრაელებო, ჩვენ გაგიძღვებით წინ და დავანახებთ სააკაშვილს 2012 წლის პარლამენტში, „ფორუმს" რამდენი კაცი უნდა შეგვაყვანინოსო! ანუ,

**თუ 27 მაისს მოხდა სასწაული და „ეროვნულმა ფორუმმა" მართლაც მოახერხა ხალხის დიდი რაოდენობის შეკრება, ეს მხოლოდ მიშასთან სავაჭრო შესაძლებლობიდან იქნება ამოსული და არაფერ შუაშია ის — ვართ თუ არა ნაცია, ანდა ქართველები!**

საერთოდ, ძალიან საეჭვოა ისიც, რაღა მაინცდამაინც 27 სექტემბერს და რაღა მაინცდამაინც „ტრაურის" დღეს იხვეწება „ფორუმი" მათი ზურგების დამშვენებას ქართველების მხრიდან? სად არის იმის გარანტია, რომ ამ მართლაც უბედური დღის უმტკივნეულოდ, მარშ-ვალსებით გადაგორების უკან ხელისუფლების დაკვეთა არ დგას? ახლა ნურავინ მეტყვის, რა შუაშია ხელისუფლება და ისიც „ფორუმთან" მიმართებაშიო? რაო, ჯერ არაფერი გვსმენია, საკუთარ ტყავზე, არ გამოგვიცდია თუ ათასი ტყუილი არ მოგვისმენია „ფორუმელებისაგან" გადამწყვეტ ბრძოლაზე თვითგანწირვის მაგალითებზე და ა.შ. განა მთელი ამ წლის განმავლობაში მხოლოდ ლაყბობა, მხოლოდ უშედეგო, უსაგნო და უმისამართო აქციებით არა გვკვებავდა იგივე „ფორუმი", ანდა მათთან ერთად კიდევ ბევრი უსაქმური პოლიტიკოსი? განა სხვადასხვა გაზეთებიდან ერთმანეთს არ აბრალებდნენ: „არა, მე არ ამიღია ფული ხელისუფლებისაგან, იმან აიღოო?" განა, ამათი ყველასი თავგამოდებით არ ჩაბეტონდა ამდენი წლების განმავლობაში მიხეილ სააკიანიც და მთელი მისი ერევნული ხროვა ხელისუფლებაში?

როგორც კი რაიმე აქცია დაიგეგმებოდა, „ფორუმი" კოლეგა ოპოზიციონერებისაგან ეგრევე ითხოვდა სამოქმედო გეგმას, მაგრამ რატომღაც თავისი სამოქმედო გეგმის შესახებ ძალიან გვიან შლიდა კარტებს და როგორც არ უნდა გაუკვირდეს ვინმეს, მუჭში შენახული 2 ჯოკერი, ყოველთვის ხელისუფლებასთან „დაწოლისათვის" ჰქონდა გადანახული ისე, ყოველი შემთხვევისათვის...

**„ფორუმი" იწყებს დამოუკიდებელ ბრძოლას ხელისუფლების შესაცვლელად" — ბრძანებდნენ წამდაუწუმ კახა, გუბაზი, რეზო და ვითარცა ბადრი, უსუპ და ამირან, ცრუ დაპირებებით, ცრუ მოქმედებით ყამარ ქალთან კი აღმოჩნდნენ საარშიყოდ, გასული წლის ასევე სექტემბრის თვეში და რა დამართა იმ ყამარმანიომ „ფორუმს", როგორ ჩააწვინა მიწაში მათი ჯერ კიდევ შემონახული იოტისოდენა რეიტინგი — ესეც ყველას გვახსოვს.**

ანდა, დამოუკიდებელი ბრძოლა, ისიც ამოდენა პოლიტიკური პარტიების არსებობისას, ნეტავ, როგორ წარმოედგინა „ფორუმს"? „მარტო კაცი ჭამაშიც ცოდვააო", ჩვენზე ჭკვიან ქართველს უთქვამს და რა არის ამხელა ამბიცია, რომელიც თითოეული „ფორუმელის" ტვინშია ჩაბუდებული — არ უნდა გვაინტერესებდეს? თუ სხვასთან ბრძოლას უკადრისობთ, ბატონებო, მაშინ რაღას იბუტებით, როცა თქვენგან დაწუნებული თქვენი კოლეგები პრივატულ საუბრებში „მიშას გამგრძელებლებს" გეძახიან?

**ისე, ნეტავ, მართლა რატომ „დაიკიდა" მიშას იმპიჩმენტის საკითხი „ეროვნულმა ფორუმმა"? ამ კითხვაზე პასუხი გუბაზ სანიკიძემ ნაწილობრივ გასცა, როცა ბრძანა, რომ: „მიშა ხანდახან მომწონს"-ო, მაგრამ არ უთქვამს ნავახშევს მოსწონს, ნაბახუსევს თუ საერთოდ, ყველა დროსა და ყველა პოზაში და ამ „მოწონების" ემბრიონი რის შემდეგ ჩაისახა — ჩასვრილი აქციების, „ფორუმის" უმოქმედობის თუ „ხელი ხელსბანს"-ის „წმინდა რიტუალის" შესრულების შემდეგ?**

აბა, მაშ, როგორ უნდა გავიგოთ, თუ არა „მოწონება" ის, რომ ამხელა სიყვარულით და ხალხის იმედად მიჩნეულმა „ფორუმმა", მიშას და ნინოს ანაცვალა წლობით მოპოვებული ხალხის ნდობაც და საკუთარი, პიროვნული ავტორიტეტიც? ჩვენ ხალხს ახსოვს 7 ნოემბერი, 4 იანვარი, 20 იანვარი, 9 აპრილი, 26 მაისის „დინამოს" სტადიონი, ახსოვს შეძახილი „თბილისში ჯალალედინია", ახსოვს ალმაშენებლის გამზირზე დროშასავით გაშლილი ზღვა ნაკადი „ფორუმისა", ვიდრე ელბაქიძის დაღმართამდე, ახსოვს გმირებივით მომავალი კახა შარტავა, გუბაზ სანიკიძე და ამ ყველაფრის შემდეგ რუსთაველის გამზირზე „ქართვე-



იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ლო, ხელი ხმალს იკარო“-საც რომ გაიხსენებ, ფლუსტრაცია არ დაგემართება კაცო? ანუ, არ გაწბილდები, არ დაპატარავდები და ხელს არ ჩაიქნევ საკუთარ პოლიტიკურ გემოვნებაზე? მოლოდინი იმისა, რომ სწორედ „ფორუმი“ გამოუტანდა განაჩენს ამ ხელისუფლებას ხალხთან ერთად — გაქრა და ვითარცა



მოგონებანი გარდასულ დღეთა, ისტორიას ჩაბარდა.

როცა გუბაზს ვკითხე: „ფორუმის“ ყველაზე დიდი შეცდომა რა იყოთქო? —მიპასუხა: პარლამენტში არშესვლა და მანდატების დაჭრაო. „თუ 2011 წელსაც სააკაშვილი იქნება პრეზიდენტი, პოლიტიკიდან წახვალთ „ფორუმელები“-თქო? — შევეკითხე გამიზნულად. „აბა, რას ვიზამთ, უბრალოდ, ამ შემთხვევაში ჩვენს თავს პოლიტიკაში ვერ ვხედავთო“, — მიპასუხა მან. ახლა რომელი წელია გუბაზ?! როდესაც სხვა გაზეთის ჟურნალისტი შეეკითხა: „ხომ თქვით „საერთო გაზეთთან“ პოლიტიკიდან წავალ, თუკი 2011 წელს ისევ სააკაშვილი იქნება ხელისუფლებაშიო?“ იცით, გუბაზმა რა უპასუხა იმ ჟურნალისტს? — „ეს იმიტომ ვთქვი, საზოგადოების პროვოცირება მინდოდა, თორემ პოლიტიკიდან როგორ წავალ, ბოლო-ბოლო ამ საქმეში 20 წელია ვარ და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელი მაქვს მოწერილიო!“

მე არ ვიცი (და ალბათ, არც თქვენ გეცოდინებათ მკითხველო), ჩვენს პროვოცირებაში რას გულისხმობდა ბატონი გუბაზი, მაგრამ ალბათ, ეგონა, რომ მისი ამ სიტყვების შემდეგ, გულწასული საზოგადოება ისევე როგორც ედუარდ შევარდნაძეს, ფერხთით დაუვარდებოდა მასაც, კახასაც, რეზოსაც, ნოდარისაც და ეტყოდა: „ნუ წახვალთ, ნუ, ჩვენო ხელმწიფენო, თორემ საქართველო დაიღუპებაო!?“

**საქართველო რომ 2008 წლის აგვისტოს 8-ში მართლაც იღუპებოდა, „ეს ჩვენი“ პარტიები ვის უცხადებდნენ მორატორიუმებს და ვის ეხვეწებოდნენ, „ნუ წახვალ, ნუ, ჩვენო მიშიკო, თორემ მშივრები დავიღუპებითო“ — დაგვავიწყდა? თუ მიშას დამხობა და ქვეყნის მართლა გადარჩენა უნდოდათ — „ფორუმს“, „მემარჯვენეებს“, „ქრისტიან-დემოკრატებს“, „ლეიბორისტებს“, რესპუბლიკელებს“ და დანარჩენ პარტიებს, რატომ მაშინ არ მოაწყვეს „მარში“ ნაცების წინააღმდეგ და რატომ არ დაძრეს ხალხი სამშობლოს განთავისუფლებისათვის? იმაზე კარგი მომენტი პოლიტიკურად, მორალურად და საერთოდ, წმინდა პატრიოტული მოსაზრებიდან გამომდინარე, არსებობდა განა?**

„ფორუმელები“ იმასაც ამბობდნენ, მიშას დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთო, მაგრამ 2008-შიც იარჩევნეს მასთან ერთად და ხვალაც რომ დაინიშოს არჩევნები, იმაშიც მიიღებენ მონაწილეობას ოღონდ ამჯერად (თუ, რა თქმა უნდა, გადაალაჯეს ბარიერს) პარლამენტში აუცილებლად შევლენ, რადგან „ამ საქმეში“ დიდი ხანია არიან, ანუ პოლიტიკაში და თუ სხდომათა დარბაზიდან ვერ გარეკეს „ნაცები“, მაღალი სადეპუტატო პენსიები ხომ ექნებათ გარანტირებული, მთელი სიცოცხლის მანძილზე? ახლა, როგორც უკვე მოგახსენეთ, მთელი ეს „წინასაპარლამენტო მარში“-ც ამისთვის სჭირდებათ და მიუხედავად საზოგადოების მხრიდან იმედგაცრუებისა, შესაძლოა, როგორც წყალწაღებული ხავსს, თბილისელების 0,001 პროცენტი, მაინც გამოვიდეს ქუჩაში და ფეხი აუწყოს იმ მარშს, რომელიც 27 სექტემბერს „ფორუმის“ დაკვეთით შესრულდება დედაქალაქის ვინ უწყის რომელ ქუჩებში!

საერთოდ, მარში ქართველებისთვის, ისევ როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ყოფილი მოქალაქეებისათვის, უცხო ხილი სრულებითაც არ გახლავთ. ჯერ იყო და, საბავშვო ბაღებში გვამწკრივებდნენ მწყობრში, შემდეგ პიონერობის დროს და თანაც „ჩესტზე“, მერე „კომკავშირული მარშ-ბრასოკებით“ გვლლიდნენ და სულ ბოლოს განსაკუთრებული თარიღებისას, როგორიც იყო 7 ნოემბერი, 25 თებერვალი, 1 მაისი და ა.შ. სულ წინ და უკან არ დაგვარბენინებდნენ საპარადო მუსიკების თანხლებით?

როგორ ნელ-ნელა ემსგავსება წარსულს დღევანდელობა? არა, მაინც საიდან მოიტანა გუბაზ სანიკიძემ ანდა სხვა „ფორუმელებმა“ეს სიტყვა „მარში?“ ეეჰ, ეს რომ ძველი დრო ყოფილიყო, ანუ „ფორუმის აღორძინების“ ეპოქა, ხომ დასჭექავდნენ: „ქართველნო, ქუდზე კაცი, ლაშქრობა გვიბრძანებია დედაქალაქში, მტრის გასაწყვეტადო?“ ანდა: „ქართველნო, მწყობრად გამოვიდეთ და ერთად შევუტიოთ საკასო?“ ფუი, როგორ დაპატარავდნენ, როგორ დაჩაჩანაკდნენ და როგორ შემოაპატიურებინეს თავი მტერს კახამაც და გუბაზმაც? არადა, რა კარგად მახსოვს, უბედური ქართველობა ლამისაა ხელზე რომ ჰკოცნიდა და მიტინგზე, სახლიდან წამოღებულ ყველს და პურს რომ სთავაზობდა, მხნედ იყავით, არაფერი დაგემართოთო? ჩემი აზრით, „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ტელეკომპანია „კავკასიაში“ ჩატარებულ ანტიმართლმადიდებლური სპეც.ოპერაციის დროს წმინდა ეროვნული პოზიცია არ დაიკავეს და საკუთარი ტყავის გადასარჩენად თვალი დახუჭეს 8 სრულიად უდანაშულო მორწმუნის დაპატიმრებაზე: მოგვიანებით კი, როდესაც გუბაზს ვუთხარი: „არ იყავი მართალი იმ მომენტში, ახლა გამოდი და ბოდიში მოიხადე-თქო“, — მიპასუხა:. „ჩემი უფროსი ცაში ღმერთია, მიწაზე კიდევ ჩვენი პატრიარქი, საპატრიარქოს არ გაუპროტესტებია იმ ბიჭების დაპატიმრება და ახლა მე, პატრიარქზე მეტი მომეთხოვებაო?“ გუბაზიიი, ეს ჩვენი პატრიარქი ხომ დაინახე, რომ მაშინაც მიშას გვერდით იდგა და ლოცავდა მას, როცა მიშამ ანტიმართლმადიდებლური კანონი მიაღებინა თავის პარლამენტს და მაშინაც ლოცავდა, როცა მიშა ამ ქვეყანას მთელი ამ წლების განმავლობაში აქცევდა!

**როგორც გაირკვა, საპატრიარქოც, ე.წ. „ოპოზიციური პარტიებიც“, სახელისუფლო ელიტაც და მათი დამქაში დამკვრელ-მასხარებიც, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ყოფილხართ, ე.ი. საქართველოს მტრობთ და რომელ ეროვნულობაზე ტლიკინებთ დღე და ღამე პრესით, საზოგადოებასთან შეხვედრისას და პრივატულ საუბრებშიც, გასაკვირია, ღმერთმანი. თქვენ ყველა ერთად აღებულები ანგრევთ ამ ქვეყანას, ერთად უბიძგებთ ქართველობას თვითმკვლელობისკენ, ემიგრაციისკენ, ნიჰილიზმისკენ და ამ ყველაფრის შემდეგ, აქეთ რომ გვიკითხავთ ნოტაციებს, ქუჩა-ქუჩა სახეტიალოდ რომ გვეპატიჟებით, თანაც გაურკვეველი ზრახვებით, არათუ სასაცილოა, არამედ ამაზრზენიც.**

**ამიტომ, ნუ გეწყინებათ, თუკი 27 სექტემბერს და შემდეგშიც ქართველობა თქვენს გვერდით დადგომას არ იკადრებს და ამ უკადრისობის მიზეზი თქვენდამი სიძულვილი კი არ იქნება, არამედ ის, რომ თქვენ, ყველა ერთად აღებულები — ღალატში ხართ მხილებულები.**

მოღალატეებს კი ქართველები მას შემდეგ ვერ ვიტანთ, რაც ქრისტიანობა მივიღეთ და რაც იუდა ისკარიოტელის ვერცხლისადმი ტრფიალის ამბავმა, საქართველომდე მოაღწია. რაც შეეხება ქართულ პოლიტიკურ ოპოზიციაში საპროტესტო აქციების ახალ ტერმინ „მარშს“, იმედია, სულ მალე დამკვიდრდება ტერმინი „პაკაზიც“ და იმიტომ, რომ, „ვილაცამ“ დათვალოს რომელ პარტიას რამდენი მხარდამჭერი ჰყავს, არც ისაა გამორიცხული, რომ ტერმინი „პოდიუმიც“ დიდი წარმატებით დამკვიდრდეს ამა თუ იმ სეზონური აქციებისას. ჰოდა, იქნება ერთი გავლა-გამოვლა, უკანალების ქნევა და რაც მთავარია აპლოდისმენტები, რომელიც ჩვენს „პოლიტიკოსებს“ ასე ძალიან უყვართ.

ისე, საინტერესოა, 27 სექტემბერს ხიდან ფოთლები ჩამოცვივდება? ალბათ, არა და რომ არა, სწორედ ეს არის სასაცილო. ბოლო-ბოლო შემოდგომაა და უხდება ბუნებას ხიდან ჩამოცვენილი ფერად-ფერადი ფოთლები...

**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S. საპროტესტო მაინც დაგერქმიათ ამ თქვენი მარშისთვის, ფორუმელებო, მაგრამ, ეტყობა, ესეც ვერ გაბედეთ!**

## რუსეთში მცხოვრებმა ქართველებმა ლოტოს გათამაშებაში 4 მილიონი რუბლი მოიგეს



რუსეთის ქალაქ სამარაში მცხოვრებმა ქართველებმა, ოლეგ და ნატალია ხასანიებმა ადგილობრვი ლოტოს გათამაშება “გოსლოტოში” 4 მილიონი რუბლი მოიგეს. ოლეგ ხასანია მოგებული ფულით ზუგდიდში გარდაცვლილი დედის სახელზე სამლოცველოს აშენებას აპირებს.

„როგორც კი მოვიგეთ, მაშინვე გადავწყვიტეთ, თუ რაში დაგვეხარჯა ეს ფული”, - განაცხადა მან.

ხასანიების განცხადებით, ისინი ლოტოში უკვე დიდი ხანია ერთ და იგივე ციფრებით თამაშობენ და საკმაოდ წარმატებულადაც. რამდენიმე წლის წინ მათ ლოტოში ავტომობილი და 50-60 რუბლი რამდენჯერმე მოიგეს. მათი თქმით, ისინი ლოტოს თამაშს მომავალშიც გააგრძელებენ და უკვე გადაწყვეტილიც აქვთ, თუ რაში დახარჯავენ შემდგომში მოგებულ ჯეკ-პოტს. ხასანიები დიდი ხანია რაც სამარაში ცხოვრობენ.

**„მედიანიუსი“**




რა ღრმა დონის გამოქლიავებული უნდა იყო ადამიანი, რათა სერიოზულად გეგონოს, რომ თუკი გამოუშვებ საჭმელ ტყლაპს ‘‘რეფორმატორული ჰალსტუხი’’, ამით სააკაშვილის ცნობილ საქციელს გააპრავებ! ისე საჭმელი ჰალსტუხების პირველი პრეზენტაცია ‘‘საკანი №5’’-ში შედგა, შოთა გლურჯიძემ მიიტანა ოჯახში დამზადებული, მაგრამ ამ გენიალური პიარაქციის შემოქმედმა პირებმა ეს ამბავი, ეტყობა, არ იცოდნენ: ჰალსტუხი ჯანდაბას, აი, რაც ქალები ყავს ნახ.... იმის გაპიარება თუ დაიწყეს, საკონდიტრო წარმოების აღმავლობას უნდა ველოდოთ ნაღდში.

ქართველების, ამ ერთი მუჭა ერის წინააღმდეგ ლამის მთელი სამყაროა ამხედრებული! მისი ერთ ნაწილს, საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, სურს ქართველების, როგორც ერის მოსპობა–განადგურება(აშშ), მეორესაც იგივე მიზნები აქვს და ეს უკვე ჩვენი უტვინობის გამო(რუსეთი). ორივე თავისი მიზნის განხორციელებას ერთი არსების–სააკაშვილის ხელით ცდილობს!მაგრამ არსებობს უდიდესი ძალა–თვითგადარჩენის ინსტიქტი! ადრე თუ გვიან, სწორედ ეს ძალა სათანადოდ ამოძრავდება ქართველებში, ნახავთ!

უსმინეთ გუშინ ამ უნამუსო კაცმა რა თქვა სამხედროებთან შეხვედრისას? ეს ან მართლა გიჟია და ჩვენც სულელები ვგონივართ (ისე, კი ვართ სულელები, მაგის და შევარდნაძის სპექტაკლზე რომ წამოეგო მთელი საზოგადოება და ეგ პრეზიდენტად ავირჩიეთ), ან მოკლე მეხსიერება აქვს და დაავიწყდა თავისი ტყავის გადასარჩენად გორის ასფალტზე რო ხოხავდა. გუშინ კი გაიძახოდა, მე საქართველოსათვის საკუთარი სიცოცხლე არ მენანებაო. რა გმირი ხდება ხოლმე დაცვით გარშემორტყმული, თავის ჯარისკაცებში რო დგას უსაფრთხო ადგილზე. ავიწყდება კურდღელი რომაა. )))

„რუსეთს სომხეთი ყავს, ჩვენ კი - საქართველო’’, - განაცხადა ალიევმა და დაამატა, რომ ‘‘მართალია, ზოგჯერ სააკაშვილი ბევრ სისულელეს ამბობს, მაგრამ სისულელეებს არ ჩაიდენს’’.- ნეტარ არიან მორწმუნენიო, სხვათა შორის მუსულმანებსაც ეხებათ... :))))))))))

Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook



## jondi baRaTuria:

# subelianis uwyebaSi milionebia gamqrali

***გვესაუბრება „ქართული დასის“ ლიდერი, პარლამენტარი ჯონდი ბაღათურია.***

**— ბატონო ჯონდი, როგორ გაატარა ხელისუფლებამ ზაფხულის არდადეგები?**

— არა მარტო ქართველმა ხალხმა, დანარჩენმა მსოფლიომაც თვალნათლივ იხილა მშიერი ქვეყნის მაძღარი ხელისუფლების დროსტარება, რომელმაც ამ ზაფხულს ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა და ყველა რეკორდი მოხსნა. დღეში 2-3-ჯერ ჩვენ ვხედავდით ფეიერვერკებს, კონცერტებს, რომელზეც ხან ბა გაამართლა! ისინი მართლაც ასე ფიქრობენ... ოჯახის მამა, რომელსაც შვილები მშიერი ჰყავს და მოხუცი მშობლებისთვის წამალს ვერ ყიდულობს, მცირედ შემოსავალს ღვინოში და ქალებში დახარჯავს? მაგრამ ამ ხელისუფლებას ქართველი ხალხი, რომელიც მშიერი და ღატაკია, გერად მიაჩნია!

ამ ხელისუფლების სიტყვას და საქმეს შორის ხომ დიდი სხვაობაა... სიტყვით აღმშენებლობას ქადაგებენ, საქმის კი ანგრევენ...

ბათუმში დედაენის ძეგლი შენდება, რაც 26 მილიონი ჯდება. დალხინებულ ქვეყანაში რა თქმა უნდა, ეს მისასალმებელია. უკეთესს რას უნდა დაუდგა მართლაც ძეგლი... მაგრამ, რა დროს ძეგლია, როცა საქმით ესენი დედა-ენას ებრძვიან, ლამის მთლიანად ინგლისურით ჩაანაცვლეს! რა დროს ძეგლია, როცა ბავშვები სიძვირის გამო დედა-ენის სახელმძღვანელოს ვერ ყიდულობენ! დედაენის მიმართ სიყვარული პირველ რიგში, სათუთი მოპყრობით უნდა გამოიხატოს, ესენი კი რას აკეთებენ? — ყველა შენობას და დაწესებულებას ინგლისურად აწერენ დასახელებას და დედაენაზე ქუჩებში წარწერები დათანხა უკან ამოიღეს! ვკითხულობ, სადმე თუ არსებობს ტრანზაქციაზე ასეთი მაღალი პროცენტი?! სუბელიანი პირადად ხომ არ მისცემდა დევნილებს ამ 350 ლარს. გადაურიცხა ბანკით და ბანკმა წაიღო მესამედი! 4 პროცენტი არის საკრედიტო ბარათებზე ტრანზაქციის მომსახურება. წარმოიდგინეთ, დევნილი დახმარებას იხვეწება, კაპიკებს აძლევენ და მესამედს უკან ართმევენ! ეს არის ჩვეულებრივი „ატკატი“!

აი, მეორე მაგალითიც — დევნილებისთვის გასათბობად საჭირო შეშით მოსამარაგებლად 2009 წლის ნოემბერ-დეკემბერში გაღებულია 520.300 ლარი. დოკუმენტაციაში არ ჩანს დევნილებისთვის გადაცემული შეშის არც რაოდენობა და არც ღირებულება! ანუ სუბელიანმა დახარჯა ნახევარი მილიონი და ჩვენ სიტყვაზე უნდა ვენდოთ, რომ მან ნამდვილად შეშაში დახარჯა... ნახევარი მილიონი ბიუჯეტიდან ფაქტიურად, გააქრო სუბელიანმა და დოკუმენტები არ არსებობს! სხვათაშორის, ამას ამბობს კონტროლის პალატაც.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აქვს 4 მილიონამდე კრედიტორული დავალიანება და არ იცის, ეს თანხა სად განიკარგა! კონტროლის პალატამ იმუშავა და ვერ აღმოაჩინა 4 მილიონი.

ნაცნობი და ხან უცნობი მომღერლების ჩამოყვანაზე მილიონობით თანხა იხარჯებოდა ბიუჯეტიდან, მაგრამ ამ ყოველივეს გვირგვინი იყო კალათბურთის გუნდის მხარდამჭერის შეფუთვით კლაიპედაში ბიუჯეტის ხარჯზე მრავალრიცხოვანი რაზმის წაყვანა! ჩვენ აუცილებლად ამოვწევთ დახარჯულ თანხებს! თუ აქამდე ხელისუფლების წევრები ინდივიდუალურად დადიოდნენ საზღვარგარეთ გასართობად, ახლა მეფური მადა გაეხსნათ და დროს სატარებლად თავიანთი დამკვრელების და ანსამბლების, ასევე, კარის ტაკიმასხარების თანხლებით დადიან! მარტო სასტუმროს და მგზავრობის ხარჯებს აღარ სჯერდებიან! რამდენიმე ქუჩა ჰქონდათ აღებული და იქ უნდა გენახათ საწყალი ქართველი ხალხის ბიუჯეტის ხარჯზე მოწყობილი კონცერტები, დისკოთეკები, გიგანტური ხაჭაპურები და მწვადაობა... თანაც ამ ყველაფერს თავის დამშეულ ხალხს ეკრანზე აჩვენებდნენ და უპასუხისმგებლობასთან ერთად ხალხის მიმართ ცინიზმსა და ზიზღსაც ავლენდნენ! ქვეყნის 72 პროცენტი მშიერია და ესენი ორგიებს ატარებენ. ეს დროსტარება მინიმუმ, 20-25 მილიონი დაჯდა!

ქვეყანაში 842 ათასი პენსიონერია, ამათგან 630 ათასი საპენსიო ასაკის გამო იღებს პენსიას. ტელევიზიით გადის სამარცხვინო კლიპი, რომელშიც პრეზიდენტი პენსიონერებს 10 ლარიანი პენსიის გაზრდას ამადლის. 630 ათასის 10-ზე გადამრავლებით გამოდის, რომ 6 მილიონ 300 ათასი დამატებით მისცეს პენსიონერებს... 25 მილიონი რომ პენსიის მომატებისთვის მოეხმარებინა, პენსია დამატებით 40 ლარით გაიზრდებოდა! თუ ხელისუფლება გქვია და არჩევანის წინაშე დგახარ, რომ მშიერ პენსიონერს 40 ლარი მოუმატო, ან კლაიპედაში დაასვენო ზონდერები, მეორე არჩევანს რა სინდისით უნდა აკეთებდე?! დროსტარებაზე საერთოდ არ უნდა იხარჯებოდეს ფული, თუმცა გოკა გაბაშვილმა შესაშური გულახდილობა გამოიჩინა, როცა პარლამენტის სხდომაზე დროსტარებისთვის ბიუჯეტიდან თანხების ათვისეიკარგა! აღარაფერს ვამბობ ქვემო ქართლზე და ჯავახეთზე, სადაც არაქართულმა მოსახლეობამ სახელმწიფო ენა არ იცის და ეს 26 მილიონი ამ მიმართულებით რომ დახარჯულიყო, გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, რადგან ქართულის უცოდინარობის გამო ჩვენს სახელმწიფოში მათი ინტეგრაციის საკითხი დღემდე გადაუჭრელია!

**— ბატონო ჯონდი, მახსოვს, როცა გურამ ჩახვაძემ პარლამენტში გამოსვლის დროს უკან დახია და ელიტარული კორუფციის არსებობა ვერ დაასაბუთა, თქვენ სააკაშვილს მაგიდაზე დაუდეთ დოკუმენტები... რა საბუთები დაალაგეთ მაშინ?**

— გეტყვით რამდენიმე ფაქტს და შევეხები ელიტარული კორუფციის მძვინვარებას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში... დევნილთა დახმარების ფონდიდან ერთჯერადი დახმარებით დაკმაყოფილებულია მთხოვნელთა 42 პროცენტი. დანარნახევარ მილიონზე მეტია დახარჯული ტრანსპორტში!

დევნილთა ორგანიზებულ განსახლებაზე, დაბინავებაზე გაწეულია 1.197.300 ლარის ხარჯი და ჩატარებულ სამუშაოებზე არ არსებობს ხარისხის კონტროლი და მიღება-ჩაბარების აქტი!

ფოცხოეწერში დევნილები ძალადობრივად შეასახლეს ხუხულებში, როლებიც უკვე ინგრევა. სხვაგანაც ანალოგიური სიტუაციაა. გამოდის, ასეთ ობიექტებზე ამაოდ დაიხარჯა ფული. 1.197.300 ლარის სამუშაო სუბელიანმა ჩაატარა და ვერ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი. მხოლოდ ის წერია, რომ ფული დაიხარჯა და კობა სუბელიანს თურმე, აქაც სიტყვაზე უნდა ვენდოთ, რომ ის ფული ჯიბეში არ ჩაიდო!

აი, ეს დოკუმენტები დავუდე პრეზიდენტს, რაც უტყუარი საბუთია, რომ ქვეყანაში ელიტური კორუფცია მძვინვარებს, თავად მინისტ-



ჩენ 58 პროცენტს უარს ეუბნებიან — ბიუჯეტში თანხები არ არისო. აქ ისევ ხელისუფლების წევრების თავაშვებულ დროსტარებაში საბიუჯეტო თანხების ხარჯვა მახსენდება. ერთჯერადი დახმარება კაცზე 350 ლარის ოდენობით გაიცა და ჯამურმა თანხამ 799.425 ლარი შეადგინა. აქ საბანკო და საფოსტო მომსახურების ხარჯმა შეადგინა 237.300 ლარი, ანუ ჯამური თანხის 1.3. ე.ი. 350 ლარიდან 116 ლარი დაუქვითეს! ეს რები არიან კორუფციაში ჩაფლული და საბიუჯეტო თანხების მითვისება-გაფლანგვაში შემჩნეულნი! ქვეყანაში არის შერჩევითი სამართალი! ჯიხურის გამყიდველმა 1 ლარის ჩეკი რომ არ ამოარტყას, ჯერ 500 ლარით, მერე 1500 ლარით დააჯარიმებენ და ბოლოს ქონებას უყადაღებენ, ამ ფონზე კი კობა სუბელიანი ვერ ასაბუთებს რამდენიმე მილიონის განკარგვას და არამცთუ ისჯება, მინისტრობას აგრძელებს.

**ბექა ჩხაიძე**

# Tbilisis meriaSi elitaruli korufcia hyvavis

***გვესაუბრება საკრებულოს წევრი, რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი.***

**— ქალბატონო თინა, თქვენ განაცხადეთ, რომ თბილისის მთავრობა ქალაქის ბიუჯეტიდან არამიზნობრივად ხარჯავს თანხებს, უფრო კონკრეტულად თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა თანხებზეა საუბარი?**

— მინდა გითხრათ, რომ საერთოდ, ძალიან გართულდა ქალაქის მერიიდან ინფორმაციის მოპოვება ქალაქის ბიუჯეტის შესახებ, მაგრამ მიუხედავად წინაღმდეგობებისა,მაინც ვახერხებთ. სასურველი ინფორმაციის მოპოვებას. განსაკუთრებით გასაიდუმლოებულია ქალაქის ბიუჯეტის კულტურული ღონისძიებების ხარჯები, თუ სად, რა თანხები იხარჯება. აღმოჩნდა, რომ სერიოზული თანხები იხარჯება კულტურული ღონისძიებებისათვის, ახლახან გამოცხადდა ტენდერი სცენების, საგრიმიორების და სხვა გასართობი ღონისძიებებისათვის და საერთო ჯამში ამ ხარჯებმა 3 მილიონ ნახევარი ლარი შეადგინა. თუმცა ამ ხარჯებში არ შედის თბილისობის ახალი წლისა და დღესასწაულისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები. ააახალი წლის დღესასწაულისათვის ორმილიონნახევარილარიანი ტენდერი მერიამ უკვე გამოაცხადა, რაც შეეხება, თბილისობას, პატარ-პატარა ტენდერებია გამოცხადებული ყურძნის შესასყიდად და სხვა ხარჯებისათვის, რაც საბოლოოდ საკმაოდ სოლიდურ თანხებს შეადგენს. „არ ვიცით, რა თანხა დაუჯდება ქალაქის ბიუჯეტს კიდევ ერთი ღონისძიება, ეს არის ვარდების რევოლუციის დაფინანსება. გგამომდინარე აქედან, ძალიან ძნელია ზუსტი ციფრი გითხრათ, თუ რა თანხები იხარჯება ქალაქის ბიუჯეტიდან, რადგანაც ბევრი რამ არც მე აარ ვიცი. სამწუხაროდ, არის ინფორმაციები, რომლის მოპოვება, მე, როგორც საკრებულოს დეპუტატს, მიჭირს.

სოციალური პროგრამების დაფინანსება გასულ წელთან შედარებით შემცირებულია. საბავშვო ბაღებს დაფინანსება შეუწყვიტეს, დასუფთავების სამსახურის გადასახადი შემცირებულია, რის გამოც მოქალაქეებს დაეკისრათ გადასახადი. მმეორეს მხრივ, მშობიარობის ხარჯები ჩაიდო ბიუჯეტში, სიღარიბის ქულის მიხედვითაა განსაზღვრული, რომელიც გასული წლის ბიუჯეტში არ იყო. ძირითად ნაწილში კი თბილისის ბიუჯეტი შარშანდელთან შედარებით შემცირებულია და შესაბამისად შემცირდა სოციალური პროგრამების დაფინანსება.

**— რა თანხით არის თბილისის ბიუჯეტი შემცირებული?**

— 200-300 ათასი ლარით შემცირდა თბილისის ბიუჯეტი.



**— ბოლო დროს თქვენ ელიტარულ კორუფციაზე დაიწყეთ საუბარი, ამ შემთხვევაში ვის გულისხმობთ, ბოლო დროს გახმაურებულ არჩილ გეგენავას და მის ბიზნესს თუ სხვა ჩინოვნიკებს?**

— ელიტარული კორუფციაში სააკაშვილის მთელი სახელისუფლებო მმართველობაა ჩართული და არა მარტო ერთი კაცი, არჩილ გეგენავა ამ შტოს ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელმაც ბოლომდე ვერ ითამაშა სახელისუფლებო თამაში.

ქალაქის მერიის გამოცხადებულ ტენდერებში ყოველთვის ერთი კაცის ფირმები იმარჯვებდა, ეს ერთი კაცი გახლდათ არჩილ გეგენავა, რომელიც ამ ტენდერების წყალობით გამდიდრდა და საკუთარი ქონება რამდენიმე მილიარდით გაზარდა. ქალაქის მერიამ



ამ ზაფხულს 17 ფირმის ტენდერი გამოცხადა და ყველა ჩაიშალა, სხვა დროს ტენდერები არ იშლებოდა, ტენდერის ჩაშლის შემთხვევა ბოლო სამი წელია არ დაფიქსირებულა. როგორც ჩანს, ეს იყო შიდა სამზარეულოს საიდუმლო, რადგანაც ყველა ფირმამ იცოდა, რომ არჩილ გეგენავა იყო მონოპოლისტი ამ ბიზნესში ტენდერის ჩაშლის შემდეგ, გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ იქ რაღაც ხდებოდა. გაირკვა, რომ ტენდერში მონაწილე ნაციონალების მიერ ხელდასმული მონოპოლისტი არჩილ გეგენავა შიდა დაპირისპირების შედეგად თავიდან მოიშორეს. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მას პრემიერ-მინისტრობის სურვილი გაუჩნდა, გარდა ამისა, გეგენავამ ხელი არ მოაწერა კანონს რელიგიის შესახებ, ეს გახდა მიზეზი მისინაციონალების მიერ მისი ათვალწუნების..

ამის შემდეგ უკვე გეგენავას კომპანიებს — შპს „მეგაფუდსა“ და „ფუდსერვისს“ უარი უთხრეს ტენდერში მონაწილეობაზე. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ გადაწყვიტა არჩილ გეგენავა სხვა უფრო „სანდო“ მონოპოლისტით ჩაანაცვლოს.

არჩილ გეგენავას თავიდან მოშორების მიზეზი, მისი გაზრდილი ამბიციები გახლდათ, იგი ჯერ მერობის

# darwmunebulivar, rom axlo momavalSi damiWeren

***„საერთო გაზეთის“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა მამა ბასილ მკალავიშვილის ინტერვიუ, სადაც იგი ყინწვისის მონასტერში დაპატიმრებულ „ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის“ წევრებზეც საუბრობს.***

***ჩვენ დაგვიკავშირდა ზემოხსენებული მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აღმასრულებელი საბჭოს წევრი ლევან კოჭლოშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ მამა ბასილის ამ განცხადებაში უზუსტობებია და გვთხოვა მისი პოზიციაც დაგვეფიქსირებინა.***

**ლევან კოჭლოშვილი:** „უპირველეს ყოვლისა, მინდა ჩემი უდიდესი პატივისცემა დავაფიქსირო მამა ბასილ მკალავიშვილის მიმართ, რადგან ის ყოველთვის შეუპოვრად ებრძოდა იმ ხალხს, ვინც მართლმადიდებლობისა და ჩვენი დედაეკლესიის დაკნინებას ცდილობდა. უბრალოდ, მას გარკვეული ინფორმაციები არასწორად მიაწოდეს. ყინწვისში დაკავებული ადამიანები ნინო ბურჯანაძის რაიმე 30-კაციანი დაჯგუფება კი არა, დამოუკიდებელი სუბიექტის „ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის'' წარმომადგენლები არიან. მაშინ 24 კაცი დააპატიმრეს და მხოლოდ ერთი მათგანი, ამჟამადაც პატიმრობაში მყოფი დავით შუკაკიძის ვაჟი, გაათავისუფლეს. გათავისუფლების ზუსტ მიზეზს ვერ გეტყვით, მაგრამ, ვფიქრობ, ეს იმიტომ მოხდა, რომ ის ძალზე ახალგაზრდაა.

**— ისე, მართლაც საინტერესოა, ასე ჯგუფურად რატომ წავიდნენ ყინწვისში?**

— ამ გადაწყვეტილების მიღებისას მე ოფისში არ ვყოფილვარ. ჩვენი ორგანიზაცია მაისის აქციებთან დაკავშირებით „სახალხო კრების'' გვერდით დადგა, მაგრამ 21 მაისს მათი კოორდინირება ვერ მოხერხდა. მეორე დღეს ჩვენი ორგანიზაცია სულ ერთი საათით მივიდა აქციაზე. შეხლა-შემოხლა არ ყოფილა, მაგრამ ვატყობდით, რომ ჩვენი ორგანიზაციის მიმართ ვიღაც-ვიღაცების მხრიდან დიდი ინტერესი იყო. ეს არც გაგვკვირვებია, იქ ისეთი გვარები ფიგურირებდა, თუნდაც რომან დუმბაძე და თემურ ხაჩიშვილი, რომლებიც მთავრობასთან გარიგებაზე არ წავიდოდნენ და საშიშროებას წარმოადგენდნენ. მე დაკავების შემდეგ ეს ხალხი აღარ მინახავს, მაგრამ, ვფიქრობ, იმიტომ წავიდნენ, რომ ამ პროცესებს გარიდებოდნენ, თანაც არ დაქსაქსულიყვნენ, რათა ცალ-ცალკე ტყუილი ბრალდებით არ დაეჭირათ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე.

**— რამდენაც ვიცი 22-მა დაკავებულმა აღიარებითი ჩვენება მისცა და მათ საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს. პატიმრობაში როგორღა რჩებიან?**

— გახსოვთ, ალბათ, ტელევიზიით რომ გვაჩვენეს სასტიკად ნაცემი ნიკა გოგუაძე, რამაზ ღვალაძე, დავით შუკაკიძე, მიხეილ ცილიკიშვილი, აღიარება ამის შედეგი იყო, თუმცა გოგუაძეს და კეშელავას მაინც არ უღიარებიათ, ამიტომ მათ, შესაბამისად, 12 და 6 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. დანარჩენებმა რა აღიარეს, თვითონაც არ იციან, მაგრამ ისინი არ გაუთავისუფლებიათ, ოცდაერთს 4 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ცამბაიას კი, რომელსაც მობილურ ტელეფონში რუსული სიმღერები ჰქონდა, ერთი წელი ამისთვის დაუმატეს. ამას გარდა, მათ 5-წლიანი პირობითი სასჯელი და 4-წლიანი გამოსასწორებელი ვადა გამოუტანეს.

რაც შეეხება მეუფე იობს არცერთი დაპატიმრებულის ჩვენებაში არ არის მოხსენიებული მისი სახელი და ისინი მეუფის რეზიდენციაში არც დაუკავებიათ. ვინ შეიძლება იყოს ის 5 შეგზავნილი, ვერ ვხვდები. თუ რუსეთში მყოფ დუმბაძესა და ხაჩიშვილს გულისხმობენ, ძალზე მეეჭვება, რომ დუმბაძე, რომელსაც სააკაშვილის სასამართლომ 17-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, ამ მთავრობასთან შეკრული იყოს. შეგნებულად ხომ არ ხდება ჩვენს ორგანიზაციასთან დაკავშირებით ჭორების გავრცელება და ამ ჭორის შედეგი ხომ არ არის ჩემთვის ძალზე პატივსაცემი მამა ბასილ მკალავიშვილის განცხადება. არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ ნიკა გოგუაძისა ჩვენი ორგანიზაციის დისკრედიტაცია.

**— ვის გულისხმობთ?**

— რამდენადაც ვიცი, ნიკა გოგუაძის ძალზე ბევრი მეგობარია პოლიტიკაში,



რომლებიც დღესდღეობით ოპოზიციად მოიაზრება, მაგრამ მათგან არავითარი საჯარო განცხადება არ მომისმენია. ისინი ნიკას იცნობენ, როგორც ძალზე განათლებულ, დადებით პიროვნებას და ამ დროს თურმე ეს ადამიანი სამშობლოს წინააღმდეგ იბრძვის და სამხედრო გადატრიალებას აწყობს. მათ დუმილს ორი ახსნა აქვს, ისინი ან აღიარებენ ნიკას დამნაშავეობას, ანდა კაცობა არ ყოფნით, რომ გამოვიდნენ და მისი დასაცავი განცხადება გააკეთონ, რადგან ის უკანონობის მსხვერპლია. ნიკას ე.წ. მეგობრებს ნამდვილად ყოფნით ჭკუა ამის გასაანალიზებლად. იკითხეთ „სახალხო კრებაში'' და ‚წინააღმდეგობის მოძრაობაში'' — ვინ არის ნიკა გოგუაძე.

ის ჭორიც გაავრცელეს, რომ თითქოს ჩხრეკის დროს ჩვენი ოფისიდან მილიონი დოლარი ამოიღეს, თუმცა ახლა 100.000 დოლარზე ჩამოვიდნენ. ესეც სრული სიცრუეა. მერაბიშვილის ხელქვეითებს ფული რომ ამოეღოთ, ამას დამალავდნენ? ამ ეტაპზე თავს შევიკავებ ჭორის გამავრცელებლების დასახელებისგან, თუმცა ამის დროც მოვა. 26 მაისის დარბევის და ჩვენი წევრების დაპატიმრების გარშემო იმდენი სიბინძურე გავრცელდა, ისეთი რაღაცები გაირკვა, რომ მაპატიეთ და, დიდ ბორდელს შევადარებდი იმ ყველაფერს, რაც საქართველოში ხდება. ძალზე ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ამ ჭორების გამავრცელებლები ჯერჯერობით მარგინალები არიან, თუ დავინახავ, რომ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდნენ და საზოგადოების ნდობა მოიპოვეს, მაშინ ვიტყვი, ვინ ვინ არის, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ არ შევიდეს შეცდომაში.

**— პირად საუბარში მითხარით, რომ, შესაძლოა, მეც დამიჭირონო. ასე რატომ ფიქრობთ?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში დამიჭერენ, რადგან ბევრ ინფორმაციას ვფლობ და შესაბამისად, საშიში ვარ ე.წ ოპოზიციისთვის პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი სექტორიდან. ძალზე ბევრი მათგანია შეკრული ვანიკო მერაბიშვილთან და მათ ინტერესშია, რომ თუნდაც პრესით არ გავაჟღერო გარკვეული ინფორმაციები. ამიტომ ურჩევნიათ „დაკონსერვებული'' მიხილონ, დამიჭირონ და ჭკუა მასწავლონ. ჩემი დაჭერა, შეიძლება, ამ თქვენმა სტატიამაც გამოიწვიოს, რადგან მანამდე დიდი ხანი მდუმარედ ვისმენდი ჩემი თანაგუნდელების ლანძღვას. ნებისმიერს ვეკითხები, რომელიც ჩვენს ორგანიზაციას სოდ-ისა და კუდ-ის შექმნილად მოიხსენიებს, როგორ გგონიათ, თქვენს პარტიასა თუ ორგანიზაციაში ვანო მერაბიშვილის „ნასედკა“ არ გირევიათ? ნიკა გოგუაძეა აგენტი, რომელიც სასტიკად ნაცემი ვიხილეთ და 12 წელი მიუსაჯეს, თუ ოლეგ კეშელავა, ეს 60 წლის დიაბეტიანი კაცი, რომელიც 6 წლით ციხეში გაისტუმრეს?

**მანანა სუხიშვილი**

---

კანდიდატი იყო, მერე კი უგულავას საარჩევნო კამპანიას აფინანსებდა და სანაცვლოდ გიგი უგულავამ მას ტენდერები აჩუქა. არჩილ გეგენავამ ვერ ითამაშა ნაციონალების თამაში და თანაც გამდიდრებულს, როგორც ჩანს, უფრო დიდი ამბიციები გაუჩნდა, ამიტომ როგორც სჩვევიათ, ის ჩამოიშორეს.. არჩილ გეგენავას ბიზნესი ეს იყო ტიპიური ელიტარული კორუფციის მაგალითი, რომელიც თავიდან ბოლომდე მერიის ბიუჯეტზე იყო აწყობილი. ახლა გეგენავას კეზერაშვილის ბიზნესით ჩაანაცვლებენ.

ელიტარული კორუფცია სენივითაა, ხელისუფლებას ის ან სჭირს ან არა, როცა კითხულობენ, თავის დროზე სააკაშვილი დაუშვებდა თუ არა კორუფციას?მე ასეთ პასუხს ვიძლევი, ფაქტია, რომ დაუშვა და მისი სისტემა აეწყო კორუფციაზე.

**— თქვენი აზრით, რატომ დაუშვა სააკაშვილმა კორუფციული სისტემის შექმნა?**

—სააკაშვილმა არათუ დაუშვა კორუფია სახელისუფლებო წრეებში, არამედ მას ფართო გაქანებაც კი მისცა.ეეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, თუ რა ფორმით ხდება ამა თუ იმ დიდ ტენდერებში ფულის განაწილება, ან რა ფორმით ხდება ლიცენზიების გაცემა, როგორ ასხვისებენ სახელმწიფო ქონებას?

**— რა ფორმით პარტიული ნიშნით, ძმაკაცობით თუ „ჩაწყობით“?**

— გააჩნია, ხან როგორ და ხან, როგორ, ამ შემთხვევაში „ჩაწყობა“ ცუდი სიტყვა არ არის, მაგრამ ამაზე ითქმის ხელი-ხელს ჰბანს... ავიღოთ თუნდაც დავით კეზერაშვილი, რომელიც ამის საუკეთესო მაგალითია, ის იყო მაღალი თანამდებობის პირი რამდენჯერმე, ამავე დროს იგი მაშინაც და ახლაც ფაქტიურად აკონტროლებდა ნავთობპროდუქტების ნახევარს. ამჟამად „კეზერაშვილი მთლიანად აკონტროლებს ლატარიის ბიზნესს, რომელიც მისთვის სრულიად კორუფციულად და გაუგებრად განასახიერებს ლატარიის ბიზნესზე მონოპოლიას, რადგანაც საქართველოში რამდენიმე ლატარიის კომპანია იყო, ახლა კი



გახლავთ ერთი და ისიც კეზერაშვილის. აასევეა გარე რეკლამა, როდესაც თბილისის მერიამ გამოაცხადა ტენდერი გარე რეკლამაზე, თბილისი ორად გაყო, მარჯვენა და მარცხენა სანაპიროდ, ექსკლუზიური უფლებები კი მისცეს დავით კეზერაშვილის ფირმებს. ესეც გახლავთ ხელოვნურად შექმნილი მონოპოლია, რაც დადასტურებაა ელიტარული კორუფციის და თანამდებობრივი მოტივებით ბიზნესის წახალისების.

**— ქალაქის მერის ინტერესები რომელ ბიზნესშია?**

— თავად უგულავა განაგებს ყველაფერს, გითხარით, რომ მან გამოაცხადა გარე რეკლამის ტენდერი, ისე რომ ხელოვნური მონოპოლია შექმნა, რომელიც მანმადე არ არსებობდა. ავიღოთ ბუნებრივი რესუსები, ქვეყანას აქვს ერთი ოქროს მადანი და მორჩა, ხელოვნურად ხომ ვერ აღმოაჩენენ მადანს, იქ სადაც არ არის, მაგრამ როდესაც ხელოვნურად ქმნი მონოპოლიას, მით უმეტეს სარეკლამო ბიზნესში, სადაც გინდა, ბოძს იქ ჩაარჭობ და ვისაც უნდა, ის ჩაარჭობს, დასკვნები ძნელი გამოსატანი არ არის, ლობირებს თუ არა უგულავა მონოპოლისტებს და სად რა წილები აქვს, თუ, უბრალოდ, შეეშალა....

**—მოიმატა ტრანსპორტის გადასახადმა, ნაგვის გადასახადი მიაბეს დენზე, რას აპირებთ საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები?**

— საკრებულოს შეუძლია ისევე გააუქმოს მერიის გადაწყვეტილებები, როგორც მიიღო, მე, პირადად, ნაგვის გადასახადის გამო სასამართლოში შევიტანე სარჩელი და არ ვიცი, რა იქნება. რაც შეეხება ტრანსპორტს თუ სამარშრუტო ტაქსებს გულისხმობთ, ეს მერიას არ ეხება, კერძო ფირმაა, მაგრამ თუ რატომ შემცირდა ავტობუსების რაოდენობა ქალაქში კატასტროფულად, ამ საკითხს უახლოეს საკრებულოს სხდომაზე დავსვამთ. ჯერ არ ვიცით, თუ რა არგუმენტები აქვს მერიის სატრანსპორტო სამსახურს და რით დაასაბუთებს ავტობუსების შემცირებას.

**— ჯარიმები დაუწესდათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც კარ-ფანჯრების**



**გამოცვლისათვის ნებართვას არ აიღებს მერიიდან, ჯარიმა საკმაოდ სოლიდურია და 10 ათას ლარს აღწევს, ამ საკითხთან დაკავშირებით რას იტყოდით?**

—მე ვფიქრობ, ეს აბსურდული გადაწყვეტილებაა, ჯერ ერთი, ამბობენ, რომ კარ-ფანჯრების გამოცვლა უფასოა, ეს სიცრუეა, მართალია, ნებართვას თანხა არ სჭირდება, მაგრამ ნებართვა რომ აიღო, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაში 100 ლარამდე გეხარჯება. თანაც ამას დრო და ნერვები სჭირდება, გასაკვირია, რატომ აიღო ქალაქის მერიამ ეს საკითხი, ათასობით მოქალაქე მერიაში რიგში დგას. სრულიად შესაძლებელი იყო დაედგინათ სტანდარტი და ვინც ამ სტანდარტს დაარღვევდა, მას დააჯარიმებნენ.

**— დღევანდელ საკრებულოს რატომ არ შეუძლია მერიის გადაწყვეტილებები გააუქმოს, ან იგივე მერის იმპიჩმენტის საკითხი დააყენოს?**

—გადაწყვეტილებების გაუქმება როგორ არ შეგვიძლია, გადაწყვეტილება,რომელიც ჩვენთვის მიუღებელია, არც ვღებულობთ, სამწუხაროდ, საკრებულოს ძალა აქვს, რომ მერიის გადაწყვეტილებები გააუქმოს, მაგრამ სურვილი კი არ აქვს, იმიტომ, რომ საერთოდ, საკრებულოს სხდომაზე რამდენიმე დეპუტატი რომ არ იჯდეს, სამწუთიან სხდომებს ჩაატარებდნენ. საკრებულოს უმრავლესობაში ნაციონალები, ერთიორი კაცი ვყვირივართ, ისინი კი უმრავლესობაში, რასაც უნდა იმ გადაწყვეტილებას ღებულობენ, ასევეა მერის იმპიჩმენტის საკითხიც, სამი კაცი მერს ვერ გადააყენებს. დღევანდელ საკრებულოში ფორმალურად 11 ოპოზიციონერია და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, აქედან რამდენი დარჩება, ვერ გეტყვით. პასუხისმგებლობას, რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ დავაყენებთ, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ რაიმე პერსპექტივა ექნება. საკრებულოს რა მოგახსენოთ, მაგრამ ნაცმოძრაობა გიგი უგულავას დააწინაურებს თუ დააქვეითებს ვერ გეტვით, რადგანაც უგულავას ბიზნესს რაც ემართება, ხედავთ, ვიცე-მერს — არსოშვილის გადაყენებაც შემთხვევითი არ არის. უგულავას გარემოცვა ნელ-ნელა იშლება, როგორც ჩანს, ნაციონალებში შიდა დათვალიერება და ნერვების ომი მიმდინარეობს.

**ეთერ ბალაძე**



# `aTengenidan~ __ yvavT aRvsebamde~...

## fxovis sakraluri dro

## (შუალედური ტექსტები)

**კობა არაბული**

* * *

ქართველთა წინაპრებს გენეტიური წვლილი უდევს ბიბლიის შექნაში — რაც „საფარველ დადებული ცოდნაა“. მკვლევართა აზრით, ბიბლიის უკან დგას უცნობი ბიბლია, რომლის შემქმნელია ძველი ქალდაველ ქურუმთა ჩაკეტილი ოლიგარქია — რომელიც პირდაპირი მემკვიდრე კავკასიაში გადარჩენილი ქართული გენია...

ქართველი მთიელები, და კერძოდ ხევსურნი დღემდე ინახავენ ვარსკვლავთა საიდუმლო ცოდნას, როგორც ბაბილონელი (ქალდეველი) ქურუმები...

ქურუმებს (ვარსკვლავთმრიცხველ სწავლულთ) ღმერთმა ვარსკვლავით მიანიშნა ქრისტეს დაბადების ადგილი — ეს ქურუმები სამხრეთიდან (სპარსეთის მხრიდან) მოემართებიან...

* * *

**კანონთა ქვები**

ძველ ქალდეველთა ქვეყანაში კანონთა შემცველი წარწერიანი ქვები გამოდგმული იყო გზებსა და გზაჯვარედინებზე, აგრეთვე დაცული იყო ტაძართა (სალოცავთა) წმინდათა-წმიდა ადგილებში — კვრივებში... ისევე, როგორც ხევსურეთშია დღემდე შემორჩენილი



— როდესაც სამსხვერპლო ხარი იკვლებოდა, ზვარაკის გამწმენდი სისხლი ზედ ეღვრებოდა ნაკურთხ ქვებზე.

ხევსურნი დღესაც სამსხვერპლო ზვარაკის (ხარის, ცხვრის) სისხლით ნათლავენ სალოცავთა ქვებს, საზარე კვრივებს, ტაბუირებულ ადგილებს, რომელთაც „საფარველი ადევს!“

... სწორედ ამ „ქვების კანონთა“ სივრცეში გადიოდა მოსე — ეგვიპტიდან გამოსვლის მერე და მოჰქონდა თავისი ხალხისათვის ქალდეველთა დაწერილი კანონთა ქვები, როგორც უფლის სიტყვა...

სწორედ ეს არის „ბიბლიაში დამარხული უცნობი ბიბლიის“ ქართულ-ქალდეური საიდუმლო..

ქვები შეიცავენ წარმომავლობის საიდუმლოს: „ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: ამინ, გეტყვით თქუენ, განა თუ ესენი სდუმდნენ, ქვანი ღაღადებდნენვენ“ — ლუკა 19,40.

* * *

**კავკასიური კოდი ევროპაში**

ცხენი იბერიელთა კულტია!

იბერებმა პირველებმა მოაშინაურეს ცხენი, გადალახეს ევრაზიის საზღვარი და გადავიდნენ ევროპაში, მათ სულ მცირე 500 წლით შეასწრეს იქ ინდოევროპელებს: — ეს გახლავთ ფრანგი და ევროპული მკლევართა მოსაზრება.

ხოლო ოქსფორდის გენეტიკოსთა ვერსიით — (პროფ. ბრაიან საიკსი) ევროპელთა წინაპრების დიდი ნაწილი კავკასიიდან არიან წამოსული: ეს დასტურდება მიტოქრონური გენის ჩაღრმავებული კვლევის შედეგად, რაც უტყუარი და სენსაციური ინფორმაციაა.

* * *

„ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ინგლისის კუნძულებს... ეს ადგილები ეკავათ იბერებს. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს მდინარეების და ადგილების სახელები...

ეტრუსკები, ისევე, როგორც პელაზგები კოლხეთიდან არიან გადმოსახლებული, მათ დაუდეს სათავე მედიტერიანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას“, — ედუარდ დე მოლდინსი — ფრანგი მეცნიერი.

* * *

**თაბალ-ხეთები!**

ჩაბალ-ხეთი (თაბალ-ხეთი?) — თუბალ-ხეთი?!

„ჯაჭვმა თქვა ჩაბალ-ხეთურმა, ქაჯებმ ამასხეს თითითა?!“ — ეს ხევსურული ლექსი უძველესი ინფორმაციის მატარებელია! ხევსურთა ანდრეზით —„ჩაბალ-ხეთები ქაჯთა ნაირი ხორციელნი არიან“ — სხვა ინფორმაცია არ არსებობს.

სოფელი, თემი — ჩაბალ-ხეთი რეალურად არ არსებობს — ეს მისტიფიცირებული სივრცეა, სადაც რკინა იჭედება, რკინას კი თაბალები და ხალდები, ხათები (და შემდეგ ინდოევროპული ხეთები) ჭედავენ, სადაც ამირანმა დევებს სამჭედლო დაუნგრია („მჭედლები, მემჭედურები სულ ერთურთს შემოვახალე“).

ე.ი. ხევსურული ლექსი: „ჯაჭვმა თქვა, ჩაბალ-ხეთურმა“ — ძალიან ძველია და სხვა დროზე მიუთითებს — ეს დრო ქაჯებთან ომის დროს უახლოვდება (ანუ იბერთა პირველ ომებს ინდოევროპელ ხეთებთან) და „ქაჯების ხელით ნაქსოვი“ ჟამის პარალელურია, რომელიც ადამიანს „საფარველს სდებდა“.

აგრეთვე, დევებისა და მათი „ციხე-გორების“ დროა, სადაც დევები ისხდნენ და „ჯარა-ტარს ახივლებდნენ“...(მტკვარ-არაქსის კულტურა 6000 წ. ძ.წ.).

ეს „პირქუშის“ დროა, რომელიც კოპალა-იახსარისთვის ჭედდა აბჯარს — და გრდემლზე საკუთარი ბედისწერის წაშლას ლამობდა.

შესაძლოა, უხორცო „გვამიდან გასული“ გახუას „ქაჯებთან ომის მითი“ წინ უსწრებდეს კოპალა-იახსარის დროს „ტროას“ წინარე მოვლენებს ასახავდეს!

ფხოვის მჭიდრო ნამოსახლარები: აქ ძველ ორნამენტთა და პეტროგლიფთა არსებობა ადასტურებს, რომ ოდესღაც VI ათასწლეული ძ.წ. ამ ხეობაში მოხდა დიდი დემოგრაფიული და კულტურული აფეთქება — იბერულმა რასამ სწორედ აქედან შეაღწია ჩრდილოეთ კავკასიის სივრცეში...

* * *

**„ჟამთა“ დგომის ჟამი!**

ეს იდუმალი დრო იყო: საშიში მისტიფიცირებული მტრის, თუ უცნობი ავადმყოფობის მოსვლით („ჩამოდგომით“) ფხოვის საყმოში: „ჟამნი“ თითქოს იხილვებოდნენ და არც იხილვებოდნენ: მათ თითქოს მხოლოდ ნათელმხილველი ხუცესი ალიათ მგელა ხედავდა, სხვა ვერავინ...

ისინი იყვნენ და არც იყვნენ...

ისინი ვირით დადიოდნენ (!?), ისროდნენ სამჯერ ისარს:. თეთრფრთიანს, შავფრთიანს და წითელ ფრთიანს:

შავი — კლავდა,

წითელი — ან მოკლავდა, ან — არა.

თეთრით — არ კვდებოდა,

ნაისრალი „რწყილის ნაკბენივით“ აჩნდა.

გუდანის ჯვარმა და ხადუს სალოცავმა „ჟამნი“ თავის საყმოში არ შეუშვნა: და საყმო დაღუპვას გადაარჩინა...

ანატორელნი (და სხვა სოფლებიც) ამოწყვიტა.

როცა ტიტველი ჩონთა ჟამთ გაექცევა და გარბის („ჩონთა გა-



ვარდა ველადაო — ტიტველთ მიიქნევს ყვერთაო“) — „ჟამნი სიცილით კვდებიან!“ — ეს ხორციელ არსებათა ჟესტია...

სადაც გუდანის ჯვარის და ხადუს სალოცავის „კარანტინია“ დაწესებული ჟამნი იქ ვერ შედიან... არც სალოცავი უშვებს გარეთ ჟამთა მიჯნასთან თავის ყმათ! — ეს მეტად უცნაური, კოდირებული ქცევაა ფატალური მტრის თუ უცნობი ჭირის დგომისას.

ვინც „დაკოდილია“ ჟამთა მიერ — ის თავისი ფეხით გადის (უნდა გავიდეს) თემიდან და შევიდეს აკლდამაში! — ხატის ბრძანებით და დოსტაქართა თანხმობით.

თვითიზოლაცია — მკაცრი კარანტინი...

— აკლდამასთან მიახლოება და მისვლა შეეძლო მხოლოდ ჯორზე (უსურმაგზე) მჯდომარე მკურნალს (დოსტაქარს) — ვინაიდან „ჟამნი“- უსურმაგის ფეხს არ ჰყვებოდნენ, ცხენის ფეხს სენი არ გადაჰქონდა— ესეც კოდირებული ინფორმაციაა!

* * *

ვისმენდი ბავშვობის დროინდელ მუსიკას:

ეს იყო წყაროთა ხმა და წვიმების წკარუნი...

კიდევ იყო რაღაც სხვა: უდაბნოს მუსონივით...

მთავრის შუქი (მტვერი)

და მთვარეს მოყოლილი ვარსკვლავთა ჟრიალი..

და მღვიმეების ზუზუნი...

* * *

ანუნაკები! ან-უნა-კი! — ნიშნავს: ციდან მიწაზე ჩამოსულებს — შუმერთა ენით.

ძველი აღთქმითაც (დაბადება. 6,1-4) მათ ანუნაკები ეწოდებათ, ხოლო ივრითზე: „ნეფილიმი“, რაც იგივეს ნიშნავს: „ისინი, რომლებიც ჩამოვიდნენ ზეციდან მიწაზე“.

ანუნაკებმა ცივილიზაცია ჩამოიტანეს ციდან (წითელი ვარსკვლავიდან), რომელსაც „ნიბირუ“ ეწოდება და რაც „ჯვრის ვარსკვლავს“ ნიშნავს.

ამერიკელი მკვლევარის ზაქარია აირკროფთის დასკვნებით (რომელიც 30 წელი იკვლევდა „თეფშებს“) — შუმერებს უცხოპლანეტელები მართავდნენ, მათ ჩანახატებში ჩანს ცაზე გამოჩენილი წაგრძელებული ბურთი, მათ ერთ-ერთ გაშიფრულ იეროგლიფზე იკითხება, რომ მათი ცოდნა ანუნაკის კულტურიდან მოდის, მათ ციდან მიიღეს ცოდნა და ასწავლეს დედამიწის მკვიდრთ!

ზაქარია აირკროფთის დასკვნით — ყოველივეს თავი და თავი შუმერები არიან, მათგან მოდის ცივილიზაციის დასაბამი დედამიწაზე.

* * *

შუმერები აქ შუამდინარეთში მოვიდნენ, რომელიღაც მზის ქვეყნიდან, შემოვიდნენ ზღვიდან: და ბაბილონელი ისტორიკოს ბეროსის (III ს.ძ.წ.) მტკიცებით, შუამდინარეთში მოიტანეს დიდი ცივილიზაცია: მიწათმოქმედების, მედიცინის, ვარსკვლავ მრიცხველობის, საადათო სამართლის... და სხვა... („და მერე გაფრინდნენ ინგურის მხარეს).

ფხოვის საყმოშიც ხვთიშვილნი ჩამოვიდნენ ციდან (ვითარცა ანუნაკები) მწვერვალებზე და მოიტანეს საიდუმლო ცოდნა.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



ხვთიშვილთა შემწეობით: გახუამ (ხორციდან გასულმა) აქ მოიტანა დიდი კულტურა და საიდუმლო ცოდნა, ეს მოხდა რომელიღაც შორეულ დროში — ცივილიზაციათა ცვლის შემდეგ...

ფხოვის საყმოში მოდის დიდი სამეურნეო, სამჭედლო, სამედიცინო ცოდნა ისევე, ვითარცა შუმერებში.

შუმერებიც ისევე ხდიან ლუდს, ისევე მკურნალობენ გველით და ბალახებით, ისევე ხნავენ და თესავენ, ვარსკვლავთა კალენდრით, ისევე განაწესებენ სათემო წესრიგს — როგორც ძველი ფხოველნი!

გაახუასა და ხვთიშვილთა ერთობლივი გამარჯვების შემდეგ ხახმატის ჯვარში მოდიან ქალები ქაჯავეთიდან: სე-ქალა, სუ-ქალა, აშე-ქალა, სამძივარა, მზე-ქალა...

ეს ქალები ქმნიან ქალის კულტს, სწორფრობის ადათს, რჯულის უცნაურ წესრიგს და ხორციელისა და სულის (უხორცოს) ზღვარზე გადიან...

იგივე ქალები ზე-ქალა, აშე-ქალა მონაწილეობენ შუმერთა სასამართლოში — ჩვენს ერამდე XX-საუკუნეში და აჩერებენ კაცის კვლას!!! (იხ.კრამერი).

ფანტასტიური კავშირია შუმერთა იმდროისა ფხოველთა — ამ დროსთან (XX ს.)!!!

ხოლო თუ ჩვენ ჩავიხედავთ ფხოვის ტოპონიმთა, სიტყვათა და სახელთა „კიდობანში“, ჭეშმარიტად სხვა დროში აღმოვჩნდებით.

ამ მხრივაც მკვლევართ წინ ელოდება აღმოჩენათა დღესასწაული.

* * *

P.S. აქვე უნდა გაუწყოთ ლეონტი მროველის ერთი „დაფარული“ (საგულისხმო) ფრაზა: „ხოლო არტანუჯი არს „ქაჯთა ქალაქი“, ძველ დროში „ურად“ წოდებული“.

ეს უნიკალური ინფორმაცია მიგვანიშნებს იმაზე, რომ აბრაამის ტომიც, რომელიც ურიდან არის გასული, ქალდეველთა ნათესავია!!! არის ისეთი შეგრძნება: გადიან „ურიდან“ და შედიან „ურში“, ხოლო „ური“ შუმერთა დიდი ქალაქია. ურის მოქალაქენი ძირითადად, შუმერებია: სადაც ურევიან ასურები, სემიტები, შემდეგ მთის



„შხამიანი გველის“ (ვარიაგები) თესლი... ესენი, მოგვიანებით, ნაბუქოდნოსორმა (ქალდეველმა მეფემ) განდევნა ბაბილონიდან...

* * *

## მითი თუ ანდრეზი...

ანდრეზი — მითად ქცეული სიბრძნე! მითი — იგივე ანდრეზი! — დღემდე მოქმედი ხევსურეთის საყმოში.

მითი მთვარესავით დგება ერის სივრცეზე — იფარება და ჩნდება.

ჩნდება, ანუ ცხადდება გარკვეულ ვითარებაში, როცა მისი გაცხადების ჟამი და აუცილებლობა დგება (უფლის ნიშნით!), იფარება მაშინ, როცა მიძინებულია ერი და მას არ შეუძლია მითის დანახვა და მისი გაცოცხლება. სიბრძნე (ანდრეზი) იფარება მაშინაც, როდესაც მისი გაცემის საფრთხეა.

ერი, როცა ანდრეზულ ცოდნას გააცნობიერებს და დაინახავს, მაშინ იწყება მისი (ერის) გადარჩენა (გაღვიძების პროცესი).

* * *

ანდრეზი, მითი არ იქმნება მოკლე დროში და დროისთვის, ის შორეული დროის ინფორმაციაა, ასევე შორეული დროისთვის! — ჩვენ უნდა ვისწავლოთ მითის წაკითხვა. არ აგვერიოს ძველი პლასტი ახალში, პალიტრაზე დაღვრილი ფერივით ძველ ნახატს რომ გადაფარავს...

უნდა ვისწავლოთ მითის „გასუფთავება!“.

„ანდრეზი (მითი), მართალია, ამბავა (ზღაპარი) — ტყუილი „მოგონილი“ — ამბობს ისევ ხევსური ანდრეზი!

ანდრეზისავე მიხედვით: მითში დევს მოსახდენი და მომხდარი მოვლენა — გამეორებადი დროში, ამდენად იგი გაცხადებადი რეალობაა!!!

ზღაპარი მოგონილი ლამაზი ტყუილია — რომელშიც შესაძლოა, გაჟღენილი იყოს სიმართლის (სინამდვილის) ელემენტები.

* * *

— როცა ფხოვზე ვწერ და ვფიქრობ, ვხედავ სრულიად უცხო სამყაროს, შეუცნობს და ამოუხსნელს დღემდე... მაგრამ იმდენად საკრალურს და მნიშვნელოვანს, რომ მისი შეცნობით შეიძლება მოხდეს მოვლენათა გარკვეული ცვლა, „დროთა ძვრა“ და გადაადგილება! ფხოვის ანალიტიკური შესწავლით, შეიძლება დავინახოთ სრულიად ახალი სამყარო და მივიღოთ „კოდირებული“ ინფორმაცია — ვინა ვართ და საიდან მოვედით ჩვენ!

* * *

„გერინები“ და „მთიბლურები“, რომლებიც ცხრა მარცვლიანია და მთლიანად განსხვავდება ლექსთა სხვა წყობისაგან, აკაკი შანიძის თქმით — „ასეთ სიმღერებში უნდა გვქონდეს ერთ-ერთი უძველესი ნიმუში ქართული ლექსისა, რაც ფრიად და ფრიად მნიშვნელოვანია ქართული ლექსის მეტრიის ისტორიისთვის — ლექსს მთაში კიდევ აქვს შერჩენილი ძველი ხასიათი, რომ სიტყვები წარმოთქმული იქნას გალობით-მუსიკალურ ინსტრუმენტებთან ერთად— მესამე კომპონენტის ტაშ-ფანდურის თანხლებით... პლასტიკასთნ შეერთებით (ანუ-ფერხისით.—კ.ა).

— ეს დიდი მეცნიერის ფასეული დაკვირვებაა და მეტად მნიშვნელოვანი ჩვენი მოსაზრებებისთვის.

ასევე, ფასეულია პანტელეიმონ ბერაძის 60-იან წლებში გამოთქმული მოსაზრებანი „მთიბლურების“ და ხმით ნატირლების — „გვრინების“ — მნიშვნელობაზე, როგორც ლექსის უძველეს ფორმებზე — მათ კავშირებზე ჰომერისეული და პელაზგური სიმღერების საზომთან..

* * *

## ენკენია — კიდობნის გახსნის დღე...

გუდანის ჯვარის დიდი ხუცესის — გადუას ინფორმაცია:

„ენკენია არის კიდობნის გახსნის დღე!!!“

რა ინფორმაციაა ეს და რაზე მიგვანიშნებს იგი, ან აქვს თუ არა ვინმეს ასეთი ინფორმაცია? რომელ კიდობანზეა საუბარი?

* * *

არსებობს ლიქოკის თემის უხუცესი — კითხული კაცის — აბიკას მეორე ანდრეზული ინფორმაცია: ნოეს კიდობნის გველზე და შუბანის სალოცავზე!

აბიკას სიტყვით: „კიდობნის გველმა“ დაღუპვას გადაარჩინა ნოეს კიდობანი. იგი დაეცო შიგნიდან, როდესაც ის გახვრიტა რაღაც დარტყმამ! „კიდობნის გველი“ თვითონაც დაზიანდა— და სამკურნალოდ შუბანის სალოცავში დაწვა (ლიქოკის თემი). ხატმა უშველა გველს და ტალღას უკან წაჰყვა... მისი კუდის მონაკრავზე ყველგან სვე (სვია) ამოვიდა! — რომელიც სჭირდებოდა ხევსურთ ლუდისთვის, აგრეთვე გველმა ხატის კარზე დატოვა მკურნალი ტყავი: ლიქოკის თემის განთქმული დოსტაქარნი ძველთაგანვე იყენებდნენ მკურნალად გველის ტყავს (ვითარცა შუმერები) — აგრეთვე თეთრი და წითელი (მყიფე) გველის ნამსხვრევებს.

ეს ოქროს მითი არა ერთ ინფორმაციას „იმარხავს“ და, მათ შორის, ლუდის კულტის გაჩენას აქ (ფხოვის საყმოში) ნოეს დროითგანვე და კიდევ იმაზე, რომ როდესაც ნოეს კიდობანი გაიხსნა — აქ იყო (დახვდა) შუბანის სალოცავი“ — ე.ი. წარღვნას გადარჩენილი ცივილიზაციის ნაწილი!!!



* * *

ფხოვში ქრისტიანული დროის დადგომისათვის (და კვლევისთვის) საყურადღებოა მეორე ხევისბრის — აყნელიონი გადუას უნიკალური ტექსტი:

„შენა ხარ პირველი კოლხელი... ვინც შენ გისაღირსლა მირონი, გუდანის ჯვარო!!!“ იქნებ ეს ბუნდოვანი ტექსტი მიანიშნებს იმაზე, რომ ვინმე კოლხმა მოიტანა ქრისტეს რჯული და ნათლობა გუდანის ჯვარში! ანუ იქნებ ეს იყო დასავლეთიდან შემოსული სიმონ კანანელი, რომელმაც ლეონტი მროველის სიტყვით, გამოვლო სვანეთი, დვალეთი და მოვიდა ალანეთს. ხოლო ალანეთს, იმ დროს, პირდაპირ მიმდგარი იყო ძლიერი ფხოვი... სადაც ვრცელდებოდა ქრისტეს პირველივე მოციქულთა ქადაგებანი — (იერუსალიმური)— როგორც მცხეთიდან, ასევე ჩრდილო დასავლეთიდან (შემოვლით!)...

ხევსურ ხევისბერთა უძველეს რიტუალურ ტექსტებში — მიახლოვებული მოსეს მცნებასთან — ადასტურებს პირველ ქრისტიანეთა კვალს ამ საკრალურ სივრცეში, რაც დღესაც მჟღავნდება!

* * *

ფხოველთა წარმართობის „მითი“ შეთხზულია მათ მიერ, ვისაც აწუხებდა არა „ფხოველთა წარმართობა“, არამედ ფხოვის ძლიერი სათემო— გვაროვნული — ეგზალიტარული მმართველობის არსებობა, რომელიც თავის საყმოში არ აჭაჭანებდა ფეოდალურ-ბატონყმურ, თუ პატრონყმურ ელემენტს! არ აჭაჭანებდა ტირან-კონფიკატორებს და ინარჩუნებდა მყარ თანასწორთა თავისუფლებას: თემის საადათო სამართლითა და სალოცავთა ნებით დაცულს! სწორედ ჩემს ამ ვერსიას ადასტურებს „თამარისდროინდელი“ ბუნდოვანი ბრალდება „ქრისტეს რჯულს იჩემებენო“ — იჩემებდნენ და იყვნენ კიდევაც!

* * *

ფხოვში ხუცესთა საწესო რიტუალი გაყოფილია მიცვალებულთა ლოცვად და საღმრთო კურთხევად (რიტუალად). ერთს სულის ხუცესი ასრულებს, მეორეს — ჯვარის ხუცესი.

ჯვარის ხუცესი არ შედის მიცვალებულებთან, ვინადგან მკვდარი უწმინდურად ითვლება, რადგან მას „ახდილი აქვს“ წმიდა სული“ მისგან წასულია მფარველი ანგელოზი.

მიცვალებულთან კი შედის „სულის ხუცესი“ — ის ატარებს მიცვალებულის წუთისოფლიდან გასვლის და სულეთში შესვლის რიტუალს... ულოცავს ტაბლას „წმიდა ანდაბისთვის“ — ახალ სულს და იქ დამხვდურთ...

სულის ხუცესივე ატარებს „სულის ცხენის“ დალოცვის და განათვლის (გაწმიდების) რიტუალს! ეს ურთულესი პროცესია თემის, საყმოს ფსიქიკაში შორეული დროიდან არის ჩარჩენილი და ინახავს უძველეს ცოდნას.

* * *

აქ, ფხოვის ჩაკეტილ, საკრალურ სივრცეში იბერთა უძველეს (ბიბლიურ) წესრიგს ქრისტეს რჯულიც შეერწყა და დამკვიდრდა, მოხდა უცნაური სინთეზი — რთულმა გარემომ (გეოგრაფიულმა) და სათემო-გვაროვნულმა წესრიგმა იმდენად და ისე შეითვისა ქრისტეს სჯული, რამდენადაც შეძლო იმ დროს...

მკაცრად ჩაკეტილ, გასამხედროებულ ფხოვის საყმოში რელიგიათა სინთეზის და სინკრეტიზაციის თემა ცალკე კვლევის საგანია — რაც უნიკალურ ინფორმაციას მოგვაწოდებს მსოფლიო რელიგიათა ისტორიისთვის.

**(გაგრძელება იქნება)**

#37 (166), 21.09-27.09, 2011 w.





# afrikis demokratiis Suqura idi amini da saqarTvelos demokratiis CiraRdani mixeil saakaSvili

აფრიკის დემოკრატიის შუქურა – ასე უწოდებდნენ პირველ ხანებში ევროპელები იდი ამინს – უგანდის პრეზიდენტს, სანამ გაირკვეოდა, რომ ეს დემოკრატიის შუქურა პირწავარდნილი დიქტატორი და სისხლისმსმელი ჯალათი იყო. ამინის დამხობის შემდეგ დაითვალეს და აღმოჩნდა, რომ „დემოკრატიის შუქურამ“ 300 000 უგანდელის სიცოცხლე შეიწირა, აქედან 2000 საკუთარი ხელით დახვრიტა.

ამინს სპორტული აკვიატებებიც ჰქონდა, არჩეული პრეზიდენტი ოლიმპიურ თამაშებშიც კი აპირებდა მონაწილეობის მიღებას, ძლივს გადაათქმევინა მრჩეველმა.

იდი ამინი იმდენად გონებაარეული ლიდერი იყო, ოღონდ ელაპარაკა, ჟურნალისტებთან „ეკეკლუცა“, მიკროფონი და გადამღები კამერა დაენახა და რას ილაპარაკებდა, ანგარიშს არ უწევდა. მაგ, შეკითხვაზე, მართლა იყო თუ არა კანიბალი, მან ჟურნალისტს უპასუხა: „არა, ადამიანის ხორცი არ მომწონს, ერთი-ორჯერ გავსინჯე, მაგრამ ჩემთვის ძალიან მარილიანია“.

1971 წლის იანვარში იგი აცხადებდა, ბუნებით ხალხზე მზრუნველი, როგორც-კი ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობა დამყარდებოდა, მთელ ძალაუფლებას გადასცემს აგრერიგად მისთვის ძვირფას თანამემამულეებს, ხალხს, მაგრამ თვეც არ იყო გასული, რომ გამოსცა დეკრეტი №1 რომლის თანახმად, ერთპიროვნული პრეზიდენტობა დაიკანონა. უცხოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებმა, რომელთაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ რა სულიერი იდგა მათ წინ უსისხლო გადატრიალების მომწყობის სახით, მილოცვის წერილები აფრინეს მის სახელზე, უპირველესად დიდმა ბრიტანეთმა მიულოცა ახალი პოსტი „შესანიშნავ რაგბისტს“....

ხელისუფლებაში მოსვლიდან ორ თვეში ახალ-ახალი დეკრეტებიც გამოცხვა №5 და №8. პირველი დეკრეტის თანახმად, სახელმწიფო საგამოძიებო ბიურო უფლებამოსილი იყო, „წესრიგის დარღვევის“ გამო დაეპატიმრებინა ნებისმიერი მოქალაქე, თუმცა კონკრეტულად რა იგულისხმებოდა „წესრიგის დარღვევაში“ განმარტებული არ იყო. ამგვარი ფორმულირება საშუალებას აძლევდა ბიუროს, დაეკავებინა ნებისმიერი გამვლელი. ცხადია, დაკავებულის ახლობლები სასამართლოს მიმართავდნენ, რათა დაემტკიცებინათ დაკავებული პირის უდანაშაულობა, მაგრამ ამ შემთხვევაში მოქმედებას იწყებდა დეკრეტი №8, რომლის თანახმად, ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს ხელისუფლების სახელით, დაუშვებელია წარდგეს სასამართლოს წინაშე ნებისმიერი სტატუსით.

იდი ამინის პრეზიდენტობის დროს სასამართლო საქმის წარმოებამ პირველყოფილი ფორმა მიიღო.

ამინმა გენოციდი მოუწყო საკუთარ ხალხს.

საკუთარი თანატომელების დასჯას (დახვრეტებს), როგორც გაფრთხილებას, ტელევიზიით აჩვენებინებდა.

ამინს ერთგვარად ეშინოდა განათლებული ადამიანების და შესაბამისად ვერც იტანდა, თუ დაპატიმრება-დახვრეტას გადაურჩებოდა, განათლებულებს არსად აჭაჭანებდა, მათ ადგილს გაუნათლებელი პირები იკავებდნენ, თვით არმიაშიც კი.




ამინი საშინლად ვერ იტანდა ინტელიგენციას, თვით საკუთარ მკურნალ ექიმებსაც კი. მისი პრეზიდენტობის განმავლობაში, ქვეყნიდან გაიქცა 15 მინისტრი, 8 მინისტრის მოადგილე, 6 ელჩი...

ამინის პრეზიდენტობის დროს ფაქტიურად დაცარიელდა უნივერსიტეტი. ემიგრაციაში გაიქცნენ პროფესორები, სხვადასხვა ფაკულტეტის არაერთი დეკანი, ლექტორები, დარჩნენ მხოლოდ კონფორმისტები.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვყნებიდან მის სანახავად და მასთან სასაუბროდ ჩამოსულ ჟურნალისტებთან იდი ამინი მხიარული, ოპტიმისტი, გულღია და ჰუმანისტი პიროვნების ნიღაბს ირგებდა და სტუმრებს არწმუნებდა, რომ ის უგანდელებს და საერთოდ, მთელ აფრიკას მხურვალე სიყვარულით უყვართ და მაინც თუ ვინმე ებრძვის, მხოლოდ ისინი, ვინც ვერ ეგუებიან დემოკრატიულ ღირებულებებს.

– ჩვენ ახალ უგანდას ვაშენებთ, ჩვენ ვაშენებთ ახალ აფრიკას... შეხედეთ ჩვენს მეზობლებს, მათ შიათ, სწყურიათ, მაგრამ უგანდაში ადამიანები ბედნიერად და უზრუნველად ცხოვრობენ. უგანდა ჰყვავის და იფურჩქნება – მჭევრმეტყველებდა იდი და აუდიტორიასაც არწმუნებდა თავისი სიტყვების სიმართლეში, ეს იმ დროს, როცა უგანდელთა თვლით მსხვეპლთა რაოდენობა უკვე 200 000-ს უკაკუნებდა, დაბრმავებულ-დაყრუებული მსოფლიო კი მაინც ვერაფერს ხედავდა და ვერაფერს ამჩნევდა.

– მე ულარიბესი გლეხის ოჯახიდან ვარ... მთელი ბავშვობა შიმშილში და დამცირებაში გავატარე, ტუალეტებს ვწმენდდი, რომ თავი მერჩინა, ახლა კი, ხედავ, აქ ვარ, პრეზიდენტი ვარ! მე ამ სავარძელში ბრიტანელებმა ჩამსვეს – გაანდო ერთხელ თავისი თავბრუდამხვევი კარიერის საიდუმლო შოტლანდიელ ექიმს ნიკოლასს, რომელსაც საგზაო ინციდენტისას შემთხვევით გადაეყარა, მოეწონა და პირად ექიმად და მთავარ მრჩევლად დანიშნა.

– ჩვენ ახალ უგანდას ვაშენებთო – რომ ამბობდა იდი, მთლად არ ტყუოდა – ის მართლაც აშენებდა ახალ შენობებს, სასტუმროებს, საავადმყოფოებს, გაჰყავდა გზები, მაგრამ ამის პარალელურად მის წინააღმდეგ შეთქმულებაში ეჭვმიტანილებს რკინის კაუჭებზე კანით ცოცხლად ჰკიდებდა, როგორც ამას მისი წინაპრები აკეთებდნენ – ბოროტი სული ნელ-ნელა უნდა ამოუვიდეს დამნაშავესო.

იდის განუწყვეტლივ თან სდევდა შიში, რომ ვიღაცას მისი მოკვლა უნდოდა, მას ყველგან, ყველა კუთხე-კუნჭულში შეთქმულება და შეთქმულები ელანდებოდა და ისიც, ყოველგვარი გამოძიების და გამორკვევის გარეშე დაუნდობლად ხოცავდა „შეთქმულებს“.

ღამით ხოცავდა ადამიანებს, დღისით კი დემოკრატიაზე და კაცთმოყვარეობის მაღალ იდეალებზე ლაპარაკობდა.

შიშმა გააგიჟა იდი ამინი, თავად კი ამტკიცებდა, გიჟი არ ვარო, მაგრამ ნამდვილად გიჟი იყო, თუმცა ამის აღიარება და დანახვა მის გამპრეზიდენტებელ ბრიტანელებს მაინც უჭირდათ.

როგორი ამბავია იმის აღიარება, რომ კაცი, რომელიც პრეზიდენტად დასვი და აფრიკის დემოკრატიის შუქურის იარლიყი მიაწებე, სინამდვილეში შეურაცხადი იყო...

შოტლანდიელი ექიმის ნიკოლასის და პრეზიდენტ ამინის ერთ დროს სიამტკბილობით და გაგებით სავსე ურთიერთობა ცუდად დამთავრდა – ნიკოლასიც რკინის კაუჭებზე დაჰკიდეს, რომ ნელ-ნელა ამოსვლოდა ბოროტი სული, მაგრამ ექიმს გაუმართლდა – ის ამინის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა კაუჭებიდან ჩამოხსნა და უგანდიდან გააპარა.

– თქვენ ხომ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებთ... რატომ აკეთებთ ამას? – ჰკითხა ნიკოლასმა თავის მხსნელს.

– იმიტომ ვაკეთებ, რომ იდი ამინის შესახებ სიმართლე დანარჩენ სამყაროს შეატყობინო... შენ თეთრკანიანი ხარ, დაგიჯერებენ!

* * *

ამას წინათ იდი ამინზე გადაღებული ფილმი ვნახე.

ეს წერილი ამ ფილმიდან მიღებული შემაძრწუნებელი შთაბეჭდილებების გავლენით დაიწერა...

როცა ფილმს ვუყურებდი, ასე მეგონა, რომ ეს ფილმი ადრეც მქონდა ნანახი, თანაც არაერთხელ, თუმცა მოგვიანებით მივხვდი, რომ ფილმი კი არ მქონდა ნანახი, ის რეალობა, რასაც საქართველოში ყოველდღე ვუყურებთ, ძალიან ჰგავს ამ ფილმში მოთხრობილ ამბებს.

თქვენ წარმოიდგინეთ, სააკაშვილიც ძალიან ჰგავს იდი ამინს, მიუხედავად იმია, რომ ის შავკანიანი იყო, ეს კი თეთრკანიანია.

იმას თუ აფრიკის დემოკრატიის შუქურას ეძახდნენ, ამას საქართველოს დემოკრატიის შუქურას უწოდებენ და ჩვენ, ქართველები, უგანდელებივით, ვერაფრით ვერ ვარწმუნებთ დანარჩენ სამყაროს, რომ ეს ჩვენი „შუქურა“ საკმაოდ ბნელ საქმეებშია შემჩნეული.

იდი ამინივით სააკაშვილიც ძალზე ეფექტურად თამაშობს გულღია, გულკეთილი, სადა, უბრალო ადამიანის როლს და ამინივით ამასაც სულ სიტყვა დემოკრატია აწერია პირზე, თუმცა „კადრს მიღმა“, როგორც ამბობენ, ის სულ სხვა ვინმეა – შურისმაძიებელი, ბოღმიანი, განსხვავებული აზრისადმი შეურიგებელი, საკმაოდ სასტიკი და გულქვა.

სააკაშვილი „ვარდების რევოლუციით“ თუ მოვიდა ხელისუფლებაში იდი ამინიც უსისხლო გადატრიალებით დაეუფლა ძალაუფლებას.

ამინივით ამ ჩვენს „თეთრკანიან ამინსაც“ სულ აგენტები, ჯაშუშები და შეთქმულებები აკერია პირზე.

ამინივით ამასაც უყვარს დაჭერები – ციხები პატიმრებით არის გადაჭედილი, ეს მაინც იჭერს და იჭერს.

* * *

იდი ამინი ბოლოს და ბოლოს, დაამხეს და საუდის არაბეთში გადაასახლეს, სადაც ის თავისი სიკვდილი აღესრულა – არც ციხეში ჩაუსვამთ, არც რკინის კაუჭებზე დაუკიდიათ – თავისი სიკვდილით მოკვდა-ღვიძლი დაეშალა.

* * *

–შენ თეთრკანიანი ხარ, შენ დაგიჯერებენ, წადი და მსოფლიოს სიმართლე მოუყევი, თუ ვინ არის



სინამდვილეში იდი ამინი – ასე დააბარა უგანდის მოქალაქემ ექიმ ნიკოლასს, რომელმაც მართლაც უდიდესი როლი ითამაშა, რომ დიქტატორი იდისთვის ნიღაბი ჩამოეგლიჯათ.

ჩვენს სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა – ჩვენი, ანუ თეთრკანიანი ქართველების, არავის ესმის და იქნებ ვინმე შავკანიანს ვთხოვოთ სიმართლე უთხრას მსოფლიოს...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# kaligulas sindromi, pederasti farSevangebi da didi bordeli _ saxelad `jorjia~



ოქრუაშვილის გასაიდუმლოებული მილიონიანი თავდაცვის ფონდების შემდეგ ბოლო წლებია ქვეყნის პრიორიტეტად ტურიზმი იქცა. სვანეთში, კახეთში, გურიაში, იმერეთში, აჭარაში, სამეგრელოში ტურისტული მშენებლობების ბუმია. საქართველოს პრეზიდენტმა სრულიად საქართველო ტურიზმის სარბიელად აქცია. ერთი შეხედვით, ცუდი ამაში არაფერია. რომ არა ერთი გარემოება.. . ისევ აქტიურად დაიწყო საუბარი სკოლებში საზოგადოების პროტესტის საფუძველზე შეჩერებული მოზარდების “სექსუალური აღზრდა-განათლების” აუცილებლობაზე. მაგალითად, 20 აგვისტოს “წოთელი ზონა”. გადაცემა, რომელიც შუაღამისას გადის (ბევრი ვერ ნახულობს) და გოგი გვახარია უძღვება. გადაცემაში წამყვანთან და ფსიქოლოგთან ერთად დეტალურად გაირჩა მოზარდთა “სექსუალური განათლების” აუცილებლობა. გვახარიას მრავალჯერადი ხაზგასმის ფონზე, რომ ახალგაზრდობისა და ჩვენი სექსუალური გაუნათლებლობა “კომუნისტური ეპოქის” გავლენაა, ფსიქოლოგი ქალბატონი “დამაჯერებლად გვიხსნიდა”, რომ ჩვენს ყოფაში შემოსული და თანამედროვე ცხოვრებაში გადმოტანილი “კალიგულას ელემენტები”– შადრევნები, ქანდაკებები და სხვა, სწორედ ქვეცნობიერი სექსუალური ლტოლვის



გამოვლინებაა. ფსიქოლოგი “ქართლის დედასაც” და მასთან დაკავშირებულ სკანდალსაც შეეხო. ოღონდ, რასაკვირველია, საზოგადოების “გაუნათლებლობის” დასტურად. ამის ფონზე გადაცემაში გავიდა კადრები სომხეთში დადგმული სპექტაკლიდან, სადაც ორი “ცისფერი ფარშევანგი ცისფერი ბუმბულებით”(სავარაუდოდ, პედერასტები) თავის პრობლემებზე ტრაგიკულად მღეროდენ. უკან კი “ქართლის დედის” ხმლით ხელში შემართული ფიგურა დგას. გადაცემაში გავიდა კადრები ფილმებიდან, სადაც არასრულწლოვანი ახლგაზრდები, მაყურებლისთვის საკმაოდ დაუფარავად ეცნობოდნენ სექსუალური ლტოლვის “ანა-ბანას”. გადაცემა კი ისევ გვახარიასეული ირონიის “კომუნისტების დროს სექსი არ იყოს” ფონზე ჩვენს “ სექსუალურად გაუნათლებელობას” აშუქებდა. გოგი გვახარიას გაუნათლებლობას და უნიჭობას ვერავინ დასწამებს. თუმცა პირველ არხზე შუაღამისას წამოწეულ “მოზარდთა სექსის” თემას, თანაც გვახარიას მიერ, შემთხვევითობას ნამდვილად ვერ მივაწერთ. წამყვანსაც და მკითხველსაც, ალბათ, ჩემზე კარგად მოეხსენება სიტყვა “მოზარდის” მნიშვნელობა. მაინც შევახსენებ, რომ მოზარდი, „ზრდადაუსრულებელს”, ზრდის პროცესში მყოფს ნიშნავს. ზრდადაუსრულებელ ადამიანს კი გონებრივი და ფიზიოლოგიური განვითარების გათვალისწინებით, ნორმალურ საზოგადოებაში და ქვეყანაში არა თუ სექსის, მართვის მოწმობის აღების, ქორწინებისა და ხმის მიცემის უფლებაც არ უნდა ჰქონდეს. თუმცა სადაც თავად პირველი ლედის აკეთებს 11-13 წლის ბავშვებში სექსუალაური ურთიერთობის პირობებში პაპილომა ვისუსის აცრის აუცილებლობას- საუბარი ზედმეტია. მართლია, “ვარდოსნებმა” მართვის მოწმობების გაცემაც, დაპატიმრების უფლებაც სკოლის არასრულწლოვან მოსწავლეებზეც დაუშვეს. შესაბამისად, ამდენი ხნის განმავლობაში “მოზარდთა სექსის” აქტუალური თემაც არასდროს დავიწყნიათ! დდაწყებული პრეზიდენტის მიერ. ბუჩქებში გაგზავნილი ახალგაზრდებისა და პირველის ლედის მიერ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების სოფელ-სოფელ პირადად დარიგებიდან მოყოლებული. ქმარი ახალგაზრდებს ბუჩქებში აგზავნის. ცოლი კი — ამისგან თავდაცვის გზებს აჟიტირებს.

დიახაც, სწორედ ამათთვის დასაცინი კომუნისტების დროს არსებობდა ზრდასრულისა და არსასრულწლოვანი მოზარდის კატეგორია. ამას ადამიანის ბიოლოგიური განვითარებისა და ზნეობის საფუძველი ედო და არა “ლიბერალებისთვის” ირონიის თემად ქცეული ფრაზა: “საბჭოთა კავშირში სექსი არ არსებობდაო”. თანაც ვაჟისა და ქალის ბიოლოგიური ფორმირებისთვის ცალ-ცალკე. სრულწლოვანებასაც და შედარებით გონებრივ სიმწიფეს ადრე ადამიანი 18 წლის ასაკში აღწევდა. ქალი ცოტათი ადრე ყალიბდება, ვიდრე ვაჟი. ამათთან ესეც უკუღმაა. “ნაციონალები”, რატომღაც, სხვაზე ადრე “მწიფდებიან და ლპებიან” კიდეც. ზოგი კი, დაბადებიდან “დამპალი” იბადება. დღეს 11-12 წლის ასაკში მოზარდს უნერგავენ აზრს, რომ მას სექსუალური ლტოლვის შემთხვევაში, “ევროპულად” “ასეთი კონტაქტის” გადაწყვეტილების დამოუკიდებელად მიღება შეუძლია და ამაში საძრახისი არაფერია, რადგან ეს „კომუნისტური გადმონაშთია”. ამ „ტვინნაღრძობების” მოსვლის შემდეგ ყველაფერი ასე როგორ „შეიცვალა”, რომ 11-12 წლის ბავშვების სექსუალურ ლტოლვაზე გახდა საუბარი შესაძლებელი?!

სასტუმროების მშენებლობების, გზების დაგებისა და განათლების განადგურებასთან ერთად სამუშაო ადგილების შექმნასა და ინგლისურის სწავლას მხლოდ ერთი მიზანი რომ აქვს, ამაზე საღად მოაზროვნე საზოგადოებას, კარგა ხანია განგაში აქვს ატეხილი. უკანასკნელ პერიოდში (ცნობისთვის ტელეარხ „პიკზე“) გასული სიუჟეტი ყველაფერს ნათელს ფენს. უკვე დაუფარავად და ღიად დაიწყო საუბარი იმაზე, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, სახელმწიფომ ტურისტების მოზიდვისთვის ხელსაყრელ “სექს და ნარკოტურიზმის განვითარებასაც” უნდა მიმართოს. ტურიზმის თემაც, ასეთი აქტუალურიც ამისთვის გახდა “სააკაშვილის საქართველოში”. პარალელურად აქტიური კამპანია მიმდინარეობს ყველა სახის ნარკოტიკის ლეგალიზაციაზე. ტურისტულ სასტუმროებთან მსოფლიო სექსინდუსტრიისა და ნარკოვაჭრობის არსებობის აუცილებლობის დასავლური მოთხოვნა ეს ის პირობაა, რომელსაც “ვიპ კლიენტის” მოთხოვნის შემთხვევაში, “საერთაშორისო სტანდარტის ტიპის ტურიზმი” უნდა აკმაყოფილებდეს.

“ნაციონალების” მოსვლის ფეხდაფეხ, “მოზარდთა სექსის” ასეთი აქტიური პროპაგანდა სწორედ ამისთვის გახდა საჭირო. ისევე როგორც, 11-12 წლის გოგონებში “პაპილომა ვირუსის აცრების” აგიტაცია. ქალიშვილობის ინსტიტუტის უსაფუძვლობის თავგადაკლული დასაბუთება. პარალელურად კი ჰომოსექსუალიზმის დაცვისა და განვითარების მიზნით, ლიბერალური ფასეულობების დაცვაც. არავინ ისაუბრებს და გვეტყვის იმას, რომ ადრეულ ასაკში “მოზარდთა სექსუალური” კავშირები ვენერიული დაავადებების, უშვილობისა და გენოფონდის შემცირების მიზეზიც ხდება. არც იმას გვეტყვის ვინმე, რომ ერთსქესიანთა სექსუალური კავშირები, გარყვნილების უდიდესი ცოდვის გარდა, ცე ჰეპატიტის, შიდსის სხვა, ვენერიული დაავადებებისა და სწორი ნაწლავის კიბოს მიზეზიც ხდება, ისევ გენოფონდის შემცირების ხარჯზე. ქალიშვილებში კი ბიოლოგიური დანიშნულების — დედობრივი გრძობის განუცდელობისა. აქედან გამომდინარე კი, მრავალი ქალური დაავადების მიზეზი. ამ დაავადების პრევენცია მხოლოდ ბიოლოგიურად ჯანმრთელი სექსუალური ურთიერთობაა და ვერანაირი “პაპილომა ვირუსების” აცრები ამას ვერ შველის.

“ნაციონალების” მილიარდერ დასავლელ მეგობრებს და თავად მათაც, ცნობილია, რომ “სექსუალური ონავრობების” “დიდი მადა” აქვთ. უარყოფისა და მტკიცების მიუხედავად, აჭარაში დაგეგმილი “გეი-აღლუმის” ჩატარების მცდელობის ფაქტს იმ პერიოდში ინტერნეტში განთავსებული უამრავი გეი-საიტიც მოწმობს. ვებგვერდები, “გეი-დამსვენებლების” მოზიდვის მიზნით, ბათუმის სხვადასხვა სასტუმროების ფასებსა და მომსახურებებს აცნობდნენ. დღეს კი („პირველი კავკასიურიდან) უკვე ღიად და აშკარად გაცხადდა “საქართველოში განვითარებული ტურიზმის” ჭეშმარიტი არსი — საქართველოში ფართომასშტაბიანი პროსტიტუციისა და გარყვნილების ხელშეწყობა. “ანაკლიის ნუდისტური პლაჟისთვის” გამზადებული ადგილის შერჩევიდან და ხელისუფლების “სახელმწიფო პოლიტიკიდან” გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ სააკაშვილის ხელისუფლება საქართველოსგან “დიდი ბორდელის” შექმნას ცდილობს. რამდენადაც სააკაშვილს ქართველების იმედი არა აქვს, ამისთვის მრავლად ჩამოჰყავს უცხოელი და სხვა ეთნოსების წარმომადგენლები. “ამ ბორდელში” დროის გატარებისთვის კი დიდ ფულს დახარჯავენ, როგორც აჭარის მეზობლად მდებარე ჩვენი “დიდი მეგობარი თურქეთის”და ახალგაზრდა ქალიშვილების მოყვარული არაბეთის საემიროების მდიდარი ბატონები, ისე დასავლეთიდან საქართველოში ეგზოტიკური მხარეების გასაცნობად ჩამოსული დამსვენებლებიც.

გეოპოლიტიკისა და კავკასიაში გავლენის მოპოვების სურვილის გარდა, “დემოკრატიულ ამერიკას”, საქართველოს “მეორე კუბად” ქცევის დიდი სურვილიც ამოძრავებს. სააკაშვილის აშენებულ სასტუმროებსა და ტურისტულ ცენტრებში ჩამოსულ დამსვენებლებს “დასავლური სტანდარტების შესაბამისი მომსახურება” უნდა დახვდეთ. ეს მომსახურება “დემოკრატიული-მასონიზმის” ლიბერალური თვალსაზრისით, სექსუალურ მომსახურებასაც გულისხმობს. ამ სფეროში” კი, როგორც ახალგაზრდა ქალიშვილების, ისე “ლიბერალურად მოაზროვნე კლიენტთათვის” ახალგაზრდა “ვაჟების დასაქმებასაც” იგულისხმება. ნაციონალურად წოდებული არაკაცები და არა-



ქალები ვისი შვილებისა და ცოლების “დასაქმებას” აპირებენ ამ სასტუმროებსა და ბიზნესში? “ამერიკულად მოაზროვნე” ბარამიძე გაუშვებს თავის ქალიშვილს იქ სამუშაოდ თუ მიშა მაჭავარიანი თავის შვილებს. ან იქნებ გიგი წერეთელი თავისას? ბოკერია თუ უგულავა გაუფენს “პანელზე” თავისი ოჯახის არასრულწლოვან და სრულწლოვან წევრებს უცხოელებს? იქნებს სააკაშვილი გაიმეტებს თავის პირმშოებს? ჩვენი შვილების გარყვნის, გაბოზებისა და გაპედერასტების ხარჯზე გსურთ თქვენი გაუმაძღარი ოჯახების რჩენა და დროსტარება, თქვე არაკაცებო?!

ეს არის “დემოკრატიული ღირებულებები” და ევროპისკენ ინტეგრაცია?! ვეკითხები ქართველ საზოგადოებასაც, სადამდე და რისთვის შეიძლება ვითმინოთ ყოველივე ეს? რომელი ხელფასი და პრივილეგია ღირს უცხოელებისთვის მოზარდების “ლოგინში ჩაგორებად”? სააკაშვილო, არ შეგრჩება ეს. ამას აღარავინ გაპატიებს. ხალხი შეგაკვდებათ, მაგრამ თქვენც თან გაგიყოლებთ, თქვე სატანის ლეკვებო. იქნებ გაჭირვებული ქართული რეგონებიდან, შორენა ბეგაშვილის მსგავსად ჩამოსული გაჭირვებული ახალგაზრდების “დასაქმებას” ფიქრობს “ნაციონალური ელიტა” იმისთვის, ბოლომდე რომ გახრწნან და გაათახსირონ რეგიონებში მაინც შემორჩენილი რაიმე ტრადიციული?! ჩამოსულს, “ქალაქის პროგრესულ ცხოვრებას” დახახებულ ახალგაზდებსაც ხომ სულ მთლად ჭკუასა და გონებას ურევენ. წითელ-მწვანე თმებს ოფოფივით დაუყენებენ. ცხვირში და ყურში საყურეს გაურჭობენ. მამაკაცებს ქალის ტანსაცმელში გამოაწყობენ და “ვანოს შოუც” მზადაა სრული “გარადსკოი იმიჯის” შესაქმნელად. ნაციონალებისგან გაპიარებულ უნიჭო ცნობადებთან ერთად ნაციონალებზე “თხასავით მიყიდულ” ყოფილ ცნობილებსაც მიუსვამენ გადაცემაში და სოფლიდან ჩამოსულ ოდესღაც წესიერ ახალგაზრდას მეტი რაღა უნდა?! უკვე “თბილისელი სვეტია”. “სვეტობისა და გოიმობის” განმარტებისთვის კი აგერაა კულტურის სამინისტრო, რომელიც “კულტურულად აგვიხსნის”, რა არის “გოიმობა” და რა არა. თუმცა სტურუას სამხატვრო ხელმძღვანელობიდან გათავისუფლება და მის ნაცვლად დოიაშვილის, ან ვარსიმაშვილის დანიშვნა “გოიმობა” არ არის?! ეს “ქსენოფობობის” წინააღმდეგ მიმართული “პროგრესული და ევროპული” გადაწყვეტილებაა. აბა, “ევროპელი და გოიმი” ვის გაუგია?! ყველა ევროპელიც ხომ სვეტია! მით უფრო თუ ლესბოსელი ან პედერასტია, მაშინ ის უკვე სვეტების სვეტია.

დღეს კი, “ნაცებისგან გასვეტებულ” საქართველოში მათ გარეშე, ქართველი კაცს სიკვდილის უფლებაც აღარ აქვს. ესაა “სააკაშვილის დემოკრატია და თავისუფლება” და ამერიკის “პარტნიორობა და მეგობრობა”, რომლის ყოველი ელჩი თავის “ ატჩოტებში” მართლმადიდებლობასა და ქართულ ეროვნულ ღირსებას აკრიტიკებს.

გონს მოდით, ხალხნო! რა დროს საარჩევნო გარემო და არჩევნებია?! ეს ხელისუფლება არ მოისვენებს, სანამ ქართველებს ბოლომდე არ გაწყვეტს. გადასახადებით სულს არ ამოგვხდის, უსწავლელ ახალგაზრდობას არ გაახახებს და გააპედერასტებს. თუ ასეთი დემოკრატია და ევროპა მოგწონთ, თქვენი შვილები და ცოლები მიართვით. ხარჭებად და მოსამსახურეებად დაუყენეთ უცხოელებს! თქვენმა დედებმა და მამებმა აუხსნან თქვენს შვილებს, რომ დემოკრატიული და დასავლურ-ლიბერალური ღირებულებების მიხედვით, კახელის ანეგდოტის არ იყოს, თეორიულად საქართველოს ხელისუფლებას “ამდენი და ამდენი დასაქმებული ჰყავს”. პრაქტიკულად კი აღმოჩნდება, რომ “ამდენი და ამდენი” “ბოზი და პედერასტი”, ფეხსაცმლის მწმენდავი და მონა-მოსამსახურე გვყოლია.

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# ივანე ჯავახიშვილი:

# saqarTvelos sazRvrebi

## istoriulad da TanamedroveTvalsazrisiT ganxiluli

### 4. ქვემო ქართლის მნიშვნელობა საქართველოსთვის და სამხრეთის სამზღვრები მე-16-18 საუკუნეში

შემდეგში, როცა საქართველო პოლიტიკურად დაუძლურდა და რამდენიმე სამეფოდ იქცა, სახელმწიფოებრივი სამზღვრებიც მე-12 საუკუნესთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, ქვემო ქართლის ანუ ლორე-ტაშირ „სომხეთის“ საქართველოსთვის გარეშე მტრისაგან თავდაცვის დროს უაღრესი მნიშვნელობა უფრო ცხადი და თვალსაჩინო გახდა. ამიტომაც იყო, რომ მთელი ეს ტფილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა. ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით, „მეწინავე დროშად“-დ იწოდებოდა ეს კუთხე იყო, რომ სამხრეთითგან შემოსეულს მტერს უნდა დახვედროდა და სწორედ ამ მიწაწყალზე უნდა გაეწია ქართველ ჯარს მისთვის პირველი და გადამწყვეტი წინააღმდეგობა.

საქართველოს მტრებსაც ამ ქვეყნის უდიდესი მნიშვნელობა მშვენივრად ჰქონდათ გათვალისწინებული. ესმოდათ, რომ მისი დაპყრობა აღმოსავლეთ საქართველოსა და ტფილისში შემყვანელი კარების ხელში ჩაგდებას უდრიდა. აკი, საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შაჰაბაზმა გიორგი მეფეს მოსთხოვა: „ჯერ-არს, რათა მომცე ჯილდოდ ლორე ბერდუჯის მდინარით“-ო. მაშინ ბერდუჯის მდინარე სამზღვარი იყო ქართლის სამეფოსი და ძალზე შეწუხდა, „შეუძნდა ესე ფრიად მეფესა“. ჯილდოს შენგან მოველოდი და არა წართმევას, „მიხმასა საზღვართა ჩემთასა“-ო. მაგრამ შაჰაბაზმა იცოდა, რასაც თხოულობდა და სწორედ იმიტომაც მისი სურვილი შეუდრეკელი იყო (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება. ჭიჭ.52). სახელოვანი ქართველი მეცნიერი ბატონიშვილი ვახუშტი სრულებით მართალი იყო, როდესაც ამ გარემოების შესახებ ამბობდა: ეს ქვეყანა „შაჰ-აბაზ ამისის განზრახვით მიიღო, რამეთუ „მექმნენებისო შესავალ-გასავალი ქართლსა შინა“-ო (გეოგრაფია 140-142). სწორედ ეს გარემოება იყო და არის, რომ საქართველოს მტრებს ეს კუთხე ასე იზიდავდა და ყურადღებას იპყრობდა.

იგივე გარემოება, მეორეს მხრივ, თვით საქართველოს მმართველ წრეებს და ერს საქართველოს ამ მართლადაც „მეწინავე დროშისა“ და სამხრეთის ერთადერთი საფარის დარაჯად ხდიდა და თუმცა სპარსეთის მბრძანებლებიც, ოსმალეთის ფაშებიც მუდამ ამ კუთხის დაპყრობას ლამობდნენ, მაგრამ ქართველობას ამ ქვეყნის შესანარჩუნებლად თვისი სიცოცხლე არ დაუზოგია.

და ამიტომაც იყო, რომ მან გაიმარჯვა: თვით აღმ.საქართველოს დაკნინების დროსაც-კი, ვახტანგ მე-6-ის მეფობაში და მე-18-ე ს-ის პირველ ნახევარშიაც. ქართლის სამეფოს სამზღვარი სამხრეთით იყო იქვე, სადაც თავდაპირველად. წერილობით ცნობებს გარდა, ამას ის საქართველოს 1743 წ. რუკაც ამტკიცებს, რომელიც ინახება რუსეთის მთავარ შტაბის სამხედრო-სამეცნიერო არქივში № 505.

ერეკლე მეფის დროსაც, თუნდაც 1783 წ. როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება დაიდო, სამხრეთით სამზღვარი და მთელი ქვენა-ქართლი, ანუ სომხით-ლორე-ფამბაკ-ბორჩალუ საქართველოს უცილობელ საკუთრებას შეადგენდა და კვლავინდებურად სამზღვარი უფრო სამხრეთისაკენ მდებარეობდა და გამყოფელ ხაზად ერევნის (ფამბაკის) მთები ითვლებოდნენ. ეს შეურყევლად მტკიცდება საქართველოში იმ დროს მყოფი რუსეთის ელჩის ბურნაშევის, როგორც წერილობით აღწერილობითგან, რომელიც მის მიერ 1786 წ. არის შედგენილი ისევე და უფრო თვალსაჩინოდ მის მიერვე 1784 წ. დახატული საქართველოს საერთო რუკითგან, სადაც სამზღვარი წითლად არის შემოხაზული.

დასასრულ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აღამაჰმადხანის შემოსევის შემდგომაც და აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროსაც ეგრედწოდებული სომხითი“, ბორჩალო, ფამბაკი, ყაზახი და შამშადილი საქართველოს უცილობელს კუთვნილებას შეადგენდა და შურაგელიც მასვე ეკუთვნოდა.

განმსაზღვრელი ხაზის მდებარეობის გამოსარკვევად მკაფიო ცნობები ვახუშტსა აქვს მოყვანილი. მისი სიტყვით, „სომხით-ერევნისა და ამისი (ე.ი. ბაბაკის) გამყოფელ არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი და კალთათა ტყიანი... რომელიც წარვლის დასავლით არტანამდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შუა განვლის და ვიდრე რახსამდე მივალს. მთისა ამის სამხრით კერძი სომხით-ერევნისა არის, ხოლო ჩრდილოთ კერძი ბერდუჯისა და რანისა... ხოლო ამ მცირე ბერდუჯისა ძეს ჩრდილოეთით და სამხრნით და მიადგების წინ-თქმულსა ერევნის მთას:. აღმოსავლეთის კერძი მთისა ამის რანისა და დასავლეთით კერძი არს ბერდუჯისა“. (ვახუშტი. გეოგრაფია 140).

ამ სიტყვებითგან სჩანს, რომ ვახუშტი ორ მთას ასახელებს საქართველოს სამხრეთით: ერთს, რომელიც დიდი და მაღალია იმდენად, რომ მარადის თოვლიანად მიაჩნდა, დასავლეთით არტანამდის აღწევს, აღმოსავლეთით კი რანსა და გელაქუნს შუა გადის და ახსამდე მიდის, ერევნის მთა ჰრქმევია. ხოლო მეორე მთა პატარა ყოფილა და, როგორც ეტყობა, ორ ტოტად იყოფოდა ისე, რომ ვახუშტის სიტყვით, ეს მთა „ძეს ჩრდილოეთით და სამხრით“. ამასთანავე იგი თითქოს ერევნის მთის შტოდ გამოდის და მას „მოადგების“-ო. ამ მთას ბერდუჯის მთა ჰრქმევია.

ამ ტექსტის ფრანგულს თარგმანში აკად. მ. ბროსსეს შენიშვნაში აღნიშნული აქვს, ვითომც იგი რუსულს ბეზობდალის მთას უდრიდეს (გეოგ. 141 შენ. 1). მაგრამ საკმარისი იყო ბროსსეს თავის გამოცემული ვახუშტის მიერ დახატული რუკა აეღო, სადაც ქვემოქართლია და იქ ჩაეხედა, რომ მაშინვე დარწმუნებულიყო, რამდენად შემცდარი იყო მისი ზემოაღნიშნული აზრი. იქ სახელდობრ ერევნის მთა მდ. ბამბაკის სამხრეთით არის დახატული. მაშასადამე, ცხადია, რომ ყოვლად შეუძლებელია, ვახუშტის ერევნის მთები რუსთა საგეოგრაფიო სახელს ბეზობდალის მთებს უდრიდეს იმიტომ, რომ ეხლანდელი ბეზობდალის მთები ბამბაკის ჩრდილოეთით მდებარეობენ. იგივე გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ ვახუშტის „ერევნის მთები“ აწინდელს რუსულს რუკაზე აღნიშნულს „ბამბაკის მთებს“ უდრიდეს, რომელთა მიმდინარეობაც აღმოსავლეთით მართლაც ისეთია, როგორც ვახუშტს აქვს აღწერილი, და გელაქუნის ანუ გოგჩის ტბას ჩრდილოეთით უვლის.

ვახუშტის იგივე რუკა ამტკიცებს, რომ ბერდუჯის მთები მდ. ბერდუჯის ანუ დებედას, რომელსაც ამ ადგილას რუსები კამენკას უწოდებენ, სამხრეთით მდებარედ ვიგულისხმოთ. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ ვახუშტის ბერდუჯის მთა რუსების ბეზობდალის მთებს უდრიდეს უნდა.

ამგვარად, ირკვევა, რომ საქართველოს სამხრეთით (სომხეთისაგან) ერევნის სახანოსაგან გამყოფელ ხაზად ერევნის მთები ითვლებოდა, რომელთაც ეხლა „ბამბაკის მთები“ ეწოდება. ამ დასკვნის სიმართლეს მოსკოვში 1743 წ. დახატული რუსულ-ქარული რუკაც ადასტურებს, რადგან ამ რუკაზეც საქართველოს სამხრეთის საზღვარი ბამბაკის მდინარის სამხრეთით არის გაჩხაზული. ბურნაშევის მიერ 1784 წ.ს შედგენილი საქართველოს რუკაც ამასვე ამტკიცებს: იქაც ეს სამზღვარი მდ. ბამბაკის კარგა სამხრეთით ხატია. მაშასადამე, მე-17 ს-ის დასასრულსაც, საქართველოს რუსეთთან 1783 ხელშეკრულების დადების ჟამსაც, საქართველოს სამხრეთის სამზღვრად კვლავინდებურად ერევნის ანუ, როგორც ეხლაა მიღებული, „ბამბაკის მთები“ ყოფილა.


ივ. ჯავახიშვილი

საქართველოს საზღვრები

ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით

განხილული

ტფილისი
სახელმწიფო სტამბა
1919

### 5. ქვემო ქართლის უაღრესი ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოსთვის

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ქვემო ქართლი მარტო სამხედრო თვალსაზრისითა და მნიშვნელობით-კი არ იყო დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული. არამედ მაშინაც მთელი თავისი მდებარეობით და გზებით, მთელი თავისი ქონებრივი ძალღონითა, ეკონომიურადაც ის დანარჩენ საქართველოსთან და აღმ. საქართველოსთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული. პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულებითგან სჩანს, რომ ტფილისი სამხრეთითგან, სომხით-ბორჩალოთგან შემოსული სურსათით იკვებებოდა. მაგრამ მარტო ეს არა კმარა. თუმცა აღმოს. საქართველოს სხვადასხვა ადგილას ოქროსი და ვერცხლისა, უფრო კი სპილენძის, მადნები ჰქონდა, განსაკუთრებით მაინც მადნეულობა იმ მთებში მოიპოვება უხვად, საქართველოს რომ ერევნისაგან ჰსაზღვრავენ.

ქვემო-ქართლში, ან ე.წ. „სომხით“-ში მდებარე ოქრო-ვერცხლისა და სპილენძის მაღაროების საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის უაღრესი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ვახტანგ მე-6-ს და ერევნის მეფეს, რომელთაც არაფერი დაუზოგავთ, რომ დროთა ვითარების გამო მიტოვებული და მივიწყებული სამთამადნო საქმე კვლავ განახლებულიყო და გაცხოველებულიყო.

ეს მადნები საქართველოს სახელმწიფოს ფულის მოსაჭრელ ლითონსაც აძლევდნენ, — ამით სჭრიდენ მეფეები ქარულ ფულს, — და, ამას გარდა, წმინდა შემოსავალსაც, რომელსაც მეფეები ჩვენი ქვეყნის გარეშე მტრისაგან დაცვას ახმარებდენ. ნ.ბუტკოვს აღნიშნული აქვს, რომ მის დროს, 1778 წ. ერეკლე მეფემაც თავისი სახელმწიფოს ყოველ-წლიური შემოსავალი გაძლიერა ახტალაში და სხვა ადგილებში აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლისა, სპილენძისა და რკინის მადნეულობით, რომ მან ამ მადნების დასამუშავებლად ბერძნები გამოიწერა და შემოსავლით ნაქირავებ ჯარს ინახავდა საქართველოს დასაცავად.

საქართველოს მეფეების მზრუნველობა ქვამადნის განვითარებაზე რომ ბრძნული იყო და ანგარიშში არ მოტყუებულან, ამას ის მრავალმეტყველი გარემოებაც ამტკიცებს, რომ ერეკლეს მეფობის უკანასკნელ წლებშიაც-კი, მე-18 ს-ის დასასრულს, მადნის მაღაროების წმინდა შემოსავალი სახელმწიფოს ყოველწლიურს ოქროსა და ვერცხლის ფულადი შემოსავლის ერთს მეოთხედს უდრიდა: 400 000 მინ-ში (ბურნაშევი) 100000 მინ.-მდე მადნების წმინდა შემოსავალი იყო.

(გაგრძელება იქნება)

**რედაქციისაგან: ივანე ჯავახიშვილის წიგნი „საქართველოს საზღვრები“ იბეჭდება უცვლელი სახით.**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ra garigebas sTavazobs xelisufleba sulxan molaSvils, romelic strasburgSi Civis da ratom gaxda Suamavali meufe petre?

საქართველოში ახალი პროფესია გამოჩნდა — მნგრეველი. არა, ესენი ნაციონალების პარტიიდან არ გეგონოთ. პირიქით, ნაციონალებისგან დაზარალებული ხალხია. მშენებლები არ არიან, მაგრამ მშენებლობისა ბევრი გაეგებათ. ყოველ შემთხვევაში, იმდენი, რომ იციან, რა ხდება ბაზარზე და სამშენებლო მასალები რა ფასად იყიდება. ახლის შოვნის და გაყიდვის თავი არა აქვთ. ამიტომ მეორადი მასალებით ვაჭრობენ. რატომ მნგრევლები? იმიტომ, რომ ისინი ძველ სახლებს ყიდულობენ, ანგრევენ, ახარისხებენ, ასუფთავებენ და მიღებულ დეტალებს ჰყიდიან. ეს ხელობა კარგი ცხოვრების გამო არ აურჩევიათ არც მნგრეველებს და არც სახლების გამყიდველებს. გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. რიგით სოფლებში, ანუ არასააგარაკო ადგილებზე, საცხოვრებელი სახლები ძნელად იყიდება. კლიენტი იშვიათია და ადგილობრივებმაც ამ უცნაურ ხერხს მიმართეს. შენობებს ჰყიდიან მინიმალურ ფასად. მოვლენ მნგრეველები, დაშლიან სახლს. გადაარჩევენ მასალებს, წაიღებენ და როგორც სექენჰენდში, მინიმალურ ფასად გაყიდიან. ერთ-ორ კაპიკს გააკეთებენ და ყველა კმაყოფილი რჩება. სახლები ისე იყიდება, რომ მიწაზე პრეტენზია არავისა აქვს და ისიც მუდმივად ძველი პატრონის საკუთრებაში რჩება. გაივლი სოფელში, მიტოვებულ კარმიდამოში საძირკვლის ნარჩენებილა მიგანიშნებენ, რომ ოდესღაც აქ ხალხი ცხოვრობდა. ასეთი ნანგრევები კი ყოველდღიურად მრავლდება.

ეს მცირე შესავალი ერთი დეტალია იმის მისანიშნებლად, თუ სად ვცხოვრობთ და როგორი გაუსაძლისი ხდება ყოველდღიური ცხოვრება მატერიალური თვალსაზრისით. თუმცა კაცმა არ იცის, რა უფრო მძიმეა, კაპიკებად გაყიდული სახლები, თუ ის მორალური გარემო, რაზეც ქვევით გვექნება საუბარი.

## შუამავალი მეუფე და განრისხებული პრეზიდენტი

ეს ხელისუფლება რომ ყველაფერს კადრულობს, ახალი კი არა, კარგად დავიწყებული ძველია. თუმცა ჩვენთვის ვერაფერი შეღავათია, ყველაფრის კადრება ახალი დაწყებული აქვთ, თუ დაბადებიდან



ასეთები იყვნენ. ფაქტია, კადრულობენ და ძირითადად იმისათვის, რომ პირი მოიწმინდონ და შინ თუ ვერა, უცხო საზოგადოების თვალში მაინც კარგი ბიჭები გამოჩნდნენ.

როგორც „საერთო გაზეთისთვის“ გახდა ცნობილი, ძვირფასი ხელისუფლება ამჟამად კონტროლის პალატის ყოფილ შეფს სულხან მოლაშვილს „ეჩალიჩება“. ბოდიშს ვიხდით ამ ჟარგონისთვის, მაგრამ იგი ძალიან ზუსტად გამოხატავს იმას, რის სისრულეში მოყვანასაც, სააკაშვილის პირადი მითითებით, სამართალდამცავები ცდილობენ. მოლაშვილი ციხიდან გამოსვლის შემდეგ, რამდენიმე წელიწადია, საფრანგეთში ცხოვრობს და სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება. ყველამ კარგად იცის, რომ მის მიმართ განხორციელებული წამებისა და ადამიანის უფლებების შელახვის გამო, იგი პროცესს აუცილებლად მოიგებს. ეს ამბავი ყველაზე კარგად ხელისუფლებას მოეხსენება. ისიც ჩვენზე უკეთესად იციან, რა სკანდალი მოჰყვება ამ გადაწყვეტილებას საერთაშორისო თვალსაზრისით. ამიტომ ცდილობენ ბიჭები, საქმე „ჩაცუცქულების“





სტილში გადაწყვიტონ და მამენტ კაცურად დაილაპარაკონ. ისინი მზად არიან, სულხან მოლაშვილს ხელშეუხებლობის გარანტია მისცენ, აუნაზღაურონ ის თანხა, რასაც ევროპის სასამართლოში საქართველოს სახელმწიფოსგან ითხოვს, ოღონდ, მოლაშვილმა საჩივარი უკან გამოიტანოს.

ყველაზე შემაძრწუნებელი ამ ამბავში ის არის, რომ თურმე ხელისუფლებას შუამავლად ჭყონდიდის ეპისკოპოსი მეუფე პეტრე აურჩევია. იგი სულხან მოლაშვილის მოძღვარი იყო. თუ გავითვალისწინებთ ცნობილ ფაქტს, რომ მეუფე პეტრეს საკუთარ ოთახში სააკაშვილის უზარმაზარი პორტრეტი უკიდია, გასაკვირი აღარფერი იქნება. რა გადაწყვეტილებას მიიღებს თვითონ მოლაშვილი, უცნობია. თუ გავიხსენებთ ჩვენს თვალწინ არსებულ მაგალითებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რით დასრულდება გარიგება.

გავიხსენოთ ამბავი, რომელიც სულ ახლახან ტრაგიკულად დასრულდა. ქართულმა საზოგადოებამ კარგად იცის ზერეკიძეების ოჯახის „ნაციონალური“ ისტორია. იგი 2006 წელს დაიწყო, როცა არასრულწლოვანის დაკავებას ოჯახის პრინციპული და მკაცრი პროტესტი მოჰყვა. ზერეკიძეებმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სარჩელით მიმართეს. ხელისუფლება ამჯერადაც დარწმუნებული იყო, რომ არასრულწლოვანის უფლებების დარღვევისთვის ევროპის მასშტაბით სამარცხვინოდ მოიჭრიდა თავს და პირის მოსაწმენდად ისევ „ჩაცუცქულების“ პოზა აირჩია. ჩვენთვის უცნობია, შუამავალი ვინ იყო. ფაქტია, რომ ცხოვრებაგამწარებული ზერეკიძეები დაითანხმეს და ცოლ-ქმარი საჩივრის გამოსატანად სტრასბურგში ჩავიდა. უკან დაბრუნებისას თბილისის აეროპორტში ქალბატონის ჩანთაში დიდი რაოდენობით სუბოტექსი აღმოაჩინეს.

რა მოჰყვა ამ ფაქტს, ესეც ყველასათვის ცნობილია: ქმარს სამუდამო პატიმრობა, ცოლი კი პირობითი სასჯელით გაათავისუფლეს. ერთი წლის თავზე მამუკა ზერეკიძე ციხეში „დენის დარტყმით“ გარდაიცვალა. მათი შვილი, გიორგი ზერეკიძე, რომელიც გარიგების თანახმად, დროზე ადრე გაათავისუფლეს, ისევ ციხეში შეაბრუნეს ხულიგნობის ბრალდებით. საშინელებაა, არა?! შეუძლებელია, უფრო დაუნდობლად და უზნეოდ ექცეოდეს ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გაბედეს და სამართალდამცავების თავნებობა გააპროტესტეს ყველაზე მშვიდობიანი ფორმებით.

სააკაშვილმა ვერ გადაყლაპა და ვერ მოინელა ის ფაქტი, რომ 14 წლის ბიჭის დასაცავად 2006 წელს, მისი ზეობის ზენიტში, ქუჩაში ათი ათასობით ადამიანი გამოვიდა. რაც მთავარია, მათი უმეტესობა ახალგაზრდობა და სკოლის მოსწავლეები იყვნენ. ერთი პატარა ბიჭის ბოღმას პრეზიდენტმა მთელი ოჯახი გადააყოლა, თანაც ყველაზე ვერაგი და უზნეო ფორმით. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ის უფრო უარესს უმზადებს სულხან მოლაშვილს, რომელიც ისე სძულს, რომ ამის დაფარვასაც ვერ ახერხებს. ბატონ პრეზიდენტს ეს განწყობა შევარდნაძის ეპოქიდან მოსდევს, რადგან კონტროლის პალატის მაშინდელმა თავმჯდომარემ „დიდ ოპოზიციონერსა და სპეტაკ მინისტრს“ ისეთები ამოუქექა, თავმოყვარე საზოგადოება იმ კაცს პრეზიდენტად აღარ აირჩევდა (სამწუხაროდ, სწორედ ჩვენი უთავმოყვარეობით სარგებლობს და გასდის კიდეც ამ ხელისუფლებას).

სულხან მოლაშვილს ახლა დაცვის ერთადერთი ბერკეტი გააჩნია — სტრასბურგში გაგზავნილი საჩივარი. თუ იგი გაბრიყვდება, ხელისუფლების დაპირებებს დაიჯერებს და ამ ბერკეტსაც უკან გამოითხოვს, ხელფეხგახსნილი სააკაშვილი ისეთს იკადრებს, რომ მრავლის მნახველ ქართველებსაც კი გააოცებს. ასე იქნება და ამ ამბავს წყალი არ გაუვა. აი, რას იტყვის ამის შემდეგ შუამავალი, მეუფე პეტრე, ამაზე კი შეიძლება მხოლოდ ვარაუდის დონეზე ვიმსჯელოთ. თუმცა სამღვდელო პირს რომ ღმერთის არ ეშინია, საეჭვოა, იმას ადამიანების შერცხვეს.

## გაიქცა თუ არა არჩილ გეგენავა და წაიღო თუ არა ნაციონალების „ობშიაკის“ ფული?

ძველი თბილისის რაიონმა დიდი ქველმოქმედი და მეცენატი დაკარგა. როგორც გამოჩნდა, თბილისის ამ რაიონის ყველა საქველმოქმედო ღონისძიებას გამგეობა კი არა, თურმე პარლამენტის წევრი, ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ გეგენავა საკუთარი ჯიბიდან აფინანსებდა. ამ ორშაბათს გამგებელ ავალიანს მიღებაზე სო-



ციალურად დაუცველი ოჯახების უამრავი წარმომადგენელი ჰყავდა დაბარებული. მათთვის სკოლის სახელმძღვანელოები უნდა გადაეცათ უფასოდ. გამგებელი კაბინეტში არ გამოცხადდა და მთელი დღის განმავლობაში მომლოდინე მშობლები მიხვდნენ, რომ ამ საქმიდან აღარაფერი გამოვიდოდა.

წინა ორშაბათს, როცა იგივე ხალხი ავალიანს შეხვდა, გამგებელმა მათ თვალწინ დაურეკა გეგენავას და მკაცრად გააფრთხილა, ერთ კვირაში სახელმძღვანელოების პრობლემა მოეგვარებინა. ერთი კვირის თავზე კი აღმოჩნდა, რომ გამგეობაში აღარც გამგებელი იყო და აღარც დეპუტატის დაპირებული სახელმძღვანელოები. ამ ფონზე გეგენავას ფინანსური ჩამოლაბორანტების გახმაურებულ ამბავს ახალი ჭორები მოჰყვა: გეგენავა საქართველოდან გაიქცა და თან წაიღო ნაციონალების „ობშიაკის“ ფული. ლაპარაკია მილიარდებზე, ორი, სამი. დეპუტატის ოჯახთან დაახლოებული საზოგადოება კი ამტკიცებს, რომ გეგენავა ჩვეულებრივად „დაგულაობს“ თბილისის ქუჩებში და გასაქცევად არა აქვს საქმე, რადგან ფინანსურად ის არც ისე დაზარალებულა, როგორც ამას მისი მტრები აცხადებენ. სხვათა შორის, გაქცევის ვერსიას თვითონ ნაციონალები ავრცელებენ და ამბობენ, რომ დეპუტატს დიდი ფულის გატანაში თვითონ ხელისუფლების ერთი შტო დაეხმარა, ისევე, როგორც თავის დროზე ირაკლი ოქრუაშვილს.

უკვე კეთდება პოლიტიკური შეფასებები იმასთან გაკავშირებით, რომ მერაბიშვილისა და უგულავას კლანების დაპირისპირებამ ღია ფორმები მიიღო და დიდი პოლიციელი უგულავას „მეგობრების“ ყველა ბიზნესების ჩაძირვას წარმატებით აგრძელებს. ჩაძირულთა შორის არიან ძმები კოდუები და მათი დედა ლაურა ღაჭავა. ორი დღის წინ ირაკლი კოდუა იძულებული გახდა, დაეხურა სასტუმრო „საქართველოს“ შენობაში გახსნილი გასართობი ცენტრი, რომლის პრეზენტაცია ორი თვის წინ გაიმართა და რომელშიც ყოფილმა სოდის უფროსმა დიდი ინვესტიცია ჩადო. საბაბი ვერის უბნის მცხოვრებლების საჩივარი იყო. თურმე უბნის მოსახლეობას ძალიან აწუხებს ღამის მუსიკა და გართობის ყიჟინა. მერაბიშვილის უწყებისთვის ეს საკმარისი არგუმენტი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ცენტრი დაეხურა. ისე, მთელ საქართველოს აწუხებს ამათი ხმაურიც და მოქმედებაც, მაგრამ ჩვენს საჩივრებს არავინ უსმენს. თუმცა ვანოს რაც უნდა, ის კარგად ესმის.

კოდუებმა გაყიდეს ყოფილი „პირიმზის“ ადგილზე აშენებული ბიზნესცენტრი. ღაჭავას შეუწყვიტეს რამდენიმე სახელმწიფო კონტრაქტი, რომელიც ტენდერში ჰქონდა მოგებული. ასე რომ, არ არის გამორიცხული, გეგენავას გაქცევის ისტორიას ახალი „გაქცევა“ მოჰყვეს: ძმები კოდუები. რა არის მართალი და რა არა, ამ მითქმა-მოთქმაში, მალე გამოჩნდება.

ფაქტი ერთია: პოსტსააკაშვილის ეპოქისათვის მზადება დაწყებულია. ნაციონალები აირივნენ და თან ისე, რომ დედა შვილს არ აიყვანს ხელში. პარადი, ჯერჯერობით, ისევ დიდ პოლიციელს მიჰყავს, პრეზიდენტი კი საკუთარი იმიჯის შენარჩუნებით არის დაკავებული და შიგადაშიგ პირად ბოღმასაც გამოურევს ხოლმე, შურისძიების სახით.

ვერაფერს იტყვი, მაგარ სიტუაციაში მოვხვდით და ბოლომდე ვიფერებთ ამ ვითარებას. ჰოდა, ამის მერე რა გასაკვირია, თუ ამ ქვეყანაში მშენებლის ადგილს მნგრეველები იკავებენ და თანაც ისეთი სტაბილურობით, რომ შეგვიძლია ვივარაუდოთ: ეს ყველაზე პერსპექტიული ხელობა ხდება XXI საუკუნის გარიჟრაჟზე.

**მანანა გეგიძე**



## saqarTvelos istoria Tavidan bolomde gayalbebulia!

# rogor SeiZleba saqarTvelos istoriaze somxebis mier dawerili `qarTlis cxovrebiT~ vmsjelobdeT?

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე* ***კლიმენტი შელია.***

**— ბატონო კლიმენტი, თქვენმა ნაშრომებმა კოლხეთის შესახებ, რომ კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება, რომ კოლხეთი ჩვენი სამყაროს კარიბჭეა და კოლხეთი კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანია, დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა, არ მახსენდება, რომ რომელიმე ისტორიკოსს ოპონირება გაეწიოს თქვენთვის, — რას უნდა ნიშნავდეს ეს?**

— მოდით, ასე შევთანხმდეთ, როდესაც კოლხეთზე ვსაუბრობთ, იგულისხმეთ საქართველო, წერისას კი აუცილებლად მიუთითეთ გვერდზე, რადგან კოლხეთი და საქართველო ერთი ეთნოსია, მერე გაითიშნენ, ისტორიის ბედუკუღმართობით. 11 000 წლის წინანდელი, ნეოლითის ხანის წარწერებია აღმოჩენილი, — ნამდვილად დიდი მეცნიერია თამაზ გამყრელიძე, მაგრამ რომ წერს, ბერძნულიდან მომდინარეობს ქართული დამწერლობაო, — უდიდესი სისულელეა. თუ თქვენ ამას მიმიხედავთ, ჩემს საქმეს კი არა, უდიდეს ეროვნულ საქმეს გააკეთებთ. მმე დღეს ვარ და ხვალ აღარ ვიქნები, მაგრამ იმ წიგნს, რომელიც დღეს გამოცემული არ არის, ვიღაც ხომ გამოსცემს როდესმე...

გია კვაშილავას მაგალითს გეტყვით, მსოფლიო აღიარება ჰპოვა, მაგრამ საქართველოში ხმას არ იღებენ... მიდის მიმართვა ყველასთან, მაგრამ ქართველი ისტორიკოსები და მეცნიერები დუმან. ეს ნიშნავს იმას, რომ წყალში ეყრებათ ყველაფერი... თამაზ გამყრელიძეს დიდ პატივს ვცემ, ხომ ეტყვიან, ქართული დამწერლობა, ჯერ კიდევ 4 000 წლის წინადროინდელია („ფესტოს დისკო“) და რას ამბობ შენო?

**— მითია თუ სინამდვილე, არ ვიცით, მაგრამ ხომ არის ჩვენამდე მოღწეული, რომ მედას ორი შვილი, რომლებიც თითქოსდა მან დახოცა, სინამდვილეში ქართული ანბანის ორი ასო იყო, „იოტა“ და „ეი“, რათა „სიბრძნის წიგნის“ საიდუმლო არ გაეგოთ, „ოქროს საწმისის“...**

— და ოქროს დამუშავება... პირველად ბელგიიდან დამირეკეს, ხახაშვილი იყო გვარად, ძალიან გახარებული იყო, ბატონო კლიმენტი, ეს რა წავიკითხეო. აშშ-ში გამოდის ე.წ ქართველი ებრაელების გაზეთი „დავითის ფარი“, მათ უნდოდათ ჩემი ნაშრომის გამოქვეყნება, მაგრამ როგორც ჩანს, აღარ მოინდომეს გარკვეული მიზეზების გამო. მმე ძალიან მიყვარს თქვენი „საერთო გაზეთის“ რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა, ნიჭიერი, უშიშარი, რაინდი კაცი... ეჰ, ნეტავ ათი წლით უმცროსი ვიყო, რამდენი რამ მაქვს გასაკეთებელი...

**— თქვენ ამბობთ, რომ ჯერ კიდევ 14 000 წლის წინ იყო კოლხური ცივილიზაცია, სად გაქრა, როგორ, რამ გააქრო...**

— საქართველომ დაკარგა ყველა ტერიტორია — ერაყი, ტიგროსი, ევფრატი, — საქართველო იყო... „კოლხუა“ ერქვა ერაყის დედაქალაქს, ანმარე („ღვთის კაცი“) ერქვა მეფეს, ძვ, წ. აღ-ით 3185 წლიდან 3120 წლებში მეფობდა. მე ამას ხომ არ ვთხზავ, ყველა წყაროს ვუთითებ წიგნში. ახლახანს კაზრეთში აღმოაჩინეს არქეოლოგებმა, რომ 6 000 წლის წინათ ოქროს აღნობდნენ აქ, დანადგარების მთელი სისტემაა...

**— თბილისის ახლადაღმოჩენილ აბანოებზე რას იტყვით, თბილისის დაარსების თარიღი და ლეგენა რომ გვიცამტვერდება, გამოდის, რაღაცები გაყალბებულია?**

— ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის“, სახელმძღვანელოში, რომელიც სამჯერ გამოიცა




ქართულად (1943, 1946, 1948 წლებში), ორჯერ რუსულად (1946, 1948 წლებში) და სტალინური პრემია მიიღო, ნათქვამია: „უძველეს ხანაში, ხუთი ექვსი ათასი წლის წინათ, ხეთურ-იბერიულ გვარ-ტომებს, ერთმანეთის მონათესავე ხალხებს, ვრცელი მიწა-წყალი ეჭირა აზიაში, აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში.“ წიგნის რუსულად გამოცემამ სსრკ-ის მეცნიერები აღაფრთოვანა, ახმაურდა მსოფლიო, მაგრამ როგორც კი სტალინი გარდაიცვალა, მოსკოვმა წიგნი აკრძალა, მოძველდაო და მოითხოვა ახალი სახელმძღვანელოს დაწერა. 1958 წელს ნებსით თუ უნებლიედ, აღარ აქვს მნიშვნელობა, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოიცა სრულიად გაყალბებული საქართველოს ისტორია...

ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ზ. რატიანი წერდა, რუსმა შოვინისტებმა ისე დაგეშეს ქართველი, მათ წინააღმდეგ თვით აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილს არაფერი გაუვიდაო. სახელმძღვანელოს, რომელშიც, სულ მცირე, ქართველი ერის ისტორიის 2500 წელი აქვს მოპარული, არ შეიძლება რამე მეცნიერული ღირებულება ჰქონდეს; მთლიანად გაყალბებული და შეთითხნილია ქართველი ერის და უძველეს ქართველურ სახელმწიფოთა წარმოშობის ისტორიაო...

**— „ქართლის ცხოვრება?“**

— ეს საშინელება სომხურია, მაგრამ რათ გინდა, რა, ყველა ისტორიკოსი „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოდის, — აღარ შეიძლება ამდენი სიყალბე!

მოკლედ რომ ვთქვათ, მტრებმა წაართვეს ტერიტორიები, მაგრამ უბედურება კიდევ სხვა რამეშია, — კოლხეთს, დღეს რომ მხოლოდ სამეგრელოდ მოიაზრება, უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს.

**— სხვათაშორის, დროდადრო „სამეგრელოს თემა“ რომ წამოიწევს ხოლმე, რას იტყვით, რას უნდა ნიშნავდეს, ხან ავტონომიის მოთხოვნის საშიშროებას დაგვძახიან და ხან რას...**

— სამეგრელოს ავტონომია კი არა, ყველა, ვინც საქართველოს გაერთიანებას მეთაურობდა, აფხაზ-მეგრელი იყო ამის წამომწყები. ქუჯი, კაცო, ქუჯი, — მეფობაზე უარი თქვა და მამასახლისს მისცა მეფობა... ძალიან დიდ წარსულზე და ძალიან დიდ კულტურაზეა საუბარი და ამის ატანა უჭირთ, მითუმეტეს, რომ საქართველოს გაერთიანების იდეის მატარებლები არავის უნდა, — სამეგრელოს ებრძვიან ვითომ, მაგრამ ამით მთელ საქართველოს ებრძვიან...

პაპანია ჯაფარიძე მეცნიერი კაცია, მაგრამ ისეთ რამეებს წერს სამეგრელოზე, გადაირევით...

**— მეუფე ანანიაზე ამბობთ, მანგლისის მიტროპოლიტზე?**

— ჰო, ჰო, მასზე, მან ხმა მისცა კონფესიების თავისუფლებას, — ფაზისი არმენიისა იყოო. ფაზისი რიონს ერქვა, ფოთთან უერთდება, ფოთს ერქვა და, ეს იძახის, სომხეთში იყოო, კაცო! — ე. ი სომხეში ყოფილა ფოთი?

**— მეუფე ანანია თუ ამას ამბობს, აბა, რას ვერჩით სომხების სურვილს აღადგინონ „დიდი სომხეთის“ საზღვრები...**

— მე რომ გამოვეცი წიგნი „კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი“, წიგნის რედაქტორმა მემანქენე გოგონაზე მითხრა, ეროვნებით სომეხიაო. იყოს, რას ვერჩი-თქო, გამიკვირდა. არ გასულა ერთი თვე და სომხებმა გამოსცეს წიგნი „სომხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი“, სამი ავტორი აწერს ხელს. ამ გოგონამ იმდენად ვერ შეიკავა თავი, რომ ერთი წიგნი მე მისახსოვრა. წავიკითხე და ძირითადი დებულებები ჩემგან იყო გადაწერილი, კარგად იცოდნენ ეტყობა, ქართული...

მეგრული ენა კილო-კავია, მეგ-




რული ენის აღიარება ენად, გამოიწვევს საქართველოს დაშლასო და ა. შ — საუკუნეებია არსებობს მეგრული და რისი დამშლელია, სინოდმა კი, იცით, რა გადაწყვეტილებაც მიიღო, — აი, რა დაშლის საქართველოს!... შევარდნაძემ 6-ჯერ შეუტია სამეგრელოს...

**— ბატონო კლიმენტი, თქვენ მითხარით, რომ თქვენი ნაშრომები მხოლოდ მონახაზია იმისა, რაც იმ რვაასგვერდიან, გამოცემას მომლოდინე წიგნშია ვრცლად გაშუქებული, მოდით, საგაზეთო ფორმა მივცეთ თქვენს ნაღვაწს და შეძლებისდაგვარად მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ის, რაც მკითხველის ინტერესს იწვევს. დავიწყოთ თქვენი განაცხადით, რომ კოლხეთი (საქართველო) სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა.**

— კი, ბატონო! აუცილებლად აღვნიშნოთ, რომ რასაც ვამბობ, ყველაფერს წყაროებზე დაყრდნობით ვიმეორებ, მაგრამ ვინაიდან, ზოგადად, გაზეთის ფორმატი ყველაფრის საშუალებას არ იძლევა, ამის ნახვა წიგნში იქნება შესაძლებელი, სქოლიოებში.

კოლხეთს (საქართველო) უძველეს ეპოქაში ჩვენი სამყაროს უზარმაზარი სივრცე ეკავა, დაწყებული სინყარის ქვეყნით (ერაყი), დამთავრებული მიმდებარე ტერიტორიებით: ქიმეთი, სუდანი (კოლხქალდების „იმპერია“), პირინეი, აპენინი, ხმელთაშუა ზღვის აუზი ძველ ლაზიკამდე.

1921 წლამდე კრასნოდარის მხარეში ინახებოდა რუკა, რომელზეც, მთელ ამ სივრცეს „მეგრელია“ ეწერა. ტუაფსემდე, მდინარე რამდე, (ვოლგა), კაზანი, რიაზანი, — მეგრული სახელებია, აზოვის ზღვა, ზღვა-ლაზოვსკოე, (ლაზების ზღვა) მთელი ყირიმი ჩრდილოეთ ინდოეთამდე, როგორც ძველი ბერძნები ამბობენ, მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე კოლხეთი იყო.

საქართველო უძველესი დროიდან ერთი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო და შესაბამისად, მთელ მის ტერიტორიაზე ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა. ჰეროდოტე (ძვ, წ. VI ს.) და სხვა ძველი ბერძენი სწავლულები ზემოაღნიშნულ სივრცეში, კოლხების გარდა სხვა ხალხებსა და ქვეყნებს ვერ ხედავდნენ. ჰეროდოტე არ ახსენებს სომხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სომხები ან ამ სახელწოდებით არ არსებობდნენ, ან თვით ასეთი სახელმწიფოებრივი გაერთიანება არ არსებობდა.

ძვ, წ 3200-3100 წელს არსებობდა უძველესი და უპირველესი ქალაქი „კოლხა“, („კულხა“,) მდინარე ბურანუნის (ევფრატის) ქვემო წელში, ე.ი. 5200-5100 წლის წინ. ამერიკელი უფოლოგები ადასტურებენ, რომ კაცობრიობამ „ცხოვრება ისწავლა“ ძველი შუმერებისგან („ანაუკის“, „ანანუკისგან“), რომლებიც 5500 წლის წინ ცხოვრობდნენ და ყველაფრის შესახებ ფლობდნენ ამომწურავ ინფორმაციას. „ანანუა“ („ანანუკი“) ხომ არ არის კოლხთა სიბრძნის წიგნი „ეფუთი“ („ანანუს“ ეფუთი), რომელიც დაკარგულად ითვლება? ქართველი მმართველები, (მეფეები) მზის შვილებად თვლიდნენ თავს, ზეცის სრული, განუყოფელი ძალაუფლებით იყვნენ აღჭურვილნი. კოლხებისთვის მზე დედა, ხოლო მამა მთვარე იყო. „ბჟა დიდა რე ჩქიმი, თუთა-მუმა ჩქიმი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი და დო ჯიმა ჩქიმი“. („მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამაჩემი. მოკაშკაშე ვარსკვლავები — და და ძმაა ჩემი“. აკ. შანიძის თარგმანი)

კაცობრიობის ისტორიაში პირველი ექიმი, მედეა, რაიმე მტკიცებულების დროს ამბობდა: „ვფიცავ მზეს და მთვარეს, მზეს და მიწას“... ზევსი, პრომეთე, ჰერა, არ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გონავტები, აიეტი თუ მედეა, ყველანი კოლხურ-პელაზგური წარმოშობისანი იყვნენ და კოლხურ-პელაზგურად მეტყველებდნენ... ვისაც ბერძნებამდე ელადაში უცხოვრია, პელაზგად იხსენიება. ჰომეროსი მას „ღვთისადარ პელასგოსს“ უწოდებს, ჰესიოდე (ძვ. წ. VIIIს) და აპოლონიოს როდოსელი დედამიწაზე შობილ პირველ ადამიანად პელაზგს თვლიან. პელაზგისი მიჩნეულია ჰერას წინაპრად. ამგვარად,



# kacobriobis istoria kolxeTiT iwyeba

კეთდება დასკვნა, რომ კოლხთა შთამომავალი პელაზგები, ბერძნებამდელი ელადის უადრინდელესი მოსახლეობა, ძველი საბერძნეთის წინაბერძნული, კერძოდ, კოლხურ-პელაზგური კულტურის წიაღ-საფუძველს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ მედიტერანულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება პელაზგთა განაყოფების, იტალიელ ეტრუსკტა და ესპანელ ბასკთა მეტყველება.

არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა მიერ კოლხ პელაზგთა შესახებ, მაგრამ საგაზეთოდ მხოლოდ ერთს ვიტყვი, როდესაც მდინარე განსაკუთრებით ადიდებულია, სამეგრელოში იტყვიან „პელაგონი მოსოფუნცია“, დაუოკებელი, უძლეველი, აბობოქრებული ძალა მოდისო...

ადამისდროინდელი პელაზგოსი პირველი პელაზგია, რომლებსაც მთელი მსოფლიო ეკავათ (პლუტარქე) — ჩვენი სამყაროს პირველი ხალხია, კოლხეთ-პელაზგოსი მსოფლიოს პირველი ქვეყანაა, კოლხ-პელაზგების ენა მსოფლიოს პირველი ენაა...

**— კოლხ-პელაზგური კი არა, რა ქართულითაც ვმეტყველებთ, იმასაც გვართმევენ...**

— აღნიშნულის აღიარება აუცილებლად მოხდება, რადგან ისინი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობისაა და მათი მუდმივად მიჩუმათება შეუძლებელია. რუსი ა. ნოგოვიცინი აღნიშნავს: „პელაზგები იყვნენ რა, ბერძნების მასწავლებლები, ტრადიციულად, ღვთაებრივ ხალხად ითვლებოდნენ. თავიანთი „ბერძნული“ დამწერლობა, ძველმა ელინებმა პელაზგებისგან მიიღეს. აქვე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ უძველეს ფინიკიურ ალფავიტს ასევე პელაზგურს უწოდებდნენ.“

**— თუ ეს მართლაც ასეა, სხვამ თუ არა, ჩვენმა ქართველმა მეცნიერებმა მაინც ამოიღონ ხმა, იყვირონ, თქვენი თქმისა არ იყოს, სიმართლე ხომ მაინც გაცხადდება...**

— ქართველი ცნობილი მეცნიერ-მკვლევართა გარდა, არაერთი გერმანელი, ამერიკელი, ინგლისელი თუ ფრანგი მეცნიერის შრომებშია ნათლად მოცემული, რომ ეს ასეა, მაგრამ მსოფლიოში არსებული შეხედულება-თვალსაზრისის წინააღმდეგ წასვლა ძალიან ძნელია, მაგრამ ვიმეორებ, სანამდის?

**— ჰოდა, სანამდის?**

— მე პირადად, ვფიქრობ, რომ გაჭიანურება აღარ ეგების, სიმართლის თქმისთვის მომწიფებულია დრო, — საბჭოთა იმპერია დაიშალა, მაშ, რაღა გვიშლის ხელს? სიმართლე უძლეველია, ის დღეს იქნება თუ ხვალ, გზას აუცილებლად გაიკვლევს...

**— გადავიდეთ იაპონიაში...**

## იაპონელი აინები — უძველესი კოლხური ტომები

ჩრდილოეთ იაპონიაში, კუნძულ ჰონსიუსა და ჰოკაიდოზე ცხოვრობენ უძველესი მეგრული ტომები, აინები, რომლებიც, ცხადია, ენითა და ფიზიკური მონაცემებით სრულიად განსახვავებულები არიან შორეული აღმოსავლეთის მონღოლოიდური რასისგან. აინები, ათასწლეულების შემდეგაც მხარბეჭიანები და ახოვანნი არიან, არ აქვთ მი-




ღებული მონღოლოიდური რასისთვის დამახასიათებელი თვალის ჭრილი და პირი-სახე.

მეცნიერები დიდი ხანია სწავლობენ აინების წარსულს, მათ ისტორიას, მათი ენის თავისებურებებს, აინტერესებთ საიდან და როგორ მოხვდნენ იქ, სადაც არიან, მაგრამ მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ აინები იაპონიის კუნძულების იმ რეგიონებში ცხოვრობენ, სადაც ივერთა გადაადგილების გზა გადის (მიგრაციისთვის განკუთვნილი გზა 42-ე განედზე გადის). მეცნიერებმა ზუსტად არ იციან საიდან მოვიდნენ აინები, მაგრამ დადასტურებულად ითვლება, რომ როდესაც იაპონელები გადავიდნენ კუნძულებზე და იქ დასახლდნენ, აინები დიდი ხნის დასახლებულები იყვნენ.

**— ბატონო კლიმენტი, რას ნიშნავს „ივერთა გადაადგილების გზა“, რა იგულისხმება.**

— ხოტუ-მატუაზე რომ მოისმენთ, უფრო გასაგები იქნება. V საუკუნეში სამხრეთ ამერიკის კონტინენტიდან რომ წამოვიდნენ, 60 დღე მოდიოდნენ 7 პატარა იალქნიანი გემით, ჩავიდნენ აღდგომის კუნძულებზე და იქ დაბინავდნენ. გადაადგილების ადგილი ჩრდილოეთ განედის 42-ე გრადუსია, საქართველო არის ამ განედზე და გადაადგილებაც ამ განედზე ხდებოდა. მაიას ტომი, აცტეკების ტომიც ამ განედზე ხვდებიან, რა თქმა უნდა, კოლხებთან ერთად, მაგრამ რა ცოდნაც იყო, კოლხური ცივილიზაცია იყო, ადგილობრივი ტომები, ანუ ინდიელები, მხოლოდ მუშახელად იყვნენ. ინდიელი პატარა იყო და თანაც, ინდიელს წვერი არ ამოსდის, ესპანელი მისიონერები კი წერენ, იქ წვეროსნები იყვნენო, ანუ კოლხები. ზანას (ქართული) კლანი გადავიდა ინდიელებშიც კი, — ამას თვით ამერიკელი მეცნიერები ამტკიცებენ.

**— აბა, ამერიკის კონტინენტი კოლხებს აღმოუჩენიათ, რა შუაშია კოლუმბი და ვესპუჩი...**

— მე მქონდა გაზეთში ნათქვამი, ამერიკა კოლუმბთან ერთად კოლხებმა აღმოაჩინეს-თქო...

**— ბატონო კლიმენტი, კოლუმბთან ერთად კი არა, ჩვ. წ. აღ-მდე კოლხებს აღმოუჩენიათ...**

— მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებას თუ გავყვებით, ასეა. დიდი გამყინვარების შემდეგ ივერიელები გადადიოდნენ ამერიკის კონტინენტზე და იქ საქმიანობდნენ, — ვრცლად ამის შესახებ უკვე წიგნში გაეცნობა მკითხველი.

დავუბრუნდეთ აინებს, მეცნიერებმა ვერ გახსნეს აინური ენის საიდუმლოც, მხოლოდ ისაა, რომ ბასკურს ამსგავსებენ. ცნობილმა რუსმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ა. ბელოპლედევსკიმ და ბასკოლოგმა ი. ზიცარმა გასული საუკუნის 70-იან წლებში მიუთითეს, რომ აინების ენა ბასკურს ჰგავს და წამოაყენეს მოსაზრება, რომ სიტყვა „აიანი“ ძალიან ჰგავს ძველი კოლხეთის სახელს, „აია-ს“, ხალხი „აია-ნი“ — „აია-ნებიდან“, „აია-ნებისგან“ და სხვა.

აინები საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთით ამაგრებენ ტირიფის ტოტს, რომელიც ისეთივე ფორმაზეა გათლილი, როგორც საახალწლო ჩიჩილაკი. აღსანიშნავია ისიც, რომ აინები ამ ტოტოს წინ ისევე ლოცულობენ, როგორც ქართველები ჩიჩილაკთან. აინების რიცხვი მცირედით აღემატება 20 000-ს.

იაპონელი აინებივით, კოლხური წარმოშობის არიან კამბოჯელი კხმერები. როცა ჩინელი კომუნისტები „კომუნიზმის აშენებას“ ცდილობდნენ, კამბოჯელი მმართველები კომუნიზმის ინტერესებისთვის ანაგურებდნენ საკუთარ ხალხს, განსაკუთრებით კხმერებს, რადგან აშკარა იყო, რომ ისინი სხვა რასას განეკუთვნებოდნენ...



## კოლხი (ქართველი) თათუ-ნეფერტიტი და აიე — ეგვიპტის ფარაონები

ძვ. წ XIV ს. შუა წლებში ჩრდილოეთ საქართველოს სამეფო მითანის მეფე რატის და, თათუ, ქიმეთის (ეგვიპტის) ფარაონ ეხნატონ-აჩინას მეუღლე გახდა. თათუს, ტრადიციულად, ახალი სახელი დაერქვა — ნეფერტიტი, რაც უცხოეთიდან ჩამობრძანებულ ულამაზეს ქალბატონს უნდა ნიშნავდეს. სხვათაშორის, ანმარესა და თათუ-ნეფერტიტს, ორივეს, ერთნაირი გვირგვინი ადგათ (ახურიათ).

მითანის (მთიანეთის) სამეფოს დედაქალაქი იყო ფაზისურა, რაც „ვენახოვანს“ ნიშნავს. იმავე მნიშვნელობის იყო ბაბილოვანი. ბაბილონი — ქართულად ვაზის ლერწია, რტო. (ბაბილონი ბაღდადიდან სამხრეთით, 90 კმ-ზე მდებარეობს) მიუთითებენ, რომ სახელი წარმომდგარია ბაბილი-სგან, რაც ღმერთების კარიბჭეს ნიშნავს.

ასევე იყო დედაქალაქ კოლხას სახელი, რომელიც მთელ ქვეყანაზე გავრცელდა, ჯერ დაერქვა ვრცელ ქართულ მხარეს, უფრო გვიან, როცა ბაბილონი მტრებმა დაიპყრეს, ბაბილონი კოლხეთის (საქართველოს) დედაქალაქი იყო, ხოლო ახალი წელთაღრიცხვით VIII საუკუნიდან ქალაქ ბაღდადს ხშირად ბაბილონად მოიხსენიებდნენ. (შესაძლოა, ქალაქის სახელები შეიქმნა მეფეთა ქართული სახელებისგან „ბაგ“ და „დადუ“)

ფარაონ ექნატონის (ეხნატონის) შემდეგ გამეფდა თათუ-ნეფერტიტი, რომელსაც თანამოსაყდრედ ჰყავდა უფროსი ქალიშვილი ანქისეპა — ანუნა. სამი-ოთხი წლის შემდეგ ნეფერტიტი გარდაიცვალა. ტახტზე 8-10 წლის თუთანქი — თუთანჰამონი დასვეს, რომელიც ქვეყანას ნათესავების მეშვეობით მართავდა, უპირველესად, ქვეყნის მეორე კაცის, უმაღლესი ქურუმის, მეფე რატის ძმის, თათუ-ნეფერტიტის მაზლის, კოლხი აიეს დახმარებით.

თუთანჰამონის გარდაცვალების შემდეგ ფარაონი თვით აიე გახდა, რომელიც ათი წელი მშვიდობიანად მართავდა ეგვიპტეს. (როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, თათუ-ნეფერტიტის უმცროსი ასული, მენი-ატინა, საქართველოს დედოფალი, ქადაშმან მეფის მეუღლე იყო და ცხოვრობდა თანამედროვე სამხრეთ ერაყში)

ეგვიპტის (ქიმეთის) პირველი ფარაონის, ნარმერის ანუ მენესის (ქვეყნის სატახტო ქალაქი იყო ზემო ეგვიპტეში, თიისი) ჩათვლით, კლეოპატრას დრომდე, ყველა ფარაონი ქართველი იყო.

შვეიცარიელმა მეცნიერებმა თუთანჰამონის დნმ-ის შესწავლის საფუძველზე დაამტკიცეს, რომ დასავლეთ ევროპის მამაკაცი მოსახლეობის წარმომადგენელთა 50 % თუთანჰამონის შორეული ნათესავი ან შთამომავალია. (ინგლისში თითქმის 70%, ესპანეთში – 70%, საფრანგეთში – 60%).

ექნატონი (ეხნატონი), მისი მამა, (ამენჰოტი) მისი მეუღლე (თათუ), მათი შვილი (თუთანჰამონი), თუთუს ბიძა აიე (ეიე), ეგვიპტის ფარაონები იყვნენ. ასევე, რამზეს I, რამზეს II, რამზეს III და მათი მემკვიდრეები თეთრკანიანები და კოლხები (ქართველები) იყვნენ.

მეცნიერთა მონაცემებით, კონკრეტულად თუთანჰამონის და ევროპელ მამაკაცთა ნახევარს საერთო კავკასიელი წინაპარი ჰყოლიათ. „დაახლოებით 9,5 ათასი წლის წინ თანამედროვე აფრიკელებისა და ფარაონის წინაპარი კავკასიაში ცხოვრობდა... ამ ჯგუფის წევრთა განსახლება ევროპის ტერიტორიაზე, დაახლოებით 9 ათასი წლის წინ დაიწყო სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად...“ (ეგვიპტის დიდი ფარაონების პერიოდში, კავკასია, კერძოდ, სამხრეთი ნაწილი კოლხებით იყო დასახლებული)

მირიან ქართველი არნიშნავს, „ეგვიპტის იმპერია ქართველი შუმერების შექმნილია და ფარაონები კლეოპატრამდე, ყველანი ქართველები იყვნენ, რომელთა ხელშეწყობითა და პრაქტიკული დახმარებით, ქართველმა ქურუმებმა სწავლა-განათლება მთელ მსოფლიოში გაიტანეს...“

კოლხური ცივილიზაციის პერიოდი დიდი ხნით უსწრებს ეგვიპ-



ტის დიდი ფარაონების მმართველობის პერიოდს, რომელთა სარკოფაგებში ჩატანებული უდიდესი სიმდიდრე, კერძოდ, ოქროს ძვირფასი ნაკეთობანი კოლხური წარმომავლობისაა. (ნათლად ჩანს კოლხური მეტალურგიული წარმოების პრიორიტეტი)

საქართველო (კოლხეთი) მსოფლიო პირველი ქვეყანაა, ქართული (კოლხური) ენა მსოფლიოს პირველი ენაა, ე. ი მეგრულ-სვანური მსოფლიოს პირველი ენებია.

რადგან ენის შესახებ მოგვიხდა საუბარი, იმასაც ვიტყვი, რომ კოლხეთის უძველეს დამწერლობაზე, კირბებზე (კვირაბები) ცნობები, კაცობრიობას შემოუნახა: კრატინემ, ჰეროდოტემ, ლისიალ პლატონმა, პლუტარქემ, აპოლონიოს როდოსელმა, სტრაბონმა და სხვა სწავლულებმა. (კირიბი — (კრავი) კრავის, ცხვრის ტყავზე წერდნენ კოლხები). ასევე კარგად იცნობდა კოლხეთს და მის წარსულს ჰომეროსი.

კლაუს შმიდტმა 11 000 წლის წინანდელი ტაძრების სამშენებლო სვეტებზე ნახა ინფორმაციის გადაცემა-შეტყობინების თვალსაჩინო ნიმუშები, ასო-ნიშნები და ნახატი ნიშნები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ტაძრის მშენებლებს (კოლხებს) იმ დროს დამწერლობა ჰქონდათ. გარდა კლაუს შმიდტის ამ მასალისა, ამბობენ, რომ რუსი მეცნიერის გამოკვლევით, კოლხებს 400 საუკუნის წინანდელი დამწერლობაც ჰქონიათ, რაც მიჩქმალულია. რადგან ამის შესახებ რაიმე დამამტკიცებელი წყარო არ არის, ამის შესახებ არაფერს ვამბობ).

**მაია ჭელიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

*კონსილიუმი სამედიცინო ტერმინია და იმ შემთხვევაში იწვევენ, როცა ავადობის სიმპტომები გამოკვეთილია და ერთი სპეციალისტის დასკვნა საკმარისი არ არის. კონსილიუმის შედეგად ჯერდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა აზრი, რის საფუძველზეც მკურნალობის სქემა მუშავდება. რით არის ავად სახელმწიფო, რა სჭირს ჩვენს ქვეყანას? — ეს კითხვა საზოგადოებას ბევრჯერ დაუსვამს, მაგრამ ამომწურავი პასუხი ჯერ არავის გაუცია. აქედან გამომდინარე „საერთო გაზეთი“ იწვევს „კონსილიუმს“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, ფილოსოფოსები, იურისტები, ეკონომისტები, ფსიქოლოგები, პოლიტიკოსები და ა.შ.*

*დღევანდელი „კონსილიუმის“ სტუმრები არიან სოციალური ეკონომიკის ექსპერტი* ***ოთარ ხუფენია****, ეკონომიკის ექსპერტები* ***სოსო არჩვაძე*** *და* ***ლევან კალანდაძე****.*

# `ero, guli wagsvlia da gagZromia suli wminda, gonebaze rom moxvide asialiyuri ginda!~

**ოთარ ხუფენია, სოციალური ეკონომიკის ექსპერტი:** დღეს გვაქვს ქვეყანა, რომელმაც ტერიტორიის საუკეთესო 20 პროცენტი დაკარგა. დავსვათ კითხვა — ნაციის რამდენ პროცენტს აქვს გაცნობიერებული რა დაკარგა და სტკივა თუ არა ეს მას? — სამწუხაროდ, ძალიან ცოტას. პირიქით, ეს დანაკარგი გაფორმდა დღევანდელი ხელისუფლების უტვინობით, უპასუხისმგებლობით. ყველას გვახ-



სოვს ცოცხალი ჯაჭვი, თითქოს ომი მოვიგეთ. რა მოვიგეთ? — თურმე რუსეთის სახე ვაჩვენეთ მსოფლიოს. რუსეთის აზროვნება რომ იმპერიულია — ეს სიახლეა ვინმესთვის? ახლა ვნახოთ რა სიტუაციაა მოსახლეობის დემოგრაფიის თვალსაზრისით — ვიყავით 5,5 მილიონი, ახლანდელი აღწერის მიხედვით 4,3 მილიონი ვართ. რეალურად, სტაციონარულად მაცხოვრებელი, ექსპერტული გაანგარიშებით 3,5 მილიონის ფარგლებშია. ამ ფონზე საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ღარიბ-ღატაკად რეგისტრირებულია 1.800 ათასი ადამიანი, რომელთა მხოლოდ მეოთხედს ეხმარება სახელმწიფო, ჩემი გაანგარიშებით დღეში 72 თეთრია დახმარების საფასური, ანუ ერთი პური გაძვირებამდე. კიდევ ერთი საინტერესო ციფრი — ადამიანები, რომლებიც საქართველოდან წავიდნენ, წელიწადში, დაახლოებით, ერთ მილიარდ დოლარს უგზავნიან ოჯახის წევრებს. ეს არის ის წყარო, რის გამოც ადამიანები შიმშილისგან ქუჩაში არ იქცევიან, თუმცა არც უმაგისობაა უკვე. ყველაზე მცირე 1,5 მილიონი ადამიანი, რომელიც საქართველოდან წასულია — ეს არის საზოგადოების აქტიური ნაწილი, რომელმაც ღირებულებები, ფასეულობები უნდა შექმნას. არც ისაა დასამალი, რომ სულ ცოტა ნახევარზე მეტი ამ ადამიანებისა შიმშილს გაექცნენ. ეს რაც შეეხებოდა იმას თუ რა გვჭირს, ცხოვრების რა დონე გვაქვს. დავსვათ მთავარი შეკითხვა — ვმკურნალობთ ამ სენს? — როგორც აღმოჩნდა არა. ადამიანი ხიდან რომ ჩამოვიდა, გადაწყვიტა შრომა უნდა გავინაწილოთო — ვიღაცამ მოხნას, ვიღაცამ დათესოს, ვიღაცამ საზღვარი დაიცვას, ვიღაცამ მართოს და ა.შ. ასე შეიქმნა სახელმწიფო — ადამიანებმა ერთმანეთს გადაუნაწილეს ფუნქციები. რა სახელმწიფო შევქმენით ჩვენ 20 წლის მანძილზე? — რეალურად შევქმენით სახელმწიფო, სადაც სასამართლო, სოციალური დაცვის ინსტიტუცია არ არსებობს, უკონტროლოდ ვისვრით მილიარდებს თავდაცვაში და გააზრებული არ გვაქვს ვის უწყებთ ომს. შევქმენით სახელმწიფო, სადაც ადამიანის ჯანმრთელობა აბსოლუტურად დაუცველია 80 პროცენტი მოსახლეობის ყოველგვარი სამედიცინო მომსახურების გარანტიის გარეშე არსებობს. ადრე ადამიანი, რომ დააცემინებდა ჯანმრთელობაო ვეტყოდით, ახლა თუ ავად გახდა პოლისი თუ გაქვსო ვეკითხებით, ანუ მათხოვარი, ღარიბი თუ ხარო. იმიტომ რომ აღნიშნული პოლისი, კორპორატიული და სოციალურად დაუცველების გარდა არავის აქვს. ვის ვიცავთ და როგორ ვიცავთ? — მსოფლიოში მოსახლეობის ერთი მესამედი სოციალური დაზღვევის პროდუქტით სარგებლობს. ასეთი ადამიანები გამოიმუშავებენ სოციალურ დაცულობას ასეთი რისკების დადგომის დროს. 1881 წელს ბისმარკმა წამოაყენა ეს იდეა და 1883 წელს დასრულდა კანონმდებლობის შემუშავება. რუსეთის იმპერიამ იგივე კანონმდებლობა 1904 წელს მიიღო. 2004 წელს ანუ 100 წლის შემდეგ საქართველომ საერთოდ გააუქმა სოციალური დაზღვევის კანონმდებლობა და 21-ე საუკუნის სეთურიზმი დაამყარა. ანუ გვყავს მამა-მარჩენალი, რომელმაც კანონში ჩაწერა, რომ პენსია არის ის სოციალური გასაცემელი, რომლის ოდენობა სახელმწიფო ბიუჯეტით მტკიცდება. საზოგადოება არც ამაზე რეაგირებს. პირიქით, ტელევიზიით ტრიალებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლიპი, თურმე 7-ჯერ გაუზრდიათ პენსია. ეს იცით რას მაგონებს? — 1913 წელს პირველად აღწერა რომ ჩაატარა რუსეთის იმპერიამ. ჩვენი ზრდა სხვა დსთ-ს ქვეყნების ციფრებს რომ შევადაროთ, თუნდაც ყაზახეთს, აღმოჩნდება, რომ ამ კუთხით ჩვენ ბოლო ადგილზე ვართ. არსად აღარ დაობენ, გარდა საქართველოსი ამ ფაქტზე, რომ პენსიის ოდენობა სტაჟით და სადაზღვევო შენატანით უნდა განისაზღვროს. საქართველოში არც ერთია საჭირო და არც მეორე. ჩვენმა პენსიონერებმა არ იციან, თუმცა ყაზახეთში პენსიონერი გეტყვის 5 წლის შემდეგ რამდენი ექნება მას პენსია არც ხლისტებს არ უნდათ სეთური ჰყავდეთ სათავეში, მაგრამ დაჩმორებულები არიან და ამიტომ იტანენ სეთურიზმს. კიდევ ერთი — ქვეყანას, რომელსაც დეკლარირებული აქვს, რომ სამართლიან სახელმწიფოს აშენებს და კორუფცია დაამარცხა, ამ დროს ნებისმიერი აქტი, რომელსაც კონტროლის პალატა ამა თუ იმ საბიუჯეტო ორგანიზაციაში წერს შემოიფარგლება ლამაზი ტერმინით — არამიზნობრივი ხარჯვა, რომელიც ყოველთვის 7-8 ციფრიანია. რას ნიშნავს ეს, რასთან გვაქვს საქმე? — თუ შევარდნაძის დროს კორუფცია განფენილი იყო, ეს ელიტური, პირამიდული ხომ არ არის, მხოლოდ თავში მოქცეული? — ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ასეა. ამის კლასიკური მაგალითია ის, რაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემთხვევაში მოხდა. კონტროლის პალატის აქტის გამოქვეყნებულ ფრაგმენტებში, რომელიც ე.წ. პოლისიზაციას ეხება, მილიონებზეა საუბარი. გამაგებინეთ, რატომ არ აინტერესებს ვინმეს, ეს აქტი საბოლოოდ დასრულდა, გამოქვეყნდა თუ არა, ანდა კანონის შესაბამისად პატივცემული მინისტრი ურუშაძე ოფიციალურ შეპასუხებას რატომ არ დებს და რატომ არ მსჯელობს საზოგადოება ამაზე? კორუფცია დავამარცხეთო, გამოდის რომ მარტო ჯანდაცვაში არ ყოფილა ეს „სენი“ დამარცხებული? თორემ განათლების სამინისტროში მინისტრის მოადგილეს მილიონები აქვს მოპარული, ამ დროს მინისტრი მაგარი კაცია თურმე ამას ხომ მიგვაჩვიეს? ავადმყოფობაა ის, რომ საზოგადოებას არ უკითხავს, რატომ არ არის ასეთი საქმეები საჯარო, რატომ არ გასცა კანონით დადგენილი შეპასუხება ჯანდაცვის მინისტრმა, რატომ არ ითხოვს პარლამენტი ამ საქმის დეტალურ განხილვას. ნორმალურ, ცივილურ სახელმწიფოში ასეთი ციფრების შემთხვევაში ან კონტროლის პალატა გამტყუნდებოდა და დაისჯებოდა ან ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა. სხვა ქვეყნებში ასეთ სკანდალს მთელი მთავრობის გადაყენება მოჰყვება-ხოლმე. სამწუხაროდ, საქართველოში მხოლოდ ფრაგმენტულად არის გაჟღერებული ეს ციფრები, ისიც რამდენიმე სააგენტოს მიერ ინტერნეტის საშუალებით. ავადმყოფი საზოგადოების, ჯიბიდანაა ეს ფული ამოღებულია რომლითაც ერთეულები ათეულობით, ასეულობით მილიონს იპარავენ, და ეს შესაბამისი რეაგირების გარეშე რჩება. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს საქმე მიჩუმათდეს. ეს პროგნოზი „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე რამდენიმე თვით ადრე დავდეთ. მოქმედებს ფორმულა — შენც სუ, მეც სუ და საუბედუროდ, მთლიანად საზოგადოებაც სუ.

**ლევან კალანდაძე, ეკონომიკის ექსპერტი:** ჯანდაცვის სფეროში შემოვიღეთ ერთი მხრივ საინტერესო მოდელი, როდესაც გარკვეული სამედიცინო სერვისები სახელმწიფომ კერძო სადაზღვევო კომპანიებს გადასცა. თავისთავად იდეა კარგია, მაგრამ ამ პროცესის დაგეგმვის და შემდგომი განხორციელებისას წარმოიშვა ძალიან ბევრი პრობლემა. ეს კონტროლის პალატამაც აღიარა ფინანსური რესურსების საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვის კუთხით. ხელისუფლებამ ეს არ აღიარა და კიდევ უარესი არ გამოასწორა ეს ყველაფერი. ეს იმას ჰგავს კუთხეში დაყენებული ბავშვი ბოდიშს რომ იხდის, და მერე იგივეს აკეთებს. ბოდიშის არსი მდგომარეობს იმაში, რომ არამარტო აღიარო შეცდომა, არასწორი ნაბიჯი, არამედ სამომავლოდ სცადო მისი გამოსწორება. ჩვენი ხელისუფლება არ არის პატარა ბავშვი, მან კარგად იცის, რომ შეცდომის აღიარებას წესით მისი გამოსწორება უნდა მოჰყვეს.

რაც შეეხება კონტროლის დასკვნას, მარტივად რომ ვთქვათ ეს ასე გამოიხატება — თუ სადაზღვევო კომპანიის ფინანსურ მდგრადობას რაიმე საფრთხე ემუქრება, მას როგორც გამარჯვებულ კომპანიას სახელმწიფო ტენდერში, შეუწყდება ლოტო და ეს სხვა კომპანიას გადაეცემა. ეს ცუდი არ არის, მაგრამ ამ საკითხს აქვს მეორე მხარე — კონტროლის პალატამ ეს საკითხი დასვა?! კონტროლის პალატამ აბსოლუტურად განსხვავებული საკითხი დასვა გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტიდან არამიზნობრივად იხარჯება თანხები. ჯანდაცვის სამინისტროს ეს ნაბიჯი კი, რომელიც ერთი კვირის წინ გაჟღერდა აბსოლუტურად არაადეკვატურია იმ დასკვნისა, რაც კონტროლის პალატას ჰქონდა. ამ მიმართულებით რეალურად არაფერი



არ გაუკეთებია სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში, ჯანდაცვის სამინისტროს. აქაც მენტალური პრობლემის შედეგია ის არაადეკვატურობა, რაც გამოიხტა კონკრეტულ შემთხვევაში. დაისვა კონკრეტული პრობლემა, მაგრამ პასუხი არ გაეცა მას, ანუ ყურადღების სხვა თემაზე გადატანის მცდელობაა. ეროვნული ბანკის და ჯანდავის სამინისტროს მიერ ინიცირებული კარგი რეგულაციაა ეს, მაგრამ რა პრობლემაც კონტროლის პალატამ დასვა, ამას ვერ მოუვლის. ვერც იმ პრობლემას მოაგვარებს, რომ რეალურად სახელმწიფო ტენდერით ხელისუფლებამ შექმნა მონოპოლიური მდგომარეობები სადაზღვევო კომპანიებისთვის კონკრეტული რეგიონის ჭრილში, რომელიც პირდაპირ ლახავს ადამიანის უფლებას აირჩიოს დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ სადაზღვევო კომპანია ან შეცვალოს ის კომპანია, რომლის სერვისიც მას არ აკმაყოფილებს. უმწეო, რომელიც ვერ იღებს შესაბამის სერვისს სადაზღვევო კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობიდან, იგი მოკლებულია შესაძლებლობას ერთი კომპანიიდან მეორეში გადავიდეს. ჩვენი მიზანი უნდა იყოს სისტემის ეფექტურად მუშაობა და რაც შეიძლება ნაკლები თანხის დახარჯვა, ანუ ოპტიმალური ფასის და ხარისხის უზრუნველყოფა საზოგადოებისთვის. არც ხარისხი და არც სერვისი ოპტიმალური არ გვაქვს, არჩევანის თავისუფლება არ გვაქვს და ყველა ამ სიკეთესთან ერთად ერთ-ერთი მარეგულირებელი კონტროლის პალატა ამბობს, რომ თურმე თანხასაც კი არ ვხარჯავთ მიზნობრივად სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რაღაც რომ გამოსწორდეს და ვთქვათ ფული მართლა არაეფექტურად დავხარჯეთ, ამაზე ვიღაცამ პასუხი ხომ უნდა აგოს, ვერ დავინახე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის წვლილი ამ ყველაფერში. წარმოუდგენელია კონტროლის პალატამ თქვა რამდენიმე ათეული მილიონი არაეფექტურად დაიხარჯაო, ეს ხომ საზოგადოების მიერ გადახდილი თანხაა, ეს ხომ ხელისუფლებას შთამომავლობით არ ერგო, სამწუხაროდ, პასუხისმგებლობის გრძნობა საქართველოში არ არის. ჩვენთან ყველაფერი არის დახურული, დაფარული ისევ და ისევ იმიტომ, რომ ვიღაცამ სამომავლოდ დაშვებულ შეცდომებზე პასუხი არ აგოს, ბოდიშის მოხდა არ მოუწიოს. ხელისუფლება, პოლიტიკური ისტებლიშმენტი როცა ბოდიშის მოხდას ისწავლის და ამის შემდეგ ცრუ დაპირებების არგამეორებას, ამის შემდეგ დაიწყება პრობლემების გამოსწორება, ავადობის დაძლევა. რეალურად არაფერი შეცვლილა — კონტროლის პალატის დასკვნამდე და დღეს არსებული სიტუაცია აბსოლუტურად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. უფრო მეტიც, ახალი ინიციატივა, რომელიც გააჟღერა სახელმწიფომ ითვალისწინებს პენსიონერების დაზღვევას. ამას მოჰყვა ახალი ინიციატივა დამქირავებლის სავალდებულო პასუხისამგებლობის შემოღების შესახებ. სიახლე კარგია, მაგრამ ეს თუ დავნერგეთ იმ მანკიერ სისტემაში, რაც გვაქვს სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო პროგრამის სახით, პრობლემებს არათუ შევამცირებთ, არამედ პრობლემების გავრცელების არეალს გავზრდით. უნდა შევცვალოთ რაც შესაცვლელია, ვაღიაროთ შეცდომა, ვაგოთ პასუხი და გამოვასწოროთ სიტუაცია. მარტივად რომ ვთქვათ, კონტროლის პალატის დასკვნა ასეთია — სახელმწიფომ გადაუხადა სადაზღვევო კომპანიებს იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე საჭირო იყო. 6 თვის შემდეგ სახელმწიფო უხდის ისევ იმდენს, რასაც უხდიდა კონტროლის პალატის დასკვნამდე. კონტროლის პალატამ დღესაც რომ ჩაატაროს მოკვლევა, დარწმუნებული ვარ შედეგი იგივე იქნება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ისევ არაეფექტურად ვხარჯავთ სახელმწიფოს ფულს. ჩვენ არავის არაფერზე პასუხს არ ვაგებინებთ, ეს ავადობის ნიშანია, აბა, რაა. აქ პასუხისმგებლობის მომენტი ძალიან დაჩლუნგებულია. ჩვენ გვაქვს გარკვეული პრობლემები, რომელსაც მკურნალობა თუ არა პროფილაქტიკა მაინც სჭირდება. მედიცინაში ასეა —არის ძირითადი დაავადება, რომელიც შემდგომში იწვევს სხვადასხვა დაავადებას. მაგალითად, გულის დაავადება იწვევს ბევრ სხვა თანმდევ გართულებებს. ასეა, ჩვენს საზოგადოებაშიც. ჩვენი მთავარი პრობლმა მენტალური პრობლემაა, არასწორი ღირებულებით კატეგორიების შერჩევა, პრიორიტეტების არასწორად წარმოჩენა. ეს ყველაფერი იწვევს ქვე-დაავადებებს, ქვეგართულებებს, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ეკონომიკური ნევროზით, სოციალური იშემიით, საგარეო პოლიტიკის სახსრების ტკივილით და ა.შ. მაგრამ მთავარი მაინც ტვინიდან, გონებიდან იწყება — რამდენად სწორად მოვერევით ამ ჩვენს ავადმყოფობას. თუ დავსვამთ სწორ დიაგნოზს და მკურნალობას დავიწყებთ, თანდათან ავალაგებთ იმ ქვედაავადებებს და შესაძლებელი იქნება უმთავრესი პრობლემის მოგვარება.

**ოთარ ხუფენია:** ავად არის არა მარტო ჯანდაცვის, ეკონომიკის სფეროც. სამი წელია მსოფლიოში კეთილგანწყობილი ძალები გვეუბნებიან ანტიმონოპოლიური სამსახური შექმენით, თორემ ეს მონოპოლია შეგჭამთ და აქეთ დაამარცხებს სახელმწიფოსო. ეს ხომ ანბანია, მესამე კურსზე ასწავლიან ბაკალავრებს. არ გეჩვენებათ, რომ შეგნებულად არ იქმნება ეს სისტემა? — რა თქმა უნდა ასეა იმიტომ, რომ ასეთი სისტემის შექმნა მართლაც ანტიკორუფციულია და ელიტური კორუფციის საწინაალმდეგოდ ორგანიზაციული სისტემები. ეს არის ის, რის გამოც ეს ადამიანები ამ სისტემებს არ ქმნიან.


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# qveyana avadaa _ `saerTo gazeTi~ konsiliums iwvevs

**ლევან კალანდაძე, ეკონომიკის ექსპერტი:** გეთანხმებით ბატონო ოთარ, ავადობის კიდევ ერთი მაგალითია ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება ქვეყანაში. მახსოვს რა ამბავი ატყდა მაშინ, ანტიმონოპოლიური სამსახური ქვეყნის მთავარ დამაქცევრად მონათლეს. ბოლო 5 წლის მანძილზე გვიმტკიცებდნენ, რომ ქვეყანაში მონოპოლიები არ არსებობს, შესაბამისად ანტიმონოპოლიური პოლიტიკა ქვეყანას არ სჭირდებაო. 2 დღის წინ კი ვიგებთ, რომ მთავრობა საკანონმდებლო ინიციატივით შევიდა პარლამენტში მკაცრი ანტიმონოპოლიური ორგანოს ჩამოყალიბების. ეს კარგია, მაგრამ ჯერ გავაანალიზოთ რა შეცდომა იყო დაშვებული, რატომ გაუქმდა ეს სამსახური ა.შ. თუ ჩვენ ამ ყველაფერს „რადი გალაჩკი" ვაკეთებთ ეს არასწორია. თუ ანტიმონოპოლიურ სამსახურს ქვეყანაში მხოლოდ იმიტომ ვქმნით, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროპასთან ხელშეკრულება გვაქვს გასაფორმებელი და ეს ევროკავშირის მოთხოვნაა, ეს კიდევ უარესია. ანუ საქმეს ვაკეთებთ არა საქმისთვის, არამედ იმისთვის, რომ ეს ვიღაცას სჭირდება. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი მიქმნის შთაბეჭდილებას, რომ ქვეყანაში ნომერ პირველი პრობლემა არის არა ეკონომიკა, არა ტერიტორიული მთლიანობა, არა სოციალური სფერო, არამედ მენტალობა. სანამ ეს პრობლემა არ მოიხსნება, ვერც ეკონომიკას გავაჯანსაღებთ, ვერ სოციალურ სფეროს, მითუმეტეს ვერ დავიბრუნებთ ტერიტორიებს. მენტალურ პრობლემაში ერთ-ერთი იმასაც ვგულისხმობ, რომ ჯერ უნდა ვაღიაროთ შეცდომა, ძველი დაჯღაბნილი ფურცლები რვეულიდან ამოვხიოთ და მართლაც სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ შენება. მაგრამ სუფთა ფურცლიდან იმ ძველი მენტალობით ვერ დაიწყებ, რამაც ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა. ავიღოთ თუნდაც ეკონომიკური ზრდის მაგალითი – 2004 წლიდან ქვეყანაში ეკონომიკა სერიოზულად იზრდება, ზრდა დაფიქსირდა ომის პერიოდშიც, მაგრამ ჩვენ გვავიწყდება, რომ თანამედროვე მსოფლიო ძალიან დიდი ხანია გამოვიდა ამ სტერეოტიპებიდან, როცა წარმატებულობა მხოლოდ მ.შ.პ.-ს ზრდით იზომებოდა. წარმატებულობა ნიშნავს ეკონომიკურ ზრდას პლუს განვითარება. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ზრდა განვითარების გარეშე, ისე როგორც მედიცინაშია – როცა იზრდება სხეული, მაგრამ იგი ვერ ვითარდება და საბოლოო ჯამში არასრულფასოვან ბავშვს ვიღებთ – გაზრდილს, ლამაზს, მაგრამ განუვითარებელს. ჩვენი საზოგადოებაც მათ შორის ეკონომიკაც სწორედ ასეა. რა არის ჩვენთვის მთავარი? – ის, რომ ინფლაცია იყოს 8 პროცენტი და მ.შ.პ.-ს ზრდა დაფიქსირდეს 7 პროცენტი წლის განმავლობაში, თუ ის რომ თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა, საოჯახო ბიუჯეტი გაიზარდოს. ჩვენ საბოლოო ჯამში ვიღებთ გაზრდილ ეკონომიკას, მაგრამ განუვითარებელ, ცარიელ საფულეებს. ჩემთვის ასეთი ზრდა ნამდვილად არ არის პრიორიტეტული. მირჩევნია ეკონომიკური ზრდა დაბალი იყოს, მაგრამ გარანტირებული იყოს თითოეული ადამიანის კეთილდღეობა.

**სოსო არჩვაძე, ეკონომიკის ექსპერტი:** მინდა მოგახსენოთ როგორ გამოიხატება კონკრეტულად ქვეყნის ავადობა ციფრებში – ნებისმიერი ხელისუფლების ისტორიული წარმატებულობა ასე განისაზღვრება – რა ტერიტორია ჩაიბარა მან მოსვლისას და რა სიტუაციაა მისი ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო პერიოდში. თუ ტერიტორიები შემცირდა, რაც არ უნდა კარგად იყოს ეკონომიურად საქმე, ეს წარმატებად ვერ ჩაითვლება. ასევე თუ მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა



და არ გაიზარდა, ესეც განმსაზღვრელი ფაქტორია. დღეს მოსახლეობის საშუალო ასაკი 7 წლით მეტია ვიდრე, ეს 20 წლის წინ იყო. მოსახლეობა მიდის აბსოლუტურად სიბერისკენ. ჩვენი მოსახლეობა 8 წლით უფრო ხანდაზმულია, ვიდრე აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის მოსახლეობა, ანუ ეს ნიშავს, რომ ნაკლებად შრომის, ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა გვყავს და გაცილებით მეტი პენსიონერი. აქვე უნდა აღინიშნოს, 1962 წელს 100 ათასი ბავშვი დაიბადა, მაგრამ მოსახლეობა იყო თითქმის იგივე რაოდენობის, რაც დღესაა ოფიციალური სტატისტიკით, შობადობა ორჯერ და მეტადაა შემცირებული. რაც შეეხება შემოსავლებს, 2010 წელს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით 618 ათასი ადამიანი დაქირავებით დასაქმებული იყო, 80-იანი წლების ბოლოს კი ეს რიცხვი 2 მილიონ 100 ათასზე მეტს შეადგენდა. ფაქტობრივად 3,5 შემცირებული დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, რაც ნიშნავს, რომ ხელფასების ჯამური ფონდიც მნიშვნელოვნადაა შემცირებული. ოფიციალურად, ოჯახი, სადაც ერთი წევრი მაინც ღებულობს ხელფასს 34 პროცენტს შეადგენს. თანაც ხელფასების ნაწილს ინფლაცია ჭამს. შარშანდელთან შედარებით თვითმფრინავით მგზავრობა 90 ლარით გაიაფდა, მაგრამ რამდენი პროცენტი მგზავრობს საქართველოში თვითმფრინავით? – 7-8 პროცენტი, სამაგიეროდ ამავე პერიოდში წიწიბურა გაძვირდა 3-ჯერ – 195 პროცენტით, დასუფთავების ხარჯები გაძვირდა – 80 პროცენტით. ამიტომ თვითმფრინავით მგზავრობის გაძვირება თუ გაიაფება ნაკლებად საგანგაშოა მოსახლეობის ფართო მასებისთვის, ვიდრე პროდუქტის ფასების



ზრდა. ამით განსაკუთრებით, პენსიონერები ზარალდებიან.

**ოთარ ხუფენია: სოციალური ეკონომიკის ექსპერტი:** – ეს არის პენსიების პიარ-მომატება, რეალურად, 20 ლარიანი დანამატი პრაქტიკულად უკვე შეჭმულია.

**სოსო არჩვაძე:** ამასთან დაკავშირებით ზღაპრიდან ერთი პასაჟი მახსენდება: დედა კურდღელმა ბაჭიებს ჰკითხა: ძუძუ საააამი დღე გაწოვოთ, თუ სამი თვეო. ბაჭიებმა უპასუხეს: – საააამი დღეო. დაახლოებით იგივე დამოკიდებულებაა პენსიაზე – ააათი ლარით გაიზარდა, ბაჭიების როლში გამოდიან ჩვენი პენსიონერები.

**ლევან კალანდაძე:** მინდა შევეხო სახელმწიფოებრიობის შენების საკითხს. არ ვღიზიანდები პრეზიდენტი შადრევნების, ფასადების, ვენახების თემით რომ ინტერესდება. მე სხვა რამეზე ვღიზიანდები, არასწორად და არაადეკვატურად მიმაჩნია, რომ პრეზიდენტი მხოლოდ ამ თემებზეა ფოკუსირებული, მეოთხე-მეხუთე ხარისხოვანი თემები წინა პლანზეა წამოწეული. დღეს მართლაც გვაქვს სახელმწიფოებრიობის პრობლემა. არაერთხელ თქმულა, რომ სახელმწიფო, დემოკრატია საქართველოში შედგა, რეალურად, სახელმწიფოს შედგომისგან ძალიან შორს ვართ. ვფიქრობ, რომ, პირველ რიგში, უნდა დავსვათ სწორი დიაგნოზი რა გვჭირს. უნდა ვთქვათ რა არის ჩვენი პრობლემა, მოვიხადოთ ბოდიში იმ შეცდომებისთვის, რაც დაუშვით და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყოთ ფიქრი რა და როგორ გავაკეთოთ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკაში. პოლიტიკოსებს ახასიათებთ საუბარი მომავალზე, საზოგადოებისთვის დაპირებების გაცემა, ხვალინდელი დღის ლამაზად წარმოჩინება, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ხვალინდელი დღე გუშინდელი დღის სარკეა. თუ გუშინდელ პრობლემებს არ მოვაგვარებთ ხვალინდელი წარმატებები ყოველთვის კითხვის ნიშნით ქვეშ იქნება.

**სოსო არჩვაძე:** შეიძლება კატეგორიული იყოს ჩემი შეფასება, მაგრამ თავის დროზე ჩვენ შედარებით იოლად შევხედეთ სახელმწიფოებრივ მშენებლობას. თურმე არც ისე ადვილი ყოფილა სახელმწიფოებრიობის მშენებლობა. ეს უფრო საცივის დამზადების ტექნოლოგიას ჰგავს, სადაც საჭირო სანელებლები შესაბამისი რაოდენობით უნდა გამოიყენო, რაც საკმაოდ რთული პროცესია. დღეს დაშლილია ერთიანი ბაზარი და ჩვენი ეკონომიკა გატეხილი ვარცლის წინაშე აღმოჩნდა, მაგალითად 80-იანი წლების ბოლოს შეგვეძლო 1 კილოგრამი მანდარინის საქართველოდან გატანით 2-3 ლიტრი ბენზინი შემოგვეტანა, დღეს ერთი ლიტრი ბენზინი რომ შემოვიტანოთ სულ მცირე 3 კილოგრამი მანდარინი უნდა გავიტანოთ. ჩვენ გვჭირდება 4-5-ჯერ მეტი შრომა იმისათვის, რომ ქვეყნის მოთხოვნილებები საწვავზე დავაკმაყოფილოთ, რამაც გავლენა მოახდინა ჩვენს საერთო კეთილდღეობაზე. სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეფიციტი ეს არის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, რომელიც ამცირებს ნებისმიერი გადაწყვეტილების სახელისუფლებო თუ ყოფით ეფექტურობას. სახელმწიფოზე ზრუნვა ალბათ ევალება არა ხელისუფალს, არამედ რიგით მოქალაქესაც. ასე, რომ ხელისუფლება არსებობს ხალხიდან, მათი ინტერესების განსახორციელებლად. თუ არ იქნა მუდმივი კრიტიკული პოზიციის გამოხატულება, ყოველთვის ვიქნებით სახელმწიფოს თამაშების მძევალი და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უბრალოდ შემსრულებლები, აღმასრულებლები და არა აქტიური სოციალური ძალა.

**ოთარ ხუფენია:** სეთურიზმის ნიშანია, როდესაც ერთ ყულაბაში, ანუ ბიუჯეტიდან ხდება ვიღაცის ნება-სურვილით თანხების გადანაწილება. ცალსახაა, რომ პენსიონრებზე თანხის მომატება პირდაპირ საარჩევნო პროცესს უკავშირდება. მოსახლეობა წლებია არჩევანს ტომარა ფქვილის, ფულადი მოწყალების მიხედვით აკეთებს, ესეც ერის ავადობის ერთ-ერთი ნიშანია. ისევ ხმების სანადიროდ გაჟღერდა თეზისი – ყველა პენსიონერს სადაზღვევო პოლისს უყიდითო. მამაცხონებულებო, 900 ათასი პოლისი რომ იყიდება და ათეულობით მილიონი რომ მოიპარეთ, ამ სისტემაში რამე შეცვალეთ? – ვეკითხები პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და ჯანდაცვის მინისტრს. არა, პირიქით დამალეთ აქტი, რათა არ გეჩვენებინათ, რომ თანხა მოპარულია. ახლაც იგივე მოხდება, პოლისებს იყიდიან ბიუჯეტის ფულით, დარჩება აბსოლუტურად იგივე კორუფციული სისტემა, ანუ იგი უფრო ელიტარული და პირამიდული გახდება. ხელისუფალი 2012 წელს პენსიონერს




პოლისს მიუტანს და ამით შეუკვეთავს საარჩევნო ხმას. ავადობის კიდევ ერთი დიდი სიმპტომია ის, რომ სტატისტიკით გვყავს 30 ათასი პატიმარი და 300 ათასამდე აპრობაციონერი. სულ დარჩენილი ვართ 3,5 მილიონი. 330 ათასი ადამიანი სამართლებრივ დევნას განიცდის, რაც დაჭერილების ოჯახის წევრებზეც ვრცელდება. გამოდის, რომ სულ ცოტა ერთი მილიონი ადამიანი სამართლებრივი დევნის ქვეშაა, რაც აქ დარჩენილი მოსახლების ერთი მესამედია, ხოლო მილიონ რვაასი ათასი რეგისტრირებული მათხოვარი გვყავს. რა ქვეყანა ავაშენეთ, რა ნაცია ვართ – მათხოვარი და კრიმინალები? სინამდვილეში ეს ემსახურება ხელისუფლების ავტორიტარიზმის განმტკიცებას. ეს არის გამიზნული ქმედება ნაციის დაჩაჩანაკების, მისი ღირსების ართმევის, რადგან ასეთი მასა ადვილი სამართავია. ეს რომ საზოგადოების სამსჯელო არ არის ესეც ავადობის ნიშანია.

**სოსო არჩვაძე:** ეს იმას ჰგავს ტყვეებს რომ გაიყვანდნენ და ნიჩბით ათხრევინებდნენ საკუთარ სამარეს. რატომაა რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოხატავს უკმაყოფილებას, მაგრამ არჩევნების დროს მაინც ხმას აძლევს მათ? – საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ პოლიტიკა მისი საქმე არ არის, ზოგს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს. ვერ ნახავთ სამთავრობო სტრუქტურას, სადაც ევროკავშირის დროშები არ ფრიალებდეს, მაგრამ ევროკავშირისკენ ყურება უნდა გამოიხატებოდეს არა კაბინეტებში დროშების დაკიდებით არამედ ფასეულობების მხრივ. საჭიროა არსებითი ცვლილება – სისტემა უნდა ემსახურებოდეს ადამიანს და არა პირიქით.

**ოთარ ხუფენია:** ავადობის ერთ-ერთი ნიშანია, როცა პრეზიდენტი არქიტექტორი ხდება და საზოგადოებას ამაზე რეაქცია არა აქვს. დავით აღმაშენებლის ძეგლი ავიღეთ – უდიდეს ქართველს, წმინდანს შეურაცწყოფა მივაყენეთ და საზოგადოებას არც ამაზე აქვს რეაქცია. ავტოინსპექტორივით რომ დგას დავით აღმაშენებელი და ხალხს რეაქცია არა აქვს, ავად არის ასეთი საზოგადოება, აბა რა ჯანდაბაა? მაინცდამაინც დედა უნდა აგინო კაცს პირში, რომ რეაქცია ჰქონდეს? წინაპარს რომ გილანძღავენ თუ ჯანმრთელი და ღირსეული ხარ შეურაცყოფად არ უნდა მიიღო? რა უნდოდა დავით აღმაშენებლის ძეგლს ქუთაისში ვაგზლის ტერიტორიაზე, ვაგონის გამცილებელია? ფასეულობების სისტემა რომ დაინგრა – ესაა ავადობის ნიშანი. ღირსებას რომ მართმევ, რა ქვეყანას მიშენებ სამაგიეროდ – ეს კითხვა ხომ უნდა დაისვას. უბედურებაა რომ ამაზე ფიქრი არ აწუხებს საზოგადოებას, ყველა უკეთურობა რაც შენს ქვეყანაში ხდება, თუ არ გაწვალებს, არ გაწუხებს, მაშინ ავადმყოფი ხარ. გახსოვთ, ალბათ კაკაბეთის ზარები, ქართველმა კაცმა არ მიიღო ის, რომ ბავშვი გაიტაცა ვიღაცამ, ანუ შეაწუხა საზოგადოება ამ ფაქტმა. ეს იყო ჯანსაღი საზოგადოების ჯანსაღი რეაქცია და პროცესი შეჩერდა, აღმოიფხვრა.

**ლევან კალანდაძე:** ერთან ერთად ავადობის პრობლემა აქვს პოლიტიკოსებსაც, მთავარია საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციის აწყობა, მასთან მართლად ყოფნა. ისინი მიეჩვივნენ ადამიანებისთვის დაპირებების გაცემას, რომელზეც მერე არასოდეს აგებენ პასუხს. პოლიტიკური ისტებლიშმენტი საზოგადოებას ჯერ 2009-ში, მერე 2010-ში, ახლა 2012-ში პირდება ხელისუფლების შეცვლას, რაც არასწორია. ამაზე პასუხი არავის უგია, არავინ გამოსულა და არ უთქვამს – იცით რა, მე დაგპირდით, მაგრამ ვერ შევცვალე ეს ხელისუფლება და მაპატიეთ. პოლიტიკური ისტებლიშმენტის პრობლემა სწორედ ის არის, რომ ისინი საზოგადოების პარტნიორებად ვერ იქცნენ, ისე როგორც საზოგადოება ვერ აქციეს თავის პარტნიორად. ძალიან მიჭირს ამაზე საუბარი, მაგრამ საზოგადოებაც არაადეკვატურია. დღეს საზოგადოებას აქვს შეკვეთა, მისთვის მთავარი პრიორიტეტი მისი ოჯახი და კეთილდღეობაა. ყოველთვის უნდა ვიცოდეთ, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა არ იწყება ჯარიდან, აშენებული ხიდებიდან ან ტრამპ-ტაუერიდან ბათუმში, არამედ მისი პირადი, ერთი კონკრეტული ოჯახის კეთილდღეობიდან. პოლიტიკა უნდა მოვარგოთ ადამიანებს, კონკრეტულ ერთ მეწარმეს, ერთ მცირე ბიზნესს და ა.შ. – ასეთი ქვეყანა იქნება წარმატებული.

**სოსო არჩვაძე:** სამწუხაროდ, ეს ავადობა არ არის ბოლო რამდენიმე წლის შედეგი, ახლა უბრალოდ გაშიშვლდა და უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ამას უნდა კომპლექსური მიდგომა და მთელი ერის მობილიზაცია. მახსენდება შოთა ნიშნიანიძის ლექსი: „ერო, გული წაგვსლია და გაგძრომია სული წმინდა, გონებაზე რომ მოხვიდე ასი ალიყური გინდა". ვიღაც მამა ოხროხინე ჩვენთანაც უნდა გამოჩნდეს და მთელ ერს შემოულაწუნოს.

**თამარ შველიძე**

როცა თუნდაც უბრალოდ ადამიანზე ვამბობთ - ბრწყინავდა ისე გამოიყურებოდაო, რა თქმა უნდა ვგულისხმობთ შინაგანი, ამაღლებული განწყობილების გამოსხივებას და არა გარეგნული სამკაულების ბრჭყვიალებას. ივერიის გაბრწყინება აქ მყოფი ხალხის და ეკლესიის სულიერ გასუფთავებას ნიშნავს, ეს ღვთის მადლის გარეშე შეუძლებელია, ღვთის მადლი კი მხოლოდ ცოდვების მონანიება-დატევებით და ღვთივსათნო ცხოვრებისთვის ჯილდოდ მიიღება. ივერია გაბრწყინდება ნიშნავს, როცა ყველგან „დაბნელდება", აქ იქნება ერთადერთი ჭეშმარიტი ღვთის, ყოვლადწმინდა სამებისა და ღვთისმშობლის მართლად მადიდებლობა და ეს სინათლის და სიმართლის სვეტად აღვალს კოსმოსში დედამიწიდან. ამ მიწაზე ეს მაინც მოხდება და აღსრულდება, იმიტომ, რომ ეს აღუთქვა უფალმა ღვთისმშობელს — „ერი ესე საზეპურო მომავალში გაბრწყინდების", — „ცანი და ქვეყანაი წარხდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარხდენ;" მაგრამ ჩვენ სად ვიქნებით ამ დროს, თითოეულის არჩევანზეა დამოკიდებული. თუ ებრაელებივით განვუდგებით, უფალი „ქვებისგან" დაბადებს დაცვის ახალ წევრებს. აღთქმულ ქვეყანაში უფალმა ისრაელი მაინც შეიყვანა, თუმცა უფლის უმადური — არავინ. დღეს ჩვენ თვითონ ვირჩევთ ჩვენს ადგილს უფლის მარჯვნივ თუ მარცხნივ, რადგან ეხლა მიდის უფლის მიერ დანიშნული არჩევნები ეკლესიის საკითხთან დაკავშირებით. როგორც ბაზრის „შპანა" ატეხავს-ხოლმე ხმაურს, რომ რაღაცა მოიპაროს, ისე ამ შპანას ხალხის ყურადღება გადააქვს კონცერტებზე თუ ტელეშოუებზე, რომ მიაჩუმათონ ყველაზე მნიშვნელოვანი — უფლის მიერ დანიშნული ეს არჩევნები... ღვთის დაშვების გარეშე მნიშვნელოვანი არაფერი არ ხდება და ამათი შეტევა ეკლესიაზე, დაუშვა უფალმა თითოეული ჩვენთაგანის ლუსტრაციისთვის. ეს არჩევნები არ არის ფარული, პირიქით, არჩევანი აუცილებელია ხმამაღლა დავაფქსიროთ, რადგან გულში ქრისტეს აღიარება აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი. უფალმა თქვა - „ვინც მე აღმიაროს ადამიანთა წინაშე, ის მეც ვაღიარო ჩემი მამის წინაშე" — და არა ვინც გულში მაღიარებსო, გული ხომ ისედაც იცის უფალმა. ხმამაღლა აღიარება ის დოკუმენტია, რომლითაც ჩვენს მოწინააღმდეგე ბოროტს დაუყოფს პირს. მოციქული ამბობს: „როცა სჯული არ გქონდათ ცოდვაც არ გეთვლებოდათ, ეხლა, რაკი სჯულში ხართ, ცოდვაც გეთვლებათო"... ის, რაც ჩვენ, დაცვაში მომუშავე ქართველებს პირდაპირპროპორციულად მოგვეკითხება, სხვებისთვის შეიძლება პრობლემა არ იყოს (როგორც ხუთოსანს არასწორად დასმულ წერტილმძიმეშიც აკლდებოდა ნიშანი, სამოსანს კი ერთი წესის დაზეპირებაშიც უწერდნენ სამიანს)... დღეს ბეწვის ხიდზე გავდივართ თითოეული და მთელი ქვეყანა. ახლა ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაში ვართ, ვიდრე გარეგნულად, შეუიარაღებელი თვალით ჩანს. მიდის ხილული და უხილავი, უსასტიკესი ბრძოლა ქართულ სულსა და სატანის ბოროტმორწმუნეთა შორის, ერი სისხლისგან — ძალისგან იცლება, ეს რეალობაა - სატკივარიც უკიდურესი გვჭირს... მაგრამ მადლობა უფალს, წამალი ჩვენს ისტორიაში დევს. „მოვიხსენე დღეთა პირველთაი და ვიწურთიდ."ისტორია ხომ ერის ანკეტაა გადატანილი ინფექციებითა თუ ანალიზებით. საქართველოს ისტორიაში ყველა მნიშვნელოვანი აღმასვლა იწყება ეკლესიის გაწმენდით და გაძლიერებით, და ყველა უბედურება უმაღლეს საერო ხელისუფალთა მართლმადიდებლობიდან და ეკლესიიდან განდგომით. როცა მეფიდან დაწყებული (მისგან გაკვალულ-დაკალაპოტებული გზით) მცირემდე ყველა „უპირველესად ეძიებდა სასუფეველსა ღვთისასა," ქვეყანა „შესაძინელით" სავსე იყო. წმ. ვახტანგ გორგასალმა ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა და განამტკიცა, ქვეყანაც წელში გაიმართა; ბაგრატ-4 მიერ მოწვეულმა წმ. გიორგი ათონელმა



# iveria mainc gabrwyindeba!!!

ლია ამანათაშვილი

მა პირუთვნელად ამხილა მისი შელახული სამართლის სასწორი, რომ „ჰყიდდა საეპისკოპოზთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და მიმოსვლათა შინა აღზრდილთა" დიდებულ აზნაურთა უღირს პირებზე, ამხილა შიმშილობით დაუძლურებელ ქვეყანაზე უმეტესად საკუთარი სახელის „უკვდავყოფაზე" მზრუნველი ეპისკოპოსებიც (ეკლესიიდან ხომ არა მარტო ლოცვის მადლი, ცოდვის ძალაც გადმოდის ერზე) და ბაგრატმა ქვეყნის გაერთიანება დაასრულა; წმ. დავით აღმაშენებელმა გამეფებიდან თოთხმეტი წელი უშედეგოდ სდია თავგასულ თავადებს, აჰყვა მათ სათავეს და დაინახა, რომ ისინი ძალას იღებდნენ ეკლესიაში თავიანთი ნათესავი იერარქებისგან, მათ მიერ ეკლესიის წირვა-ლოცვებში მოხსენიებიდან, რადგან ეკლესიის იერარქია მხოლოდ წოდებრივი პრივილეგია იყო, მოიწვია რუის-ურბნისის კრება და განაყენა უღირსნი და აღამაღლნა მდაბალნი. ურჩი თავადებიც დაიმორჩილა და ეკლესიის მიერ ლოცვით მოზიდული მადლი და ძალა ქვეყანას მოახმარა (და არა იერარქების მიერ მათი „ჩინოვნიკი" ნათესავების გაძლიერებას). წმ. თამარი მაგიტომაც იყო ბრძენი, რომ ისტორია-ანკეტის ანალიზის გათვალისწინებით პირველი ნაბიჯი სწორედ საეკლესიო კრების მოწვევით და გამრუდებული სასწორის გასწორებით დაიწყო (მარილი თუ განქარდეს რიღათი დამარილდეს). წმ. თამარ მეფის დროს „ოჯახი არ იპოებოდა, ცხენი რომ არ ჰყოლოდაო," მაშინდელი ცხენი დღევანდელი „კურსით" მანქანას უდრის. საქართველო იყო ძლიერი და მდიდარი, როცა პირველი პირიდან დაწყებული მცირედმდე, ეკლესიურად ცხოვრობდნენ. წმ. თამარის სასახლის კარზე წირვალოცვაზე დასწრება ყველასთვის სავალდებულო იყოო, „უპირველესად ეძიებდნენ სასუფეველსა ღვთისასა" და არც უფალი აკლებდა შესაძინელს —შემოსულ ხარკს თუ ბარაქას. წმ. თამარის ლოცვით დაიცვა ღვთისმშობელმა საქართველო, როცა მონღოლთა ურდომ გვერდი აუარა. როგორც კი რუსუდანმა პაპს წერილი მისწერა და უნიაში მიღებას შეეხვეწა, ქვეყანას ჯალალედინი მოუვლინა დამსჯელად უფალმა; ადრე მიკვირდა — როგორ იდგა მეტეხის ხიდზე ამდენი ხალხი სიკვდილის რიგში. უყურებდნენ, როგორ ცვიოდა თავები ხიდიდან და მოთმინებით ელოდნენ თავის რიგს. ეს წმ. თამარის დროს განმტკიცებული რწმენა რომ არა, ვით შეიძლებდნენ. მადლობა უფალს მიმახვედრა, რომ ისინი წმ. მოწმეთა გვირგვინებით შემოსა უფალმა და დაიცვა მართლმადიდებლობიდან გარდახდომისგან, რაც შეიძლებოდა რუსუდანის მიერ რწმენის კალაპოტის შეცვლას მოჰყოლოდა, ამავე დროს სწორედ ამ ასიათასის ლოცვით დაიცვა უფალმა ქვეყანა გადაცდენისგან — კალაპოტის შეცვლისაგან. სომხეთის ერთმა პატრიარქმა V საუკუნეში გადაუხვია მართლმადიდებლობიდან და მას შემდეგ მხოლოდ „თვითონ" იციან საით მიდიან. უშეცდომოდ არავის უცხოვრია, პირადი ცოდვის მონანიება-აღიარებით მისი გამოსყიდვა შეგვიძლია, ერის შეცდომას კი საბედისწერო დაცემა შეიძლება მოჰყვეს, რომელსაც მოთქმით ბღავილიც ველარაფერს შველის. როცა ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლს ზღვიდან უთვალავი გემი მოადგა, პატრიარქმა ყველა ეკლესია-მონასტერი ფეხზე დააყენა, ქალაქის გალავანს ლიტანიობით შემოატარეს ჯვრები და ხატები, მთელი ღამე ლოცულობდა ქალაქი, დილით ისეთი ქარიშხალი ამოვარდა ზღვაზე ერთიანად შთანთქა მთელი ფლოტი, ამბის წამღები ორი გემი ძლივს გადარჩა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა კვლავ დაუდგა განსაცდელი კონსტანტინეპოლს, მისმა წინამძღვრებმა დაივიწყეს უფალი და პაპთან აფრინეს თხოვნა-მუდარა ჯარის მოსაშველებლად, იმ დახმარების მოლოდინში ბიზანტია თურქეთმა გადაყლაპა. სანამ არ მივხვდებით და არ მოვეშვებით მიშა გვიშველე, გრიშა გვიშველე, ნატო გვიშველე და კატო გვიშველეს, და არ ავიხედავთ და არ ვეტყვით უძღები შვილის მოთმინებით მომლოდინე უფალს — ღმერთო, შეგვიწყალე და გვიშველე, მანამდე ვივლით ერთი და იგივე წრეზე, როგორც უდაბნოში ისრაელიანები...

ეკლესია-მონასტრები ის სკებია, სადაც ნამდვილი ღვთისმსახურები, მუშა ფუტკრები (და არა ზარმაცი ფუტკრები — მსახიობი მონაზვნები), დაუძინებელი ლოცვა-შრომით ღვთის მადლს, ძალას მოიზიდავენ-მოიხვეჭენ, მერე გარეთ ჩვენ გვინაწილდება. ეს მადლი-ძალა არის ყველა ქმნილების და მითუმეტეს, ღვთის ხატის, ადამიანის სასიცოცხლო საწვავი ენერგია. დაცემულ სულებს მისი მიღების უფლება რომ აღარა აქვთ, იყენებენ-ართმევენ ადამიანებს (როგორც მთვარე სინათლეს მზესართმევს). ვის მოტყუებით, ზოგს თავისი გადაგვარებული ნებით თუ სიბრიყვით, მათს სამსახურში ჩამდგრებს ისევ სხვა ადამიანთა წინააღმდეგ ამოძრავებენ. ჩვენი უმძიმესი მდგომარეობის სათავე არის ის, რომ დღეს მთელი ძალა რასაც ლოცვით მოიზიდავს ეკლესია, მიდის ამ სატანისტური მთავრობის სახელზე-ანგარიშზე. კვეთა-ბარძიმში მოხსენიებით მიღებული ძალით ისე გაძლიერდნენ, ისე გაიდგეს ფესვი, ისეთი ობობას ქსელი შემოახვიეს ქვეყანას, რომ ყველა ვხედავთ, ვერსად ვერ გავწყვიტეთ, და ხუთივე მილიონიც რომ გამოვიდეთ, ვერაფერს ვერ გავხდებით მანამ, სანამ წირვალოცვაში ამათი მოხსენიებით მთელ მადლს იჯიბავენ ესენი (აქამდე შევარდნაძესთან, ახლა სააკაშვილთან, უბედურება ისაა, რომ პერსპექტივაში ჩანს, შემდეგს ვისაც ჩარგავენ მასონები მასთან გადაინაცვლებს მისი მოხსენიებით და წავალთ ისევ ახალ წრეზე). ჩვენგან განსხვავებით, სამწუხაროდ, ეს ძალიან კარგად იცის სააკაშვილმა მისი „განმანათლებლებისგან"- რომ მისი ძლიერება (ბიბლიური სამსონის თმებივით) სწორედ ეკლესიის მოხსენიებაშია. გაიხსენეთ, რა ქნა 25 ნოემბერს სახალხო კრებაზე — არაფრის დაცვაზე არ შეუწუხებია თავი, მხოლოდ უწმინდესს მოჰკიდა ხელი და ბათუმში წაიყვანა. უწმინდესი, ერთის მხრივ, იძულებულია სჯული აღასრულოს, როგორც ბიბლიურმა ლოტმა, რომელსაც მთის წვერზე დარგული ხის მოსარწყავად დოქით ატანილ წყალს შემომხვედრი



კაცი სთხოვდა დასალევად, სჯულის გამო იძულებული იყო წყალი მიეცა. ის ბოროტი სული კაცის სახით, მთლიანად ხვრეპდა დოქს და ლოტი ხეს თავისი ცრემლებითღა რწყავდა. უწმინდესი იძულებულია სჯული აღასრულოს და ესენი ლოცვაში მოიხსენიოს, მეორე მხრივ, როგორც გულმოწყალე მამა უმეტესად ზრუნავს ავადმყოფი შვილისთვის და იმედოვნებს, რომ ოდესმე ესენიც მოიქცევიან; გარკვეული პროცენტი ზეწოლა და შიშიცაა, რაღაც წილი პირად ნებაზეა. მანამდე კი ჩვენ ქვეყნის ნანგრევებში უწმინდესის მიერ გადადგმული ნაბიჯები ცრემლებად-გამაყუჩებლებადღა გვხვდება. გამოსავალი მხოლოდ ერთია — ეკლესიამ შეწყვიტოს ამათი მოხსენიება წირვა-ლოცვაში!.. მამა გაბრიელმა მრევლს კითხვაზე: მთავრობა და მხედრობა როგორ მოვიხსენიოთ? უპასუხა: „მთავრობა და მხედრობა, როცა მეფე იყო, მაშინ იხსენიებოდა. რადგანაც ახლა მეფე არ არის, არ არის საჭირო. მწვალებლებზე იმიტომ ლოცულობენ, რომ მოიქცნენ და ჭეშმარიტების გზას დაადგნენ. ეს მთავრობა და მხედრობაც მათთან ერთად უნდა იხსენიებოდეს, რათა ჭეშმარიტების გზას დაადგნენ." „დემოკრატია ჯოჯოხეთშია, ხოლო ზეცად მეფობა სუფევს" (წმ.იოანე კონშტადტელი). ეკლესია ამხელდა ნაკურთხ მეფეებსაც (გრიგოლ ხანძთელი აშოტ კურაპალატს) და წირვა-ლოცვაში მოხსენიებით მიცემული მადლის ცოდვაში გაფლანგვისთვის მკაცრადაც მოჰკითხავდა. ესენი ეკლესიას არ უკურთხებია, მაგრამ გამუდმებით აძლევს მადლს ბარძიმში მოხსენიებით ჩვენი, ხალხის წილიდან და ვერც პასუხს ვერ სთხოვს სიწმინდეთა შეურაცხყოფისთვის. როგორც ბიუჯეტის თანხებს ანაწილებენ და ხარჯავენ უსამართლოდ და ჩვენივე საწინააღმდეგოდ, მერე კი ისევ ჩვენი კისრიდან იღებენ, ასეა აქაც — ეკლესიის მიერ მოხვეჭილი მადლი არ ნაწილდება სამართლიანად, რადგან უმეტესი მიდის ამათ სახელზე, იმასაც ეს სატანისტები ისევ ჩვენივე შესაკვრელად იყენებენ. მათ მიერ მადლის შეურაცყოფისთვის ღვთის რისხვა კი მთელ ერზე გადმოდის — ეს ამდენი წყალდიდობები და ბუნებრივი კატაკლიზმები ხომ ღვთის სასჯელებია. განა ისევ ჩვენთვის არ გვითხრა უფალმა — „ნუ დაუყრით ღორებს მარგალიტებს, შემობრუნებულებმა რომ არ გადაქელონო?" ღვთივდადგენილ მეფეზეც კი, თუ იგი გარდახდებოდა სჯულის კანონს და დედა-ეკლესიას იქედნეს ნაშიერივით მოექცეოდა, ეკლესიას აქვს უფლება შეწყვიტოს ასეთი მეფის მოხსენიება და ანათემასაც კი გადასცეს. მით უმეტეს დღეს, ამათი „შემობრუნების" საფუძველზე, მოხსენიების შეწყვეტა არა მხოლოდ საკმარისი — აუცილებელია; მეორე მხრივ, იმიტომაც დაუშვა უფალმა ეს შეტევა ეკლესიაზე, რომ ამათ თვითონ მოიჭრან ის ტოტი, რომელზეც ზიან. ეს შეტევა უფლებას აძლევს ეკლესიას მოგვკვეთოს ეს ავთვისებიანი სიმსივნე, რადგან დროში გამოიკვეთა, რომ კეთილთვისებიანად არ გადაგვარდება. რატომ ვიკვეთთ ავთვისებიან სიმსივნეს ჩვენივე სხეულიდან, ხომ ჩვენივე ორგანულია, რახან გაჩნდა, ხომ აქვს არსებობის უფლება? თუ რუსეთმა შემოგვიგდო? მაგრამ ვიცით, რომ თუ დროზე არ ამოვიჭრით, შეჭამს ჯანმრთელ უჯრედებს და მოგვკლავს. იგივეა სატანურმასონური აზრები, სიტყვები თუ ქცევები, სულ ერთია, გუშინ შევარდნაძე რომ ეჭირა რუპორად, დღეს სააკაშვილი თავისი ბანდით და ხვალ რაფინირებულ ალასანიას რომ აიფარებს, დროში შეჭამს ყველა ჯანმრთელ უჯრედს სულში — სიყვარულის, დახმარების, მოწყალების, თავდადების, მამულიშვილობის, მადლიერების და საერთოდ, სილამაზის და სიკეთის დანახვისუნარიან უჯრედებს და მოკლავს სულს — უსიყვარულობით, აგრესიულობით, დაცინვით, წაგლეჯვით, ამპარტავნებით, შურით, პირუტყვული გადახრებით, დღეს რომ თავისუფლებას ეძახიან. სულის სიკვდილი ხომ ჯოჯოხეთს უდრის.

ყველა დროს გმირობის თავისი კრიტერიუმები აქვს. წმინდა მამები ამბობენ, რომ ბოლო ჟამს უსისხლო მოწამენი იქნებიან. როგორც ის ასი ათასი მოწამე შეგნებულად იდგა და თავისი სისხლით იცავდა არა მხოლოდ თავის გვირგვინს, არამედ დანარჩენ საქართველოსაც, დღეს ჩვენ ვდგავართ იმ ხიდზე, დღეს ჩვენი ხმის ამოღებაზე — დაცვაზეა ჩვენი ადგილი აქაურ და ზეციურ საქართველოში. დაცვის წევრებს ეს პირდაპირ მოგვეთხოვება, დუმილით გაიცემა ქრისტე. (ახლახან გორში, სამხედრო ნაწილში, ოცდაათმა ქალმა უარი თქვა უფროსის მოთხოვნაზე — ჩამოეხსნათ პირადი ჯვრები და დაწერა განცხადება სამსახურიდან წასვლაზე). თუ ესენი ჩვენს ხმებს აყალბებენ და არც

უსმენენ, იესო ტკბილი კეთილი მწყემსია და თითოეულის ხმას უსმენს. ისევ ჩვენ უნდა ვთხოვოთ უწმინდესს შეწყვიტოს ამათი დაფინანსება მადლით; ჩვენ, ხალხს შეგვიძლია მოვითხოვოთ — აღარ მოიხსენიოს ეკლესიამ ბარძიმში მთავრობა და მხედრობა მისი, არამედ სადაც ეკუთვნით—მაჭირვებლებში; ესენი დაკარგავენ ძალას და გამხმარი ფიჩხებივით ადვილი მოსაშორებელი გახდებიან. ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე ეს კანონიერი გადაწყვეტილება იქნება — ხმა ღვთისა და ხმა ერისა. დავუდგეთ ჩვენს პატრიარქს გვერდით, მასაც ვიხსნით ამათი ტყვეობიდან და ჩვენს თავსაც. მისგან კი ეს ნაბიჯი იქნება მამის ის საჭირო სიმკაცრე, რომელიც ხანდახან აუცილებელია, თუ გინდა შვილი მოყვრად გამოგადგეს. უწმინდესს ბოლომდე მაინც არ სჯეროდა, რომ ეს შეპყრობილი შვილი მასზე „ხელს აიღებდა,'' უფრო სწორად სჯეროდა, რომ ამას უფალი არ დაუშვებდა. მაგრამ რაკი დაუშვა უფალმა, ხომ ჩვენშიც უნდა მოვიძიოთ მიზეზები-რისთვის დაუშვა, „გამოიძიეთ გამოსაძიებელი და ცხონდეთ''. ყველასთვის თავის კარგად დამახსოვრება ქრისტეს არ უცდია. განა ვერ შეძლებდა ფარისევლების გულის მოგებას რომ მოენდომებინა, მაგრამ ამხილა. „ავს თუ ავი არ ვუწოდეთ, მაშინ კარგი რითღა ვაქოთ.'' უფალი ყოვლად სახიერია, მაგრამ ყოვლად სამართლიანი. ყველას და ყველაფრის მიმართ შემწყნარებლობით ლიბერალები ქრისტეზე მეტად კეთილები ყოფილან? ნელ-თბილობას უფრო ჰგავს. ყველას გულის მოგება შეუძლებელია, უსამართლობა გამოვა. გარეთ, ცხოვრებისგან გამწარებული ხალხი ეკლესიას შეეფარა, პატრონად იგულა და რა დაინახა, მან თავის თავს ვერ უპატრონა. ერში მომხდარ ყველა უბედურებაზე გაჩუმებას და დათმობას ეკლესია ისე შეეჩვია, რომ როცა ეკლესიას შეუტიეს, მაშინაც გაჩუმდა. აქეთ მოგვიწოდეს უმრავლესობის მორჩილებისკენ... რომელ სახარებაში წერია ცხვრის ტყავში გახვეული მგლების მოჩილება? სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემს სახარებაში უფალი ამბობს — იყავით ბრძენნი ვითარცა გველნი და გაარჩიეთ ერთი მეორისაგანო. აკი, პატრიარქი ეკლესიის საკითხში ძალიან პრინციპულია და არაფერს დათმობსო? თუ მართლა არ ეთანხმება იმ მედროვე მეუფეებს, აქ შეუძლია გამოიყენოს პრინციპულობა და თავისი ბერკეტი თუ სანქცია, და მოუხსნას უპირატესის სტატუსი ბარძიმში ეკლესიის შეურაცხმყოფელებს. „რწმენა თვინიერ საქმისა მკვდარიაო.''

ნებისმიერ სიტუაციას იმდენი ამონახსნი აქვს რამდენი მონაწილე პირიცაა და თითოეულისთვის შეიძლება ორი ან სამი პასუხიც ჰქონდეს. დღეს ეკლესიაზე ამათი შეტევა დაუშვა უფალმა და ყველა მონაწილისთვის თავისი პასუხი აქვს: პირველ რიგში, ეკლესიისთვის — ელოდა უფალი, რომ ვისაც ეგების, დაალაგებდნენ მის ტაძარს, ცხვრის ტყავში გახვეულმა მგლებმა „ქვაბ ავაზაკთა'' რომ აქციეს, არ და ვერ დაალაგეს და დაუშვა უფალმა ამ ჯალალედინის ხელით აუყირაოს მაგიდები შიგ დაბუდებულ მეკერმეებს; და არა მხოლოდ ეს, სხვა პასუხებსაც შეიცავს სხვათათვის... მეორე რიგში, ამ სატანისტებისთვის დაუშვა იმიტომ, რომ მოიჭრან ის ტოტი, რომელზეც ზიან, — რადგან ეკლესია თავისი ნებით ამ სატანისთვებისთვის ღვთის მადლისძალის მიცემას არ მოეშვა, დაუშვა უფალმა, თვითონ ესენი შეასკდნენ ეკლესიას რომ დაიმსხვრნენ. სჯულის კანონით ეკლესია ვალდებულია ეკლესიის, ანუ მისი თავის—ქრისტეს შეურაცხმყოფელნი ამხილოს და სასჯელი დაადოს; უფლის კანონით კი ეკლესიის შეურაცხმყოფელნი საშვილთაშვილოდ ისჯებიან, ვინც მას შეასკდება—დაიმსხვრევა, ვისაც ის დაეცემა—გასრესს; და მრევლისთვის, და არა მხოლოდ მრევლისთვის, ხალხისთვის, ყველასთვის მიდის ლუსტრაცია — ვინ ღვთისკენ და ვინ — კერპისკენ. ამისთვის „გადაიდო ეს პარტია'' და მოგვეცა დრო მოფიქრებისთვის, დღეს არჩევანი უნდა გააკეთოს ყველამ, უმცირესიდან უმაღლესამდე, ჩემგან დაწყებული პატრიარქამდე...

მათთვის, ვინც იტყვის, სულაც არ იხსენიებენ სხვა ქვეყნებში, მაგრამ მასონობა მძლავრობსო. სანამ არ დაიწმინდება—გაძლიერდება ეკლესია, არაფერი ეშველება ჩვენს ქვეყანას. ეს არის საქართველოს ინდივიდუალური ანტიბიოტიკი. ამერიკა თუ ევროპა როგორ გამდიდრდნენ, მათი რეცეპტები ჩვენზე არ მოქმედებს. ჩვენ მოწოდებული ვართ მართლმადიდებლობის დაცვაში სამუშაოდ და აქ, ამ სფეროში მოგვეთხოვება წერტილ-მძიმით კეთილსინდისიერი მუშაობა, მისგან



გარდახდომისთვის—უფლის ღალატისთვის, ყველა ვისჯებით. სააკაშვილის და მისი ბანდის სატანისტობის გამო ყველა ვიხდით ახალდაბადებულიდან პატრიარქამდე, ვიხდით ჩვენი სულიერი და ხორციელი ჯანმრთელობიდან. უწმინდესი, როგორც სახიერი მამა, მიმტევებელია ყველას მიმართ და ამათაც უთმობს და უთმენს ამდენ შეურაცხყოფას, უთმობს და უამრავი ცხვრის ტყავში გახვეული მგელი, ამათი აგენტურა, შეიწყნარა—შეიფარა და მოთმინებით ელოდება, რომ ოდესმე ესენიც მოიქცევიან. მაგრამ, როგორც გაწაფულები არიან ნარკოტიკის ჩადებასა და მერე პოვნა-დაჭერაში, ისე ცხვრის ტყავში გახვეული მგლების ეკლესიაში ჩანერგვით, ბოროტი ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს — ამისთანა ღვთისმსახურებით მრევლის გაქცევას ეკლესიიდან (შერჩენილების გონების ამღვრევას) და მეორეც, მოტრიალდებიან, „აღმოაჩენენ'' და გამოაქვეყნებენ ამისთანებს და ვისკენ გაიშვერენ ხელს „მფარველობისთვის''? დარჩენილი მრევლი ყველაზე მეტად დაზარალდება მორალურად. დაწერილია, რომ საცდურები მოვალს, მაგრამ ვაი იმას, ვისგანაც ეს საცდურები მოვა. ეს ცხვრის ტყავში გახვეული მგლები „გამოსწორებამდე'' ან გამომჟღავნებამდე რამდენი ახალგაზრდა ჩიტის საცდურად იქცევა ამაზე ვინ იქნება პასუხისმგებელი? ნაპოლეონს უთქვია — თუ გინდა ერი გადააშენო გახრწენი ახალგაზრდობაო, ახლა რომ პირველკლასელების ქართულს ინგლისურზე დაამყნობენ და გენმოდიფიცირებულ ქართველს გამოიყვანენ („რა ენა წახდეს ერიც დაეცეს''), სკოლებში სალოცავი კუთხეებიც მოუშალეს (მშობლებს თავისი საცოდაობაც ჰყოფნით საშოვარზე გადაგებული, გათითოებულები რომ არიან) და ეკლესიაში შესულს ამათი ჩანერგილი ცხვრის ტყავში გახვეული მგელი დახვდება, ამ მცირედთაგანთა ღვთისადმი დაბრკოლებაში ვის მოეკითხება — თითოეულ ჩვენთაგანს პატრიარქამდე. როგორც არჩევნების დროს, ხმასაც გვართმევენ და ისევ ჩვენი კისრიდან ილებენ დანახარჯებს ათმაგად, აქაც, ეკლესიის ლოცვაში მოხსენიებით, პლუს თავიანთი ჩანერგილი კადრებით—არხებით, ისევ მაგათ მიაქვთ მადლი და სასტიკი კანონებით ისევ ჩვენს შეკვრა—შეზღუდვას ახმარენ და გვიმორჩილებენ. ამათთვის ზეწოლით დათმობილ ყოველ ნაბიჯზე უწმინდესი საკუთარი ჯანმრთელობიდან იხდის. მგონია, რომ სამეფო ქორწილზეც ასე იყო - ერთი ჯგუფის მოთხოვნებს დაუთმო და საერო ტახტის მემკვიდრის მისაღებად ბაგრატიონთა ქორწინება თავზე აიღო; იქნებ არ იყო ეს ღვთის ნებასთან სინერგიაში, რაკი მისი ხელიდან ეს ჯვრისწერა არ დაუშვა უფალმა და თავისი ჯანმრთელობიდან ძალიან ძვირი გადაიხადა. წელს, მისი ანგელოზის დღეს მისალოცად, წირვაზე ინტელიგენციის თუ ჩოხოსნების რიგი საერთოდ აღარ იდგა... ძალიან კარგად მესმის სინოდზე უწმინდესის ცრემლების — როგორი გულის გამგლეჯია, როცა იმისგან, ვისგანაც მხარდაჭერას და გვერდში დადგომას ელოდები, და არა მხოლოდ ადამიანურად, სამსახურეობრივადაც მოვალე და ვალდებულია ერთსულოვნება გამოიჩინოს, ის კი ლევიტელივით უგულოდ გადაგაბიჯებს და შენს მტრებს მიემხრობა... როცა სთხოვ მოსმენას იმას, ვინც ვალდებულია მოგისმინოს, და იცი რომ მართალი ხარ, მაგრამ ყურადღების ღირსადაც არ ჩაგაგდებს და შენს წილს შენს მტრებს მისცემს — უზომოდ მტკივნეულია... გამოცდილებას გაგება მოაქვს... ახლაც, იძულებულია ამ ავადმყოფ შვილებზე განსაკუთრებით იზრუნოს, მაგრამ მათთვის დათმობით საკუთარი ჯანმრთელობიდან იხდის. ჩვენ შეგვიძლია ვიზრუნოთ მისთვის და დავეხმაროთ, რადგან მისი ჯანმრთელობის დანაკლისი მერე ჩვენ გვაკლდება. ჩვენ, მრევლს, შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ ამათი მოხსენიება შეწყვიტოს ეკლესიამ მისთვის მიყენებული შეურაცხყოფის საფუძველზე,




ამით ჩვენს პატრიარქსაც ვიხსნით ამათი ზეწოლისგან და ჩვენს თავსაც ამათი ბადე-ხლართებიდან.

და რაც ყველაზე მთავარია — როცა ყოველდღე იშიფრება ვიღაც და ვხედავთ მავანის პოლიტიკურ სიბეცეს თუ სიელმეს, ვხედავთ, რომ ე.წ. ოპოზიციაში სანდო აღარავინაა; როცა ვეღარ ვერკვევით ამდენ საარჩევნო დაპირებების ტყუილ-მართალში; რომ ისევ გადაბრუნებული ურმის მერე არ დავინახოთ ანტიქრისტეს ბრჭყალები (როგორც შევარდნაძეზე, როგორც სააკაშვილზე) და ვის რა ჰქონია გულში, უფალმა ხომ იცის ვის გულში რა არის, უწმინდესმა ხომ იცის უფლის ნება, გვირჩიოს და გვითხრას, როგორია და ვისზეა ღვთის ნება, რომ ჩვენი თავისუფალი ნება ისევ არ წარგვპაროს ბოროტმა სიცრუით და ისევ ახალ წრეზე არ წავიდეთ. მოსე დადიოდა უფალთან და უფალი ეუბნებოდა — როდის და როგორ წაეყვანა ერი; ვთხოვოთ უწმინდესს, ჰკითხოს ვენახის პატრონს, თვითონ ვინ უნდა. ჩვენს ნებაზე რომ მიგვიშვა, ხომ ვნახეთ ვინც და როგორც „ავირჩიეთ'', ახლა მაინც გულისხმავყოთ და მოვეშვათ მიშა მიშველე გრიშა გვიშველეს და მივტრიალდეთ უფლისკენ და ვუთხრათ — ღმერთო, შეგვიწყალე და გვიშველე, და ნუ ჩვენი, არამედ იყავნ ნება შენი ჩვენს შორის, უფალო; სახიერი მამა ხომ ამას ელოდება ჩვენგან, ამისთვის გვიტოვებს ერთი და იგივე გაკვეთილს - „წყალობა ნებავს და არა წარწყმედა.'' სანამ ტახტის მემკვიდრე გაიზრდება და იკურთხება, ღმერთმა ჯანმრთელი და ბედნიერი გაზარდოს, მანამდე ასე მასონების საპამპულო უნდა ვიყოთ? დახვდებაღა კი მას რამე საქართველოსგან? ამიტომ ეკლესიამ დღეს, დღევანდელი „კომის'' მდგომარეობიდან გამომყვანი ღვთივმინიშნებული მკურნალი უნდა დაგვანახოს, ეს არის ეკლესიის დღევანდელი როლი და ფუნქცია. გონიერი და პატიოსანი ექიმი, როცა თვითონ შედეგს ვერ აღწევს-ღებულობს, ავადმყოფის სხვასთან გაგზავნას თავის მარცხად არ თვლის, თუ მისი ინტერესი მართლა ადამიანის გადარჩენაა და არა სახელისმაძიებლობა. ახლა, როცა გამოჩნდა, რომ ეკლესიას ამ შემადგენლობით — ამ სინოდით არ შეუძლია და არ უნდა წინამძღვრობა, გვითხრას ღვთის ნება უწმინდესმა — ვისზეა ღვთის კურთხევა, როგორც მოსეს უთხრა უფალმა ისუ ნავეს ძეზე.

ის საგნები და მოვლენები, რაც ჩემი წერტილიდან ჩანს, არც ჩემი საკუთრებაა და არც წარმოსახვები, როგორც ზოგიერთს შეიძლება ეგონოს. ბევრს არმაგედონი იეღოველების გამოგონება ეგონა, რაკი პირველად მათგან გაიგონა. ეს რეალობა არსებობს და მის დანახვას გულში ჩაყურყმელავება სჭირდება. ესეც ის რაღაცაა, რაც უნდა იწამო, რომ დაინახო. დღევანდელ საქართველოზე ამბობენ, რომ სძინავს და დროა გამოიღვიძოს; ან ამდენს, ასე გულგრილად როგორ ითმენსო და ა.შ. არც სძინავს და არც ითმენს. მე მგონია, რომ დღეს საქართველო შეკრულია, როგორც ზვიადაური. ძილი ნიშნავს არ გესმოდეს და ვერ იგებდე-გრძნობდე როგორ გქურდავენ. დღეს ჩვენ ზვიადაურივით ხელ-ფეხ შეკრულნი ვაგდივართ და ვხედავთ, როგორ დათარეშობს ჩვენს სახლ-კარზე ურჯულო ბოგანო და ეზიდება ღვთის ნაბოძვარს თუ მამა-პაპის ნაამაგარს და ჩვენ მხოლოდღა ვხავით — ძაღლ იყოს თქვენი „ღვთისადა,'' რადგან თავიანთი ღმერთისთვის-სატანისთვის, ჩვენი შეწირვაც უნდათ... არც გულგრილი არ არის ეს ხალხი, ხალხი არის ზომბირებული ყველანაირი საშუალებებით — ნოოტროპული იარაღებიდან თუ ტელევიზორის სპეც. კადრებიდან, კარდავერონით გაჯერებული სასმელი წყლით გონება დადამბლავებული (კარდავერონი-ნივთიერება, რომელსაც ბუნებაში მხოლოდ ადამიანის ტვინი და მგლის ქონი შეიცავს...), თუ ათასნაირი მაგიური რიტუალებითა და კაბალისტური ფორმულებით შეკრული, მარტივად რომ ვთქვათ, ჯადოგაკეთებული!.. დიახ, სწორად და ნამდვილად ეკლესიურად მცხოვრებ ადამიანზე ვერ მოქმედებს ბოროტი ძალა იმიტომ, რომ მას იცავს ეკლესიაში მიღებული მადლი, მაგრამ სწორედ აქედან ჩანს, რომ ჯერ ერთი, ჩვენ წილად უმეტესად ნელ-თბილად და მოდურად დავდივართ ეკლესიაში, და მეორე და უფრო მეტი — ჩვენი წილი მადლი ეკლესიიდან კვეთა-ბარძიმში მოხსენიებით მიდის ამ მთავრობასთან; ახლაც, ეს კანონი ეკლესიამ რომ მიიღო, ხალხისთვის ყელზე კიდევ ერთი თოკის გადაჭერა არაა? განა ამით იმ მღვდელმთავრებმა საქართველოს შეკვრას და ჯვარზე გაკვრას არ მისცეს ხმა? თვითონ რომ ხელები დაიბანეს და მთელი პასუხისმგებლობა ამ მთავრობას გადაულოცეს, უნდათ თუ არა მაინც წილში ზიან ამათ საქმეებში, იმიტომ, რომ ეკლესია მათი ძირითადი სპონსორია მადლის ძალით... ფერიცვალებას ქადაგებაში ხომ თვითონ უწმინდესმა ბრძანა — „ურწმუნოთა ხელში ეს ძალა (მადლი) არის საშინელი მოვლენა და კატასტროფაო''... რა ჰქვია ამას, როცა ერთს ამბობ და მეორეს აკეთებ. აქეთ სინოდის გუნდი და იქით მთავრობის გუნდი ერთნაირ გემოვნებას ამჟღავნებენ არა მარტო ქვეყნის დასაქცევი კანონების მიღებაში, არამედ ადამიანთა დახარისხებაშიც. ერთნაირად მოხიბლულები და გახარებულები დასტრიალებდნენ შერონ სტოუნს, რაც მთავარია, ხომ დაანახეს მსოფლიოს, როგორ აღვარღვარებინეს სულ გამჭვირვალე ცრემლები, ლტოლვილების თუ გამწარებული ხალხის სისხლიანი ცრემლები იმასთან რა გასახსენებელია. გასაოცრად ერთნაირი მიდგომა აქვთ ხალხის მიმართ — ეკლესიაში ფიქრობენ, რომ ის რაც ოჯახში ხდება, გარეთ არ უნდა გაიგოს ხალხმა, ანუ ხალხს ოჯახის წევრად არ მოიაზრებენ, არ თვლიან. ასევე სამთავრობო გუნდისთვის ხალხი დამატებაა და ისიც ირიბი. ამათთვის ესეც ნაკარნახევი, ამერიკული მასშტაბებით აზროვნების შედეგია. მხოლოდ ნიუ-ორკში ორჯერ მეტი მაცხოვრებელია ვიდრე მთლიანად საქართველოში. რა თქმა უნდა, თავში მომხდარი ამბავი ბოლოში წლები შეიძლება ვერ გაიგონ, მაგრამ ამ ერთ მტკაველ ქვეყანაში და ერთ მუჭა ხალხში, დღევანდელი კომუნიკაციების პირობებში და ამასთან, ჩვენი „ბუნებითი'''ნიჭის — ყველა ოჯახის სამზარეულოში რა იხარშებასადმი უზომო ინტერესის გათვალისწინებით, ვიღაზე ჰგონიათ რომ ვერ გაიგებენ, გაუგებარია. სადაც ყველა ყველას ნათესავი, მეზობელი, უბნელი, ჯგუფელი ან ნაცნობის ნაცნობი მაინცაა, ვიღასთვის „შეფუთქავენ თეთრად'' ფასადს, როცა ხრწნის სუნი ბათუმიდან ლაგოდეხამდე დგას... სხვა ხალხების არ ვიცი, მაგრამ ღვთის მადლით, ქართველი ხალხი რომ ბრძენია, ეს ძალიან კარგად ჩანს მის ცხოვრებაში. როგორც ერთი გუნდი ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში ქვეყნის გამყიდველად, ისე მეორე გუნდის დამსახურებები მსოფლიოს კი არა, სამშობლოს წინაშე, აიწონება, ჩაიწერება და მოიხსენიებს საქართველოს ისტორია... მე ის უფრო მიკვირს კიდევ რითი ვუძლებთ, კიდევ როგორ გვიდგას პირში სული, თუ არა ღვთისმშობლის ლოცვით და შეწევნით!!!

ივერია მაინც გაბრწყინდება!!! გაბრწყინდება იმ მიწაზე, იმ საზღვრებში, რაც ღვთისმშობელს წილისყრით შეხვდა!!! ამიტომ შემოუერთებს-დაუბრუნებს უფალი საქართველოს წართმეულ მიწებს ისევ და არა ჩვენი დამსახურებისთვის ან მონდომებისათვის; აქ მართლმადიდებლობა მაინც იზეიმებს იმიტომ, რომ ეს ივერიის ბედისწერაა — ოღონდ ჩვენ დავესწრებით თუ არა ამ ზეიმს, დღეს ყველა ჩვენ თვითონ ვირჩევთ ჩვენი ქცევით, ჩვენი არჩევანით ღვთისკენ თუ კერპისკენ. მოსაწვევი ყველას მოგვეცა, ვინც დღეს საქართველოში დავიბადეთ, მაგრამ წვეულებაზე თუ არ მივედით, ნოეს კიდობანში — ქრისტეს ეკლესიაში თუ არ შევედით, ძალით არავინ შეგვიყვანს. „ეხლა ბევრად უფრო გვიანია ვიდრე ჩვენ გვგონია, აპოკალიფსისი აწვე აღესრულების, ვისაც ყური აქვს ისმინოს.''

# xalxis azriT

ჩვენი მიშიკო რომ გადადგეს? ხომ არ აჯობებდა? რამდენი პატიმარი და იმათი ოჯახი ბედნიერებისაგან ჭკუაზე არ იქნებოდნენ, რამდენი პრობაციონერი ამოისუნთქებდა თავისუფლად? ფასები დაიკლებდა! მონოპოლიები აღარ იქნებოდა, ტელავიზიები თავის პატრონებს დაუბრუნდებოდა და რა ვიცი, კიდევ რამდენ სიკეთეს მოუტანდა მისი წასვლა სამშობლოს?

ამ დღეებში გახშირდა და გაძლიერდა დავით ბაქრაძის რეკლამირება. ამ უსახურ "პოლიტიკოსს" ისევ სახიანი მიშა მირჩევნია.

თუ ჩემი პროგნოზები უახლოეს მომავალთან დაკავშირებით რეალურია და ვაშინგტონმა საქართველოს სრულმასშტაბიანი დეზინტეგრაციისა და საქართველო-სომხეთსა და საქართველო-რუსეთს შორის საომარი მოქმედებების დაწყების სანქცია გასცა, სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმი დროის მოგებას შეეცდება და პირველ რიგში, იმ ე.წ. პოლიტიკოსებს „მოიშორებს" (გაანადგურებს ფიზიკურად), რომელთაც პოსტ-სააკაშვილისეული საქართველოს მმართველობა შეიძლება ჩააბაროს ვაშინგტონმა.

შესაბამისად, რეჟიმის უმთავრესი სამიზნე ჩემი აზრით, ირაკლი ალასანია იქნება.

თუკი 27 სექტემრისთვის დაგეგმილი "ქართველთა მარში" ანტი-აფხაზური აღმოჩნდა, ეს არა მხოლოდ დიდი სტრატეგიული შეცდომა, არამედ კიდევ უფრო მეტი ეჭვების გაჩენის საფუძველი იქნება და ცხადი გახდება, რომ ვიღაცამ აფხაზეთთან მიმართებაში უშნო თამაში დაიწყო. დიდი იმედი მაქვს, რომ "ფორუმი" ამ გზით არ ივლის.

იმაზე უარესი მდგომარეობა, რაც ამჟამად გვაქვს აფხაზეთთან - რთული წარმოსადგენია. აწი მარშს ჩაატარებენ თუ ტურნირს - და ეს ანტი თუ პრო აფხაზური გამოდგება - აღარანაირი აზრი არ აქვს. სანამ სააკაშვილი არის - ყველაფერი და ყოველთვის ანტი იქნება. ანტი აფხაზური - ანტი ქართულს ნიშნავს - და არა პირიქით.

ამათ ერთი ელემენტარული ჭეშმარიტება არ ესმით – რაც უფრო მეტად ლანძღავ უცხო ერს და ამას აგიტაციის ფორმას აძლევ, ქვეცნობიერად მით უფრო მეტად აინტერესებ იმ ერით საკუთარ მოსახლეობას და საბოლოოდ იღებ უკუშედეგს... თავად ესენი და მათი უახლოესი წინაპრებიც ხომ სწორედ ამ არასწორი პროპაგანდის მსხვერპლნი არიან, როცა სსრკ–ში ლანძღავდნენ დასავლეთს და ამერიკას, კრძალავდნენ და ჩქმალავდნენ ყველაფერ იქაურს, შედეგად რა მიიღეს? – ყურებამდე შეაყვარეს ამათ ის თურმე სრულიად ჩვეულებრივი და არა გასაგიჟებელი "აკრძალული ხილი" და სამუდამოდ დაბრმავდნენ... ცნობილი ნაწარმოებიდან უმარტივესი ფრაზების ამოღების დონემდეც კი.

ესეთი ჩმორები როგორა ხართ, თქვე უბედურებო, გართობა და "ბალეშიკობაც" რო არ იცით, ფუ, რა სამარცხვინოები და ქვეყნის დასაცინები ყოფილან ლიტვაში ქართველი კალათბურთელების საგულშემატკივროდ... (სურათი ვნახე, შემრცხვა ამ ჩმორების მაგივრად)... დაკლაკნილ ბარამიძეს, შეთითხნილ გოგორიშვილს, ჰიბრიდულ სიმინდის ტარო კვეზერელს და კლერტოს კუკლა ხერხეულიძეს რო დაინახავდნენ, წააგებდნენ ჩვენები, აბა, რას იზამდნენ?

ხალხს აინტერესებს (ფული და პერსპექტივა) მომავალი, არ არის ეს გასაკვირი. თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, რა აზრი აქვს ვისი პრეზიდენტობის დროს მოკვდები მშიერი და რა ვითარებაში, ფული-სამსახური, პერსპექტივა- სამუშაო ადგილები და მისი არჩევის უფლება და კარიერაში ზრდა, სხვა ვერაფრით დღეს ადამიანს ვერ დააინტერესებ, თევზაობის დროს ცარიელი ანკესით თევზს დაიჭერ? ასეა ხალხიც, თუ მათი ინტერესები არ იქნა და სტაბილურობა გათვალისწინებული, აგრეთვე მოთხოვნა, მაშინ არც იმას შეეკითხებიან, რა უნდათ.




# ra gadaarCens soflis meurneobas _ ministri kvezereli Tu saberZneTsa da italiaSi wasuli qalebi?

*უკვე მერამდენე წელია ზაფხულის პერიოდში სოფელში მისულს ერთი სანახაობა არ მცილდება თვალთაგან: წარმოიდგინეთ ფართო სოფლის ეზო, იქ ზის შუახნის მამაკაცი, გვერდით დოქი უდგას. ზის მოწყენილი, მერე შემოუერთდებიან მეზობელი კაცები, მაგრამ ეზოში არ ჩანს ქალი, დიასახლისი.*

*„შეიძლება უკვე გაგიგია კიდეც როგორ ამბობენ ახლა სოფლებში- მეუბნება მეზობელი ქალი,– ძროხის მომწველავი ქალი აღარ დაგვრჩაო. უმეტესობა საზღვარგარეთაა სამუშაოდ წასული. ძირითადად საბერძნეთში მიდიან. ყველა გაიქცა, ვისაც შანსი გამოუჩნდა. ხომ იცი, რა მდგომარეობაა პროვინციებში, არაა სხვა საშველი. მარტო ჩვენს რაიონში კი არაა მასე, ყველგან ერთი და იგივე სიტუაციაა".*

*დრო ვიხელთე, როცა ის კაცი ისევ მარტო იჯდა და გავესაუბრე:*

**— რამდენი ხანია ასე უდიასახლისოდ გყავთ დატოვებული ოჯახი-მეთქი,** — ვეკითხები.

— უკვე მესამე წელია, — იყო პასუხი.

**— არ გიძნელდებათ?**

— როგორ არა. სულ თავიდან მით უფრო ძნელი იყო, საშინელებაა უდედაკაცოდ დარჩენილი ოჯახი, ეხუმრები? სოფლის სახლ-კარი უქალოდ, მაგრამ რა ვქნა, დრომ ასე მოიტანა. ჩვენმა თანასოფლელმა ქალმა წაიყვანა. ბავშვებს უვლის ოჯახში, თან კერავს, ქსოვს, დასვენების დღეებში ბაზრობაზე გააქვს ნახელავი.

**— ჩამოსვლაზე არაფერს ამბობს?**

— არა, ჯერ რა დროსია. თვითონაც არ ჩქარობს. მომავალ წელს ჩვენი ბიჭი სკოლას ამთავრებს, რამდენი რამე უნდა. რაღაც ხომ უნდა შეისწავლოს. აქ მაგის სამყოფ ფულს სად იშოვი.

**— იქნებადა, ვინმე იტალიელმა დაადგას თვალი, არ გეშინია?**

— *(იცინის)*. დაადგას თორე, ეგეც ჯინა ლოლობრიჯიდა არა მყავდეს. ისე, მართლა ყველაფერი ხდება, თუ ახლა მაგას ვინმე გამოუჩნდა და ევროპაში გამითხოვდა, ბარაქალა მაგის ქალობას. იმედი მაქვს, ჩემი ერთგული დარჩება. *(ისევ იცინის)*.

**— როგორც უკვე გავიგე, ბევრია წასული საზღვარგარეთ სამუშაოდ...**

— ძალიან ბევრი, ზოგი იტალიაში, ზოგიც ესპანეთში, აღარაფერს ვამბობ საბერძნეთზე. მიეჩვია ქართველი სოფლელი კაცი სახლში ჯდომას და ლოდინს, როდის შემოაღებს დედაკაცი კარს და შემოსატანს შემოიტანს ან კიდევ — გამოაგზავნის. ისე, როგორც ვიცი, არც ქალაქშია გაცილებით უკეთესად საქმე.

**— ხოო, როგორც ვხედავ, აღარ გეუცხოვებათ ასეთი რამ...**

— აა, უკვე შევეჩვიეთ. ეს კიდევ რაა. აი, მაგალითად, ერთის ცოლი საბერძნეთში გათხოვდა, ამბობს, ფიქტიური. ქორწინება არისო, საჭიროაო. არ ვიცი მე, ფიქტიურია თუ ფაქტიური, ხომ გათხოვდა. მაგრამ რა, ზის ეს და იღებს იმის გამოგზავნილებს.

**— ესე იგი, ასე ატარებთ ცოლგაშვებული კაცები დღეებს...**

— ხო გეუბნებით, შევეჩვიეთ. ცხოვრებამ მოიტანა და რა ვქნათ. შეცვალა ახალმა დრომ კაცისა და ქალის ფუნქცია. მე შევეგუე. არ გეუბნები, შვილო, რომ კარგია, მაგრამ ასე მოხდა. მთლად მასეც არაა საქმე, რომ მე და ჩემნაირები ვიჯდეთ ფეხი ფეხზე გადადებულები და ველოდოთ „პასილკებს". ეზოს, სახლ-კარს ვუვლით. მე საქონელი არ მყავს, მაგრამ სხვა საქმეც ბევრია. ვაზს ვუვლი, ვარ მიჯაჭვული ერთ ადგილზე. რადგან თავის დროზე დავთანხმდი ჩემს ცოლს წასულიყო სხვა ქვეყანაში სამუშაოდ, ახლა რაღა ხმა ამომეღება. ქალების სამუშაო ბევრია, პრობლემა არ არისო, ჰოდა, გადაწყდა რომ ის წასულიყო".



ამ საუბრის შემდეგ „ფიქტიურად" გათხოვილი ქალის ნამდვილი ქმრის ნახვა მოვინდომე.

**— დიდი ხანია საბერძნეთშია თქვენი ცოლი?**

— უკვე ექვსი წელია.

**— ხო არ გათხოვდა?**



— კი, კაცო, ხელი აქვს იქ მოწერილი, ფიქტიურად. სამაგიეროდ, ხანდახან ჩამოდის ხოლმე, მისვლა-მოსვლის პრობლემა არ აქვს. იქაც პრივილეგიები აქვს, არ იმალება სხვა არალეგალებივით.

**— თქვენ არ გინდათ წასვლა?**

— მინდა. შეუძლია კიდეც, რომ წამიყვანოს, ჯერ არ ვჩქარობთ. მე აქ სახლ-კარს ვუყურებ, პირველი კი არ ვიქნები, რამდენი წაუყვანია ცოლს მასე. სხედან, ელოდებიან, რას შეატყობინებს იქ გადახვეწილი მეორე ნახევარი.

**— არ ეჭვიანობ? ფიქტიურია და ფაქტიური, ხომ მაინც გათხოვილი ჰქვია. ასე ცვლის ერთი ასო ყველაფერს?**

— არც ვფიქრობ მაგაზე. მთავარია, რაიმეთი თავი გადაირჩინო. ორი შვილი გვყავს, ამითი მომავალს შევუქმნით. აქ რას გავხდებოდით, იქიდან კი პერსპექტივა გვაქვს. ასეა ცხოვრება და ჩვენ რას გავაწყობთ, ამაზეც მადლობელი უნდა ვიყოთ, ბევრი ოცნებობს ასეთ მდგომარეობაზე, ჩვენ რომ გვაქვს".

რადგან დიასახლისებგაქცეული ოჯახებით დავინტერესდი, ბავშვებს ვერ დავტოვებდი უყურადღებოდ, მათაც გავესაუბრე:

„დედა უკვე ორი წელია წასულია – მეუბნება 14 წლის გოგონა. სახლში მე, ჩემი ათი წლის ძმა და მამა ვართ. დედა ფულს გზავნის, სკოლაში დავდივართ, არაფერი გვაკლია, მაგრამ დედა გვენატრება ძალიან. ის კიდევ დიდხანს არ ჩამოვა. სანამ შეუძლია, იქ უნდა იყოს და იმუშაოს. მამაც განიცდის მარტოობას, მაგრამ ეგუება. ჯანმრთელობასთან დაკავშირებით აქვს პრობლემები, რაც დედა წავიდა, მას მერე მოვკიდეთ ხელი მის მკურნალობას, მანამდე ვერაფერს ვშველიდით, ძვირი ღირს წამლები, რაც მაგას სჭირდება".

„ვერ გაამტყუნებ, უმეტესობა რომ წასულია ქვეყნიდან – მეუბნება მეზობელი ქალი. კაცები ბევრია მარტო, სამაგიეროდ, იქიდან გამოგზავნილი ფული ბრუნავს მაინც აქ. აქ დარჩენილებს იმედი აქვთ, რაღაცას აკეთებენ, უამისობა გაცილებით უარესი იქნებოდა, მარტო მოსავლის იმედად ვერ იქნები, სხვა შემოსავალიც უნდა ოჯახს. ჩვენი ქალები აქაც იმუშავებდნენ მუშებად და დიასახლისებად, დამლაგებლებად, არ ითაკილებენ, მაგრამ ფიზიკურად არაა სამუშაო, ერთეულებისთვისაა".

ასეთი მდგომარეობა ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, სამწუხაროდ, ჩვენც მათ რიგებში ვართ. პურის ფულის გარშემო ტრიალებს ყველაფერი – ენერგია, გონება, ღირსება. ხოლო ჩვენს სოფლის მეურნეობას მისი პროფილის სამინისტრო გადაარჩენს თუ საბერძნეთის რესპუბლიკა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**თამუნა ქადაგიძე**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**— გთხოვთ, გვიპასუხოთ, რა არის მიზეზი იმისა, რომ დიდი ხანია ამნისტიის აქტი არ გამოცემულა?**

— მესმის თქვენი გულისწყრომის, მაგრამ აღნიშნულზე პასუხის გაცემა სცილდება ჩემი, როგორც გაზეთის იურიდიული კონსულტანტის კომპეტენციის ფარგლებს.

* * *

**— შეიძლება თუ არა არასრულწლოვან პირს სასამართლომ დააკისროს ჯარიმის გადახდა?**

— სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5-ე ნაწილის მიხედვით, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

აქვე განგიმარტავთ, რომ თუ არასულწლოვანი პირი არის გადახდისუნარიანი (მუშაობს ან აქვს, ზოგადად, რაიმე შემოსავალი), სასამართლო პირადად მას დააკისრებს ჯარიმის გადახდას.



* * *

**— შეიძლება თუ არა საქმე განხილული იქნას ბრალდებულის დაუსწრებლად?**

— შეიძლება.

ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია, თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.

* * *

**— ვარ დაზარალებული სისხლის სამართლის საქმეში, მაგრამ განმიმარტეს, რომ არ ვითვლები მხარედ. აქედან გამომდინარე, საქმეში არ დაუშვეს ჩემი ადვოკატი. რამდენად კანონიერია ეს?**

— კანონიერია, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, 2010 წლის 1 ოქტომბრის რედაქციით.

დაგიკონკრეტებთ სამართლებრივად:

ს.ს. საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მხარე არის ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი.

აღნიშნულიდან ბრალდების მხარეს მიეკუთვნება გამომძიებელი, პროკურორი, დაცვის მხარეს — ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი.

ამავე კოდექსის 57-ე მუხლში ჩამოთვლილია დაზრალებულის უფლებები, სადაც არ არის აღნიშნული, რომ დაზარალებულს უფლება აქვს, ჰყავდეს ადვოკატ-წარმომადგენელი.

დაზრალებულს ამჟამად მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით არ აქვს უფლება გაასაჩივროს სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი (მუხლი 292).

ასევე არ აქვს უფლება, გაასაჩივროს საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოს განაჩენი (მუხლი 300).

დაზარალებულის უფლებების ასეთ შეზღუდვას, ალბათ, აქვს შემდეგი გამართლება: მის პოზიციას იცავს პროკურორი და გამომძიებელი (ბრალდების მხარე), ამიტომაც არ ჩათვალა კანონმდებელმა საჭიროდ დაზარალებულის მხარედ მოხსენიება.

რამდენად სამართლიანია აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ გამაჩნია გარკვეული მოსაზრებები, აზრის გამოთქმისაგან, გაზეთის ფორმატისა და კომპეტენციიდან გამომდინარე, თავს შევიკავებ.

* * *

**— შეიძლება თუ არა, სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეში თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა?**

— ს.ს. საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, რომ ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით. აქ იგულისხმება, რომ ექსპერტიზა ინიშნება ბრალდებულის ან დაცვის მხარის ინიციატივით, ანუ გამოირიცხება სასამართლოს ინიციატივა.

* * *

**— შედის თუ არა საპროცესო ვადაში დასვენების დღეები?**

— ს.ს. საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საპროცესო ვადაში შედის არასამუშაო დროც, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეები.

* * *

**— ჩემმა შვილმა 17 წლის ასაკში ჩაიდინა ძარცვა. მიესაჯა 4 წლით პირობითი მსჯავრი. როდიდან გაუქარწყლდება ნასამართლობა?**

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის „ა“ ქ. პუნქტის მიხედვით, იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა თვრამეტ წლამდე, ნასამართლობა პირობით მსჯავრდებისას გაუქარწყლდება გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს შვილს ნასამართლობა გაუქარწყლდება 4 წლიანი გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ.

# facebook

# xalxis azriT




რა უბედურება ტრიალებს ამ გორში... ყველა მხრიდან სამსახურიდან გათავისუფლებების სასოწარკვეთილი ხმები მესმის. ერთმანეთის ჭამა ნაციონალებმა გორიდან დაიწყეს?

არასდროს დაფიქრებულხართ, რატომ უნდა უნდოდეს სააკაშვილის რეჟიმს, რომ ყოველ მოსწავლეს მათი მიერ აწყობილი ნეთბუქი შეაჩეჩოს?

1) ბავშვის ტვინის მოდელირებისთვის
2) კომპიუტერის დაზიანებისას მშობლების დასაჯარიმებლად
3) ოჯახებში მოსასმენი აპარატურის ადვილად შესატანად.

კარიკატურული ავტოკრატია და დემოკრატიის პროვოკაცია ! მეიდ ინ აშუშუ !!! მარკეტინგულ საქმიანობაში ხშირად იხმარება ტერმინი - პრადვიგაიუში ტავარ. ეხლა მაინტერესებს, აფთიაქში სასკოლო წიგნების შეტანით წიგნი გახდა წამლისთვის პრადვიგაიუში თუ პირიქით? და მაგ მარკეტოლოგის ვინაობა მაინტერესებს, ვინც ასეთი “გენიალური გათვლა” ჩაიდინა. მრავალსართულიანი გულითადი მოკითხვა მინდა მივუძღვნა!

„ჩვენ რად გვინდა ეკლესია, ფული მივცეთ იგლესიასს!” (მიხეილ სააკაშვილი, სვანეთის წმინდა გიორგიდ შერაცხული სვანთამჟლეტი).

“მაღალმა და უნაკლო კაცმა” გუშინ საინტერესო “ფრთიანი სისულელე” წამოროშა...”რევოლუციამდელი ბავშვების გონებაჩლუნგობასა და კომპიუტერზე” და ნეტა ვის გულისხმობდა... აააა, გასაგებია... გოკაიე გაბაშვილი, კირკიტაძე, წუგზარ წაკლაური, მემაწვნის ბიჭი ვანო, ღრანჭა გივიე თარგამაძე....და ასე შემდეგ....აუუუ, რამდენი არიან ეს ჩემის ტრულაილები გადავირიე.

# ლადო ანდრონიკაშვილის გახსენება



დღეს, როცა საქართველოში პროფესიონალი ექიმის, ინტელიგენტი, კეთილი, არისტოკრატული სულის ადამიანების დეფიციტია, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ცნობილი მეან-გინეკოლოგი ბატონი ლადო ანდრონიკაშვილი, რომელმაც მთელი ცხოვრება სიკეთის ქმნას მიუძღვნა.

იგი ჭეშმარიტი მამულიშვილი გახლდათ და ამას თავისი საქმიანობით ამტკიცებდა. მისთვის უდიდესი სიხარულის მომტანი იყო ყოველი ახალი სიცოცხლის დაბადება, რადგან მიაჩნდა, რომ ერის გამრავლებაზე მნიშვნელოვანი არაფერია ამ ქვეყნად, უფრთხილდებოდა დედასა და ახალშობილს და სხვისგანაც მკაცრად მოითხოვდა იგივეს...

ბატონი ლადო იყო საოცრად კოლეგიალური, მას არასდროს გაურჩევია დამწყები ექიმი, ექთანი და სანიტარი. ყველას მოწიწებით ექცეოდა.

ლადო ანდრონიკაშვილი 50 წელი უანგაროდ ემსახურა საქართველოს.

1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1998 წლიდან ის საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია.

სამშობიარო განყოფილებებისა და ქალთა კონსულტაციების ხელმძღვანელად იმუშავა დმანისში, თერჯოლაში, ასპინძაში, ხაშურში, გურჯაანში, სოხუმში,ზუგდიდში და და რა თქმა უნდა, თბილისში და ყველგან კეთილი, მზიანი კვალი დატოვა. იგი დღესაც ახსოვთ და ცრემლის გარეშე ვერ იგონებენ. ამას წინათ ერთმა ზუგდიდელმა კაცმა პატივისცემით, დიდი სითბოთი მოიგონა, თან დასძინა — მთელ ზუგდიდს დღესაც ახსოვსო.

გარდაცვალებამდე თბილისის მე-5 საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების სამეანო განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

ძნელი აღმოჩნდა მასთან განშორება, ძნელი და ალბათ, ერთადერთი, რაც კოლეგებსა და მეგობრებს გვეხმარება იმ გაუსაძლისი ტკივილის გადატანაში, ეს არის მისგან დატოვებული ამოუწურავი სიკეთე.

ამას წინათ ჩვენს განყოფილებაში, რომელიც ბატონი ლადოს სახელობისაა, მის სურათთან დიდი თაიგული დაგვხვდა. აღმოჩნდა, რომ ქალი, რომელმაც წინა დღით იმშობიარა, სწორედ ბატონი ლადოს მადლიანი ხელის დახმარებით მოვლენია ამ ქვეყანას. მელოგინე ქალის მადლიერმა დედამ ბატონ ლადოს წლების შემდეგ იმით გადაუხადა მადლობა, რომ მის სურათთან ყავავილების უზარმაზარი თაიგული დატოვა...

ეს არის ყველაზე დიდი ჯილდო ექიმისთვის...

აღსანიშნავია, რომ ლადო ანდრონიკაშვილი არა მხოლოდ პროფესიონალი და გულისხმიერი ექიმი გახლდათ, არამედ იგი იყო მოსიყვარულე და მზრუნველი მეუღლე, არაჩვეულებრივი მამა და ბაბუა.

ლადო ანდრონიკაშვილი დღესაც ღიმილით და იმედით გვიცქერის ფოტოსურათიდან, თითქოს გვამხნევებს და გვეუბნება, რომ სიცოცხლე გრძელდება და ყველაფერი კარგად იქნება...

ახლა პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი სწორედ ვლადიმერ (ლადო) ანდრონიკაშვილის სახელს ატარებს.

# ხობის მეხუთე საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე — 2011“

2011 წლის 16-18 სექტემბერს განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ თაოსნობით უკვე მეხუთედ ჩატარდა ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“.

ქართული სიმღერის მოამაგის ძუკუ ლოლუას მუზეუმში ახალგაზრდა ფოლკლორისტთა და მუსიკათმცოდნეთა კონფერენცია და ანსამბლ „გორდელას“ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია გაიხსნა. ხობის ცენტრსა და სტადიონზე გამართულ კონცერტებში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული ფოლკლორული ანსამბლები, გალა კონცერტში კი უცხოეთიდან ჩამოსული მომღერლები: დათო ხუჯაძე, ელიზა და თემურ ბოჯგუები, ვეფხვო კუტივაძე, დიანა დიეზი, ჯგუფ „მონომახის“ სოლისტი ვასილ აკიმოვი, უკრაინელი მირონ შაშენკო, ბელორუსი ალესია დუბროვა, აზერბაიჯანელი კამილა სულთანოვა, ჯგუფი „რადანიკი“, სომეხი ევა რივასი და სხვები. მათ შეასრულეს სიმღერები მეგრული ტექსტებით — ავტორები: გია ადამია და ვეფხვო კუტივაძე.




ფესტივალის სიახლე — ხობის სტადიონზე ქართული ფეხბურთის ვარსკვლავების — ვლადიმერ ბარქაიას, მურთაზ ხურცილავას და გიორგი სიჭინავასადმი მიძღვნილი ზეიმი ჩატარდა, რომელსაც უძღვებოდა ჯამლეთ ხუხაშვილი.

ფესტივალის დღეებში ხობის ცენტრში სხვადასხვა სპორტული, მუსიკალური ღონისძიებები ჩატარდა, მოეწყო ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა.













ტექსტი და ფოტოები ნათია გოგიტიძისა.

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — თქვენს ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებებია მოსალოდნელი. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. შეგიძლიათ თავს დასვენების უფლებაც მისცეთ.

**კურო** — ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ, რადგან კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა იზრდება. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში.

**ტყუპები** — პირად ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებები გელით. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. შესაძლოა, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

**კირჩხიბი** — ეს პერიოდი დასვენებას დაუთმეთ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.

**ლომი** — ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან ურთიერთობისას. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.

**ქალწული** — გელით რომანტიკული თავგადასავლები. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახურ გარემოში გაატარეთ. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ.

**სასწორი** — თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა — იღბალი თქვენს მხარესაა, გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა საუკეთესო პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ.

**მორიელი** — ამ პერიოდში აქცენტი პირად ცხოვრებაზე გააკეთეთ. შეგიძლიათ თამამი გადაწყვეტილებებიც მიიღოთ. ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.

**მშვილდოსანი** — წარმატებული დღეები გრძელდება. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

**თხის რქა** — ფინანსურ ოპერაციებში წარმატებები გელით, რასაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. ერიდეთ იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.

**მერწყული** — წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა დაგეგმილი საქმეები განახორციელოთ.

**თევზები** — ამ პერიოდში მნიშვნელოვანი არაფერი გელით. იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დასვენებას დაუთმეთ.